

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
მედიცინის ფაკულტეტი  
კარდიოლოგიის დეპარტამენტი

ნათელა ჯახუტაშვილი

მონოციტ-ენდოთელური უჯრედული ურთიერთქმედების ინჰიბიცია  
ათეროსკლეროზის ადრეულ სტადიებში

დისერტაცია

წარმოდგენილი მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბონდო ქობულია  
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კარლჰეინც პეტერი  
მედიცინის დოქტორი, ირინა ჯაში

თბილისი, 2014 წელი

## სარჩევი

	<b>სარჩევი</b>	<b>2</b>
	<b>გამოყენებული აბრევიატურა</b>	<b>6</b>
	<b>შესავალი</b>	<b>11</b>
<b>თავი I.</b>	<b>ლიტერატურის მიმოხილვა</b>	<b>18</b>
1.1.	ათეროსკლეროზი	18
1.1.1.	ეპიდემიოლოგია და პათოგენეზი	18
1.1.2.	ათეროგენეზის ჰიპოთეზები	18
1.1.3.	ათეროსკლეროზის რისკფაქტორები	20
1.2.	ათეროსკლეროზის განვითარების სტადიები	24
1.3	მოლეკულური მექანიზმები ათეროსკლეროზის განვითარებაში	26
1.3.1.	ენდოთელიუმის როლი ათეროსკლეროზის განვითარების ადრეულ სტადიაზე	26
1.3.2.	ენდოთელური დისფუნქცია	27
1.4.	ადჰეზიური მოლეკულები	28
1.4.1.	სელექტინები	29
1.4.2.	ინტეგრინები	30
1.4.3.	იმუნოგლობულინ-სუპეროჯახი	31
1.4.4.	ინტერცელულარული ადჰეზიური მოლეკულა1-ICAM1	32
1.4.5.	ვასკულური ადჰეზიური მოლეკულა1 – VCAM1	33
1.5.	მონოციტები	36
1.6.	მონოციტ-ენდოთელური ურთიერთქმედების საფუძვლები	37
1.7.	ციტოჩონჩხის შებოჭვის მნიშვნელობა	39
<b>თავი II.</b>	<b>მასალა და მეთოდები</b>	<b>41</b>
2.1	კონსტრუქტი CD7/VCAM-1	41
2.2	უჯრედულ კულტურებში ჩატარებული სამუშაოები	43
2.2.1.	HMEC-1 კულტურა	43
2.2.2.	უჯრედების კულტივირება	45

2.2.3.	უჯრედების გამოღობა და გაყინვა	47
2.2.4.	HMEC-1 უჯრედების სტიმულაცია	48
2.2.5.	HMEC-1 უჯრედების ტრანსფექცია	49
2.3.	გამდინარე ციტომეტრია (FACS)	50
2.3.1.	ზოგადი მიმოხილვა	50
2.3.2.	უჯრედების მომზადება რეცეპტორების ექსპრესიის შესაფასებლად FACS-ში	54
2.3.3.	FACS-ში ექსპრესიის შეფასება	55
2.4.	ადამიანის სისხლზე ჩატარებული გამოკვლევები	58
2.4.1.	სისხლის აღება	58
2.4.2.	სისხლიდან მონოციტების იზოლაცია	58
2.4.3.	უჯრედების დათვლა	61
2.5.	დინამიური აღჭვრიერი ცდები	63
2.5.1	გამდინარე კამერის მეთოდის (Flow Chamber) ზოგადი მიმოხილვა	63
2.5.2.	HMEC-1 უჯრედების მომზადება გამდინარე კამერაში გამოსაკვლევად	67
2.5.3.	მონოციტების სტიმულაცია, შეღებვა და მომზადება გამდინარე კამერაში გამოსაკვლევად	68
2.5.4.	კვლევის მიმდინარეობა	69
2.5.5.	საკვლევი ჯგუფები	70
2.6.	IN VIVO კვლევები	73
2.6.1	ApoE <sup>-/-</sup> თაგვების მომზადება	74
2.6.1.1.	ქოლესტერინით მდიდარი დიეტა	74
2.6.2.	ოპერაციული ჩარევა	76
2.6.2.1.	ApoE <sup>-/-</sup> დეფიციტური თაგვების საერთო საძილე არტერიის ტრანსფექცია	77
2.6.2.1.1.	აპლიკაციის ტექნიკის გამოყენება	78
2.6.2.1.2.	ინექციის ტექნიკის გამოყენება	78
2.6.3.	სისხლძარღვის ამოღება და მისი მომზადება	80

	შემდგომი კვლევისათვის	
2.6.4.	სისხლძარღვების დამუშავება და გამოკვლევა აპლიკაციის ტექნიკით მათი ტრანსფექციის შემდეგ	80
2.7.	საძილე არტერიებზე ჩატარებული ჰისტომორფოლოგიური კვლევები	81
2.7.1.	პრეპარატების მომზადება	81
2.7.1.1.	პარაფინის ბლოკები	83
2.7.1.2.	პარაფინის ანათლების დამზადება	83
2.7.1.3.	კრიობლოკების წარმოება	84
2.7.1.4.	კრიობლოკების დაჭრა	84
2.7.2.	ჰისტოლოგიური ღებვა	85
2.7.2.1.	პარაფინის და კრიოანათლების H&E-ღებვა	86
2.7.2.2.	პარაფინისა და კრიო ანათლების PAS - ღებვა	90
2.7.2.3.	სუდან IV-ღებვა (Sudan-Herxheimer's Staining)	92
2.7.3.	მიკროსკოპია	93
2.8.	სტატისტიკური გამოკვლევა	94
<b>თავი III.</b>	<b>კვლევის შედეგები</b>	<b>95</b>
3.1.	HMEC-1 უჯრედული კულტურაზე მუშაობის შედეგები	95
3.2.	რეცეპტორექსპრესიის განსაზღვრა გამდინარე ციტომეტრიის გამოყენებით (FACS)	96
3.3.	დინამიური ადჰეზიური კვლევის შედეგები	97
3.3.1.	მონოციტების ადჰეზიის ბლოკადა ენდოთელურ უჯრედებზე დინების პირობებში	97
3.3.2.	მონოციტების ენდოთელიუმის ზედაპირზე მტკიცე ადჰეზიის შესწავლის შედეგები	100
3.3.3.	მონოციტების ენდოთელიუმის ზედაპირზე ბრუნვის/პირველადი ადჰეზიის შესწავლის შედეგები	104
3.3.4.	კორელაციური ანალიზის შედეგები	108
3.4.	IN VIVO სამუშაოების შედეგები	110
3.4.1.	ApoE-/- დეფიციტურ თაგვებში ათეროსკლეროზის	112

	მორფოლოგიური დახასიათება ჰისტოლოგიური კვლევის შედეგად	
3.4.2.	პათოლოგიური ათეროსკლეროზული ცვლილებები წარმოდგენილი H&E და PAS ღებვის მეთოდებით	113
3.4.3.	სუდან IV ღებვის შედეგები	116
<b>თავი IV.</b>	<b>მიღებული შედეგების განხილვა</b>	<b>118</b>
	<b>დასკვნები</b>	<b>136</b>
	<b>მომავლის პერსპექტივები</b>	<b>137</b>
	<b>გამოყენებული ლიტერატურა</b>	<b>139</b>

## გამოყენებული აბრევიატურა

<b>AAV</b>	ადენო-ასოცირებული ვირუსი (Adeno-Associated Virus)
<b>ADP</b>	ადენოზინდიფოსფატი (Adenosindiphosphat)
<b>AP-1</b>	აქტივაციის პროტეინი (Activation Protein-1)
<b>BSA</b>	ძროხის შრატის ალბუმინი (Bovine Serum Albumine)
<b>°C</b>	ცელსიუსის საზომი, გრადუსი (Celcius)
<b>CHO</b>	იმორტალიზებული ეპითელური უჯრედული შტო, რომელიც მღრღნელების საკვერცხის კულტურისაგან იწარმოება (Chinese Hamster Ovary)
<b>CD</b>	უჯრედის ზედაპირული ანტიგენი (Cluster of Differentiation)
<b>cDNA</b>	დეზოქსირიბონუკლეინის მუავა (Complementary DNA)
<b>CMV</b>	ციტომეგალოვირუსი (Cytomegalo-Virus)
<b>CRP</b>	C რეაქტიული პროტეინი (C-reactive Protein)
<b>DMEM</b>	CHO-უჯრედების საკვები ხსნარი (Dulbecco's modified Eagle's medium)
<b>DMSO</b>	დიმეთილსულფოქსიდი (Dimethylsulfoxid)
<b>ECGM</b>	HUVEC უჯრედების საკვები ხსნარი (Endothelial Cell Growth Medium)
<b>ECGS</b>	HUVEC-საკვებ ხსნარზე დანამატი

	(Endothelial Cell Growth Supplement)
<b>EDTA</b>	ეთილენდიამინტეტრაკმარმუავა (Ethylenediaminetetraacetate)
<b>EGF</b>	ენდოთელური ზრდის ფაქტორი (Endothelial Growth Factor)
<b>ELAM-1</b>	ენდოთელური ლეიკოციტების ადჰეზიური მოლეკულა-1 (Adhesionmolecul-1)
<b>ELISA</b>	ენზიმ-ბმული იმუნოსორბენტული ანალიზი (Enzyme-Linked Immunosorbent Assay)
<b>ESL-1</b>	E სელექტინის ლიგანდი-1 (E-Selektin Ligand-1)
<b>FACS</b>	ფლუორესცენციის გზით აქტივირებული უჯრედების სკანი (Fluorescence Activated Cell Scan)
<b>Fc</b>	ანტისხეულის ეფექტური რეგიონი (Fc crystalline Fragment of antibody)
<b>FITC</b>	ფლუორესცენ-5-იზოთიოციანატი (Fluorescein-5-isothiocyanat)
<b>FKS</b>	ფეტალური ხბოს შრავი (Fetal Calf serum)
<b>FSC</b>	წინ მიმართული გაფანტული სინათლე FACS-ში (Forwardscatter)
<b>g</b>	აჩქარების მუდმივა (Acceleration of Gravity)
<b>GFP</b>	მწვანე მოფლუორესცენცირე პროტეინი (Green-fluorescence Protein)
<b>HMEC</b>	ადამიანის მიკროვასკულური ენდოთელური უჯრედები (Human Microvascular Endothelial Cells)
<b>HUVEC</b>	პირველადი ენდოთელური უჯრედები, რომლებიც მიიღება ადამიანის ჭიპლარის ვენისაგან (Human Umbilical Vein Endothelial Cell)
<b>ICAM</b>	ინტერცელულარული ადჰეზიური მოლეკულა

	(Intercellular Adhesion Molecule)
<b>IFN</b>	ინტერფერონი (Interferon)
<b>Ig</b>	იმუნოგლობულინი (Immunoglobulin)
<b>Ig-Superfamilie</b>	იმუნოგლობულინ-სუპეროჯახი (Immunoglobulin-Super family)
<b>IL</b>	ინტერლეიკინი (Interleukin)
<b>LAM-1</b>	ლეიკოციტარული ადჰეზიური მოლეკულა-1 (Leukocyte Adhesion Molecule-1)
<b>LB</b>	ლურია-ბერტანის კულტურის მედიუმი (Luria-Bertani Zell Culture Medium)
<b>LDL</b>	დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები (Low Density Lipoprotein)
<b>LFA-1</b>	ლეიკოციტების ფუნქციასთან ასოცირებული ანტიგენი-1, ინტეგრინის ოჯახის ზედაპირული რეცეპტორი (Leukocyte Function Associated Antigen-1)
<b>LPS</b>	ლიპოპოლისაქარიდი (Lipopolysaccharid)
<b>MCDB</b>	უჯრედული კულტურის მედიუმი (მოლეკულური, უჯრედული და განვითარებადი ბიოლოგია, კოლორადოს უნივერსიტეტის განყოფილება) (Molecular, Cellular and Developmental Biology (Department at the University of Colorado))
<b>MCP-1</b>	ქემოატრაქტიული მონოციტების პროტეინი-1 (Monocyte Chemoattractant protein-1)
<b>MCS</b>	ვექტორის კლონირების მხარე (Multiple Cloning Side)
<b>NCAM</b>	ნეიტრალური უჯრედული ადჰეზიური მოლეკულა (Neural Cell Adhesion Molecule)



<b>MOPS 3</b>	მორფოლინო-1 პროპანსულფონმჟავა (Morpholino-1-Propansulfonacid)
<b>NF-<math>\beta</math></b>	ნუკლეარული ფაქტორი $\beta$ (Nuclear Factor $\beta$ )
<b>NK</b>	ბუნებრივი კილერ-უჯრედი (Natural Killer cell)
<b>NO</b>	აზოტის მონოქსიდი (Nitrate Monoxide)
<b>p</b>	აღბათობა (Probability)
<b>PBS</b>	ფოსფატ-ბუფერული მარილი, ბუფერული ხსნარი (pH=7,4) (Phosphate Buffered Saline)
<b>PCT</b>	პროკალციტონინი (Procalcitonine)
<b>PECAM</b>	თრომბოციტები / ენდოთელური უჯრედული ადჰეზიური მოლეკულა-1 (Platelet / Endothelial Cell Adhesion Molecule-1)
<b>Pen / Strep</b>	პენიცილინი / სტრეპტომიცინი (Penicillin / Streptomycin)
<b>PMA</b>	პორბოლ მარისტატის აცეტატი, პროტეინ C კინაზა, ლეიკოციტების სტიმულაციის აქტივატორი (Phorbol Myristate Acetate, Protein C Kinase)
<b>PMN</b>	პოლიმორფულ-ნუკლეარული უჯრედები (Polymorph-Nuclear Cell)
<b>PSGL-1</b>	P-სელექტინის გლიკოპროტეინ ლიგანდი-1 (P-Selectin Glycoprotein Ligand-1)
<b>RNA</b>	რიბონუკლეინის მჟავა (Ribonucleic acid)
<b>rpm</b>	ბრუნის წუთში (Rounds Per Minute)

<b>RT</b>	ოთახის ტემპერატურა (Room Temperature)
<b>SDS</b>	ნატრიუმდოდეცილსულფატი (Sodium Dodecyl Sulfate)
<b>SSC</b>	გვერდითი გაფანტული სინათლე FACS-ში (Sidewardscatter)
<b>sVCAM-1</b>	ხსნადი ვასკულური უჯრედული ადჰეზიური მოლეკულა-1 (Soluble VCAM-1)
<b>TNF</b>	ტუმორ-ნეკროზის ფაქტორი (Tumor-Necrosis-Factor)
<b>Tris</b>	Tris-ჰიდროქსიმეთილ-ამინომეთანი (Tris-(hydroxymethyl)-aminomethan)
<b>u</b>	ერთეული (Unit)
<b>V</b>	ვოლტი (Volt)
<b>VCAM-1</b>	ვასკულური უჯრედული ადჰეზიური მოლეკულა-1 (Vascular Cell Adhesion Molecule-1)
<b>VEGF</b>	ვასკულური ენდოთელური ზრდის ფაქტორი (Vascular Endothelial Growth Factor)
<b>VLA-4</b>	ძალიან გვიანი ანტიგენი-4, ინტეგრინების ოჯახის ზედაპირული ანტიგენი, ლიგანდი (Very Late Antigen-4)
<b>WT</b>	ველური ტიპი (Wild Type)
<b>vWF</b>	ფონ ვილებრანდის ფაქტორი (von Willebrand-Factor)
<b>w / v</b>	წონის დამოკიდებულება მოცულობასთან (წონა/მოცულობა) (Weight / Volume)

## შესავალი

ათეროსკლეროზი კომპლექსური, ქრონიკული ანთებითი დაავადებაა, რომელიც აღმოცენდება ენდოთელიუმის დაზიანებაზე პასუხად (Ross, 1999). ათეროგენეზი დინამიური პროცესია. იგი იწყება ბავშვობაში, უსიმპტომოდ პროგრესირებს ხანგრძლივი პრეკლინიკური სტადიის განმავლობაში და ბოლოს კლინიკურად მანიფესტირებს. ათეროსკლეროზი იყო და არის განვითარებულ ქვეყნებში სიკვდილიანობისა და ავადობის ყველაზე გავრცელებული მიზეზი. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 2014 წლის მსოფლიო ჯანმრთელობის სტატისტიკის ანგარიშის თანახმად ლეტალობის 20 ყველაზე გავრცელებულ მიზეზს შორის პირველ ადგილზე დასახელდა გულის იშემიური დაავადება, ხოლო მესამე ადგილზე ინსულტი. ყოველწლიურად კარდიოვასკულური დაავადებებით მსოფლიოში იღუპება 17 მილიონი ადამიანი. დაავადებების კონტროლისა და პრევენციის ცენტრის და ამერიკის კარდიოლოგთა ასოციაციის 2014 წლის გულის დაავადებებისა და ინსულტის სტატისტიკის განახლებული მონაცემების თანახმად ლეტალობის საერთო მაჩვენებლის 31% მოდის კარდიოვასკულური დაავადებებით გამოწვეულ ლეტალობაზე მამაკაცებში, ხოლო 26.8% კი ქალებში. ათეროსკლეროზი წარმოადგენს შრომის უნარის დაკარგვისა და ინვალიდობის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მიზეზს. ცნობილ რისკ ფაქტორებთან ერთად როგორებიცაა მამრობითი სქესი, ასაკი, სიმსუქნე, ჰიპერტენზია, მემკვიდრული წინასწარგანწყობა, თამბაქოს მოხმარება, უმოძრაობა, ლიპიდური ცვლის ანომალიები, შაქრიანი დიაბეტი, ფსიქოსოციალური და მეტაბოლური ფაქტორები, გამოვლინდა სხვა მრავალი ფაქტორი, რომელიც ენდოთელური დისფუნქციის განვითარების პროცესში მონაწილეობს. ათეროსკლეროზი მულტიფაქტორული, სისტემური, ქრონიკული დაავადებაა და ხასიათდება ინტიმაში პათოლოგიური ცვლილებებით. ენდოთელიუმის დისფუნქცია წინ უძღვის მორფოლოგიური ათეროსკლეროზული ცვლილებების განვითარებას და მონაწილეობს ათეროსკლეროზული დაზიანების ფორმირებასა და გვიანი კლინიკური გართულებების განვითარებაში. თანამედროვე სამეცნიერო წარმოდგენა ათეროსკლეროზის შესახებ ცხადყოფს ანთების ფუნდამენტურ როლს ამ დაავადების განვითარების ყველა ეტაპზე მისი ინიციალიზაციიდან პროგრესირებამდე და საბოლოოდ მისი მძიმე გართულებების ჩამოყალიბებამდე. ახალი სამეცნიერო მიდგომები წარმოაჩენენ მნიშვნელოვან კავშირს რისკ

ფაქტორებსა და ათეროგენეზის მექანიზმებს შორის. ფუნდამენტური მეცნიერება ანთების ბიოლოგიის შესახებ ათეროსკლეროზთან მიმართებაში მნიშვნელოვან როლს ანიჭებს ათეროსკლეროზულ პროცესში მონოციტ-ენდოთელური ურთიერთქმედების მექანიზმებს.

დაუზიანებელი, ნორმალური ენდოთელიუმი არ ახდენს ლეიკოციტებთან ურთიერთქმედებას. თუმცა, ათეროგენეზის ადრეულ სტადიაშივე არტერიების ენდოთელური უჯრედები ახდენენ თავიანთ ზედაპირზე სელექტიური ადჰეზიური მოლეკულების ექსპრესიას, რომლებიც თავის მხრივ იზიდავენ ლეიკოციტების სხვადასხვა სახეობის უჯრედებს და ახდენენ მათ ადჰეზიას. სწორედ ვასკულური ადჰეზიური მოლეკულა 1 (VCAM1) უკავშირდება ლეიკოციტებს, კერძოდ კი მონოციტებს და T ლიმფოციტებს რომლებიც აღმოჩენილ იქნენ ათერომის ექსპერიმენტულ მოდელებში. ცხადია, ენდოთელურ უჯრედებზე VCAM1 ექსპრესიის მატება არ წარმოადგენს ათერომის განვითარების ერთადერთ მიზეზს, თუმცა თავგებს, რომლებიც ტრანსგენეტიკურად შეიცავენ დეფექტიან VCAM1 არ უვითარდებათ ათეროსკლეროზი (Cybulsky, 2001). საინტერესოა, რომ ადჰეზიური მოლეკულის VCAM1 მომატებული ექსპრესია ემთხვევა არტერიული ხის ათერომატოზული დაზიანების არეებს. ასევე საყურადღებოა, რომ ენდოგენური ათეროპროტექტორული მექანიზმები ნაკლებად აღმოცენდებიან არტერიების იმ არეებში, სადაც ენდოთელური უჯრედები განიცდიან პათოლოგიურ ზეგავლენას სისხლის ნაკადის დარღვეული ტურბულენტური დინების გამო (Topper, 1996). ცნობილია, რომ ამ ფაქტორს შეუძლია გამოიწვიოს ასევე ლეიკოციტების ადჰეზიური მოლეკულების ექსპრესიის მატება (Nagel, 1994). როდესაც არ არსებობს სისხლის დინების პროცესში ნორმალური ლამინარული წანაცვლების დაძაბულობა (shear stress), დაქვეითებულია ენდოთელიუმის მიერ NO გამომუშავებაც. ამ ენდოგენურ ვაზოდilatატორს აგრეთვე აქვს ანტი-ანთებითი თვისებები და ცნობილია ამასთანავე, რომ მას შეუძლია განაპირობოს VCAM1 ექსპრესიის შეფერხება (De Caterina R, 1995). შეცვლილი წანაცვლების დაძაბულობა და სიჩქარე ხელს უწყობს არტერიული გლუვი კუნთოვანი უჯრედების პროლიფერაციას, რომლებიც თავის მხრივ იზიდავენ ლიპოპროტეინის ნაწილაკებს, ხელს უწყობენ მათ ოქსიდაციურ გარდაქმნას და ამით აჩქარებენ დაზიანების კერებში ანთებითი პასუხის განვითარებას (Lee, 2001). მას შემდეგ რაც ლეიკოციტები ადჰერირდებიან ენდოთელიუმზე, იწყება მათი ინტიმაში პენეტრაცია. ამ პროცესში მონაწილეობს

ასევე მონოციტარული ქემატრაქტანტული პროტეინი-1, რომელიც პირდაპირ პასუხისმგებელია მონოციტების სუბენდოთელურ შრეებში ტრანსმიგრაციის პროცესზე (Gu, 1998; Boring, 1998). ადგილი აქვს მონოციტების სუბენდოთელურ აკუმულაციას, მათში ლიპოპროტეინების ჩართვას და მათ მაკროფაგებად გარდაქმნას. ისინი ჩაირთავენ ქოლესტერინს, რაც ხელს უწყობს ქაფიანი უჯრედების განვითარებას, რომლებიც ახდენენ ათეროსკლეროზული პროცესის პროგრესირებას, ლიპიდების კიდევ მეტად ჩართვას და ათეროსკლეროზული ფოლაქის ჩამოყალიბებას, საბოლოოდ კი ფოლაქის ნეკროზული ბირთვისა და ფიბროზული სახურავის ფორმირებას. ფოლაქის რუპტურა კი საფუძვლად უდევს ათეროთრომბოზულ გართულებებს, თავის ტვინის, გულისა და პერიფერიული არტერიების დაზიანების კლინიკურ გამოვლინებებს ინსულტის, ინფარქტის, თრომბოზების, ანევრიზმების, პერიფერიული ვასკულური დაავადებისა და სხვათა სახით.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული მონოციტებსა და ენდოთელურ უჯრედებს შორის ურთიერთქმედება გადამწყვეტ როლს თამაშობს ათეროგენეზის პროცესში. ათეროგენეზის ფორმირების პროცესში ლეიკოციტების ენდოთელიუმზე ადჰეზია მრავალი კვლევის შედეგად დადასტურებულია (Parks, 2013; Gerrity, 1981, Pober, 1990, Bauer, 1992). ვასკულური ენდოთელი ამ პროცესში ჩართულია მის ზედაპირზე მრავალი სპეციალური ადჰეზიური მოლეკულის ექსპრესიის საშუალებით. გარკვეული ადჰეზიური მოლეკულები მრავალსაფეხურიანი პროცესის ფარგლებში არეგულირებენ ლეიკოციტების მიგრაციას ათეროსკლეროზის უბნებში. ერთერთი ასეთი ადჰეზიური მოლეკულაა სწორედ ვასკულური ადჰეზიური მოლეკულა 1 (VCAM1).

VCAM1 (CD106) არის იმუნოგლობულინ-სუპეროჯახის წევრი. იგი არის 90kD ზომის უჯრედის ზედაპირული გლიკოპროტეინი, რომელიც ენდოთელურ, ეპითელურ, დენდრიტულ უჯრედებზე და მაკროფაგებზეა ექსპრესირებული (Yutaka Nakashima, 1998, Albelda, 1990, Endres, 1997, Konstantopoulos, 1997). ეს ტრანსმემბრანულად ლოკალიზებული გლიკოპროტეინი არის ერთი მხრივ უჯრედზე მიმაგრებული, ხოლო მეორე მხრივ იგი თვით იკავშირებს სპეციფიურ ექსტრაცელულარულ ლიგანდებს. VCAM1 თამაშობს ცენტრალურ როლს მონონუკლეარული უჯრედების როგორებიცაა მონოციტები და T-ლიმფოციტები ენდოთელურ უჯრედებზე ადჰეზიაში (Sakai, 1997; Walpola, 1995; Marui, 1993). იგი ურთიერთქმედებს VLA-4 (Very

Late Antigen-4) - თან, რომელიც მუდმივად ექსპრესირდება მონოციტებსა და ლიმფოციტებზე და განაპირობებს ამ უჯრედების ფიქსაციას ენდოთელიუმის ზედაპირზე. ცნობილია, რომ ენდოთელიური უჯრედები აქტივირდებიან ციტოკინების (TNF- $\alpha$ , IL-6, INF- $\gamma$ ) საშუალებით. აქტივირებულ ენდოთელიურ უჯრედებზე კი წარმოდგენილია VCAM1-ის მაღალი ექსპრესია. კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ ენდოთელიური VCAM1-ის მაღალი ექსპრესია აღინიშნება ApoE-/- თაგვებსა და ბოცვრებში ადრეული ათეროსკლეროზული დაზიანების ადგილებში (Yutaka Nakashima, 1998; Albelda, 1990; Endres, 1997). VCAM1 თამაშობს განსაკუთრებულ როლს როგორც ლეიკოციტების პირველადი ადჰეზიის (ე.წ. „ბრუნვა“ Rolling), ასევე მათ მტკიცე ადჰეზიასა და ადჰეზიის ფინალურ ფაზაში - მონოციტების გავრცელებასა და ფიქსაციაში (ე.წ. Spreading und Tethering). ამ განსაკუთრებულობის გამო მრავალ ნაშრომში VCAM-1 განიხილება როგორც ათეროსკლეროზის პოტენციური მარკერი (Craig, 1998; Ronald, 2002; Parks; 2013). საინტერესო იყო ამ რეცეპტორის ექსპრესიის შესწავლა ენდოთელიურ უჯრედულ კულტურებში, რამდენადაც უჯრედული კულტურების გამოყენება ენდოთელიუმის დაზიანებით მიმდინარე დაავადებების კვლევაში აპრობირებული და ხელსაყრელია. სწორედ ასეთი უჯრედული კულტურები წარმოადგენენ ენდოთელიუმის in vitro მოდელს.

ვასკულური ენდოთელიური უჯრედები მდებარეობენ სისხლძარღვის კედელზე, მისი სანათურის მხარეს და ურთიერთქმედებენ სისხლსა და ქსოვილს შორის, ამით ისინი გადამწყვეტ როლს თამაშობენ მრავალ მნიშვნელოვან ფიზიოლოგიურ და პათოლოგიურ პროცესში (Sakai, 1997). ადამიანის ენდოთელიური უჯრედების გამოყენებამ in vitro უჯრედული კულტურის სისტემებში შესაძლო გახადა ანთების, ანგიოგენეზის, ჭრილობის შეხორცების, ათეროსკლეროზის და სხვა ექსპერიმენტული მოდელის ჩატარება. ენდოთელიური უჯრედების იზოლაციისა და კულტივირების მეთოდები შემუშავებული იქნა ენდოთელიური უჯრედების სხვადასხვა ფორმებზე.

VCAM-1 უკავშირდება მონოციტებს, ლიმფოციტებს და ეოზინოფილურ გრანულოციტებს. განსაკუთრებული ინტერესის მქონეა ფაქტი, რომ VCAM-1 შეუძლია განაპირობოს როგორც მონოციტების ბრუნვისმაგვარი ადჰეზია ენდოთელიურ უჯრედებზე, ასევე მათი მტკიცე ადჰეზია, მათი სუბენდოთელიური მიგრაცია და აკუმულაცია. VCAM-1 თამაშობს დომინანტურ როლს ათეროსკლეროზის ინიცირების პროცესში. მრავალი კვლევით დადასტურებულია,

რომ ამ ადჰეზიური მოლეკულის ექსპრესია სხვებისაგან განსხვავებით წარმოდგენილია მხოლოდ დაზიანების კერებში და ადჰეზიური კასკადის VCAM-1 მიერ რეგულაციის მოდელი უნიკალურია (I.M.Cybulsky,2001; Hansson, G.K. et all. 1991). ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე VCAM-1 უფუნქციო რეცეპტორად გარდაქმნით ენდოთელიუმში მონოციტების ქრონიკული ჩართვის პროცესის დათრგუნვა არაჩვეულებრივი შესაძლებლობა იქნებოდა ათეროგენეზის ინჰიბიციისათვის.

მიზანმიმართულ და გამართლებულ ცდას წარმოადგენს ენდოთელიუმზე მონოციტების ადჰეზიის ინჰიბიცია VCAM-1-ის ფუნქციური ბლოკადის საშუალებით რაც შესაძლოა მიღწეულ ყოფილიყო კონკურენტული ხსნადი პროტეინებით ენდოთელიუმის შესაბამისი ტრასფექციის შემთხვევაში. ამ მიზნით ქვრებიურგის საუნივერსიტეტო კლინიკის ბაზაზე შეიქმნა ხსნადი პროტეინი CD7/VCAM. იგი შედგება CD7 და β3 ერთეულებისაგან. შიდაუჯრედული დომენი წინარე ნაშრომებში წარმატებით კონკურირებდა ინაქტივირებულ VCAM1 რეცეპტორთან მისი ციტოჩონჩხთან მიმაგრების ადგილებისათვის სტატიურ ადჰეზიურ კვლევებში (ნაშრომი S.Marheineke, 2002). კლონირებული CD7 ნაწილი კი მოიცავდა ტრანსმემბრანულ და ექსტრაცელულარულ დომენებს და ასრულებდა ექსტრაცელულური მარკერის როლს. CD7 განსაკუთრებული უპირატესობა არის მცირე სპეციფიური ლიგანდების შეკავშირება. VCAM1-ის წარმატებული დათრგუნვით ხსნადი პროტეინის CD7/VCAM გამოყენებით შესაძლოა მიგველო უფუნქციო ნატიური რეცეპტორი, რაც თავის მხრივ აისახებოდა ერთდროულად CD7/VCAM და VCAM1 ექსპრესიის გზით კონკურენციაში შიდაუჯრედული VCAM1-ის დომენის ციტოჩონჩხთან შეკავშირების დონეზე. ეს კი შედეგად მოგვცემდა მონოციტების ენდოთელიუმთან ურთიერთქმედების რგოლის გამოვარდნას ათეროსკლეროზის განვითარების პროცესში. CD7/VCAM კონსტრუქტის მონოციტ-ენდოთელური ურთიერთქმედების მაინჰიბირებელი ეფექტი შეიძლება სამომავლო გენთერაპიული მნიშვნელობის აღმოჩნდეს არა მხოლოდ ათეროსკლეროზისათვის არამედ აგრეთვე ვასკულური ქრონიკული ანთებითი პროცესების დათრგუნვისათვის. დაზიანების კერაში CD7/VCAM კონსტრუქტის პერკუტანული კორონარული ინტერვენციის გზით მიწოდება შესაძლოა ლოკალურ ანტიათეროსკლეროზულ მკურნალობად მოიაზრებოდეს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მიგველწია VCAM1 რეცეპტორის უფუნქციო რეცეპტორად გარდაქმნისათვის რეცეპტორკონკურენტული ხსნადი პროტეინის

CD7/VCAM-1 გამოყენებით. მარჰეინეკეს შრომაში წარმატებით იქნა ნაჩვენები სტატიურ ადჰეზიურ კვლევებში უფუნქციო VCAM1 რეცეპტორის ინაქტივაცია (S. Marheineke 2002). წინამდებარე შრომის მიზანი კი არის მონოციტებისა და ენდოთელიუმის უერთიერთქმედების CD7/VCAM კონსტრუქტის საშუალებით ინჰიბიციის შესწავლა დინამიურ ადჰეზიურ კვლევებში.

აღნიშნული უერთიერთქმედება შესწავლილ იქნა HMEC1 ენდოთელურ უჯრედებზე (შესაბამისი ტრანსფექციითა და სტიმულაციით) გამდინარე კამერის სისტემაში მონოციტების ნაკადის წინასწარგანსაზღვრული დინების სიჩქარის პირობებში. მოცემული შრომის ფარგლებში ჩატარდა ასევე *in vivo* კვლევები ApoE-/- დეფიციტურ თაგვებზე, რომელთაც სპონტანურად და განსაკუთრებით ქოლესტერინით მდიდარი დიეტის ფონზე უვითარდებათ ათეროსკლეროზი. ApoE-/- დეფიციტური თაგვების საშუალებით შესაძლოა ათეროგენეზის შესწავლა დაავადების სხვადასხვა სტადიაზე. CD7/VCAM1 ხსნადი პროტეინის ათეროსკლეროზის ცოცხალ მოდელში შესასწავლად რამოდენიმე მეთოდი გამოიცადა.

უჯრედების ადჰეზიის ბლოკადის საწყისი ნაბიჯები იყო ხსნადი პროტეინის შექმნა, ამ პროტეინით ტრანსგენური უჯრედების ტრანსფექცია, CD7/VCAM და ადჰეზიური მოლეკულების ტრანსგენური ექსპრესიის განსაზღვრა, სტატიური ადჰეზიური ცდები, ტრანსმიგრაციული ცდები, მუშაობა ტრანსგენურ ენდოთელურ უჯრედებზე (HUVECs), ციტოჩონჩხის ბლოკირების შესწავლა (ნაშრომი S.Marheineke, 2002). ტრანსგენურ უჯრედთა კულტურებზე ჩატარებული ამ ცდების შედეგები დაედო საფუძვლად CD7/VCAM1 კვლევების გაგრძელებას ადამიანის ენდოთელური უჯრედების მოდელზე და *in vivo* ათეროსკლეროზის მოდელზე.



## კვლევის ამოცანები:

### **In Vitro:**

- დინამიურ ადჰეზიურ კვლევის მოდელში VCAM1 რეცეპტორის ფუნქციისა და სპეციფიურობის შესწავლა;
- VCAM1 რეცეპტორის ექსპრესიის შესწავლა გამდინარე ციტომეტრიის საშუალებით ენდოთელური უჯრედული კულტურის ციტოკინებით სტიმულაციისა და CD7/VCAM1 კონსტრუქტით ტრანსფექციის შედეგად;
- მონოციტ-ენდოთელური ურთიერთქმედების შესწავლა დინამიურ ადჰეზიურ კვლევის მოდელში ენდოთელური უჯრედული კულტურის ციტოკინებით სტიმულაციისას;
- CD7/VCAM1 კონსტრუქტის შესწავლა დინამიურ ადჰეზიურ კვლევის მოდელში ენდოთელური უჯრედული კულტურის ციტოკინებით სტიმულაციისა და შესაბამისი CD7/VCAM1 ტრანსფექციის ფონზე;

### **In Vivo:**

- CD7/VCAM1 კონსტრუქტის შესწავლა ApoE<sup>-/-</sup> დეფიციტურ თაგვებში აპლიკაციის ტექნიკის გამოყენებით;
- CD7/VCAM1 კონსტრუქტის შესწავლა ApoE<sup>-/-</sup> დეფიციტურ თაგვებში ინექციის ტექნიკის გამოყენებით;

## ლიტერატურის მიმოხილვა

### 1.1. ათეროსკლეროზი

#### 1.1.1. ეპიდემიოლოგია და პათოგენეზი

ათეროსკლეროზი წარმოადგენს არტერიების დაავადებას. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად "ათეროსკლეროზი არის არტერიების ინტიმის ცვლილებების ვარიანტული კომბინაცია, რომელიც შედგება ლიპიდების, კომპლექსური ნახშირწყლების, სისხლისა და სისხლის პროდუქტებისაგან, ფიბროზული ქსოვილისა და კალციუმის დეპოზიტებისაგან და ასოცირებულია არტერიებში მედიალურ ცვლილებებთან".

ათეროსკლეროზი სისტემური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება სისხლძარღვებში პათოლოგიური ცვლილებებით, როგორც ინტიმის მეზენქიმური უჯრედების ასევე სისხლძარღვის შუა შრის (Intima Media) ღრმა შრეების დონეზე. მუხუდოს მარცვლის მაგვარი პათოლოგიური წარმონაქმნები განთავსებული სისხლძარღვის კედელში კი ე.წ. „ათეროსკლეროზული ფოლაქები“.

არტერიული სისტემის ეს დაავადება ვითარდება ნელა და ხშირად დიდხანს უსიმპტომოდ მიმდინარეობს. ის მანიფესტირებს იშემიის, სტენოკარდიის, მიოკარდიუმის ინფარქტის, ინსულტის, თრომბოზების, უეცარი სიკვდილის სახით. ათეროსკლეროზი და მისი გართულებები დასავლურ ცივილიზაციაში ლეტალობის ყველაზე ხშირი მიზეზია. შესაბამისად ათეროსკლეროზი წარმოადგენს უდიდეს ეპიდემიოლოგიურ და მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის პრობლემას. მრავალი ათეული წელია ათეროსკლეროზი არის სამედიცინო და ბიოქიმიური კვლევის ცენტრში მთელ მსოფლიოში. ეს პროგრესირებადი დაავადება ბავშვობაში იწყება და მისი კლინიკური მანიფესტაცია საშუალოდან ხანდაზმულ ასაკში ხდება.

#### 1.1.2 ათეროგენეზის ჰიპოთეზები

ათეროსკლეროზის პათოგენეზის თეორიები ეფუძნება ჯერ კიდევ ვირხოვის (Virchow Frankfurt-am-Main, Meidinger Sohn and Co.,1856), როკიტანსკის (Con Rokitansky, C.: London, The Sydenham Society, 1852) და დუგუიდის (Duguid,

J.B.Pathol.Bacteriol.58:207,1946) ადრეულ შრომებს. ცნობილია პათოლოგ-ანატომმა როკიტანსკიმ (1804 - 1878) (იენის 1990) წარმოადგინა ე.წ. "ინკრუსტაციის" თეორია, რომელიც საბოლოოდ დუგუიძმა გადაამუშავა. ამ თეორიის თანახმად არტერიების კედლების დაზიანების უბნებთან არსებობენ მცირე ზომის კედლისმიერი თრომბები, რომლებიც თანდათან გლუვი კუნთოვანი ქსოვილის განვითარებასთან ერთად ორგანიზდებიან. ამას თან ერთვის ლიპიდების აკუმულაცია. ცნობილ ექიმს, პათოლოგ-ანატომს, ბიოლოგს, ანთროპოლოგს რუდოლფ ვირხოვს (1821 - 1902) ჰქონდა ათეროსკლეროზის განვითარების სრულიად განსხვავებული ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც ათეროსკლეროზი წარმოადგენს არტერიების ანთეზას. ანთებითი ცვლილებები კი არტერიების კედლების შუა და შიდა შრეებში სისხლიდან ლიპიდების ჩალაგების შედეგი უნდა ყოფილიყო. (ვირხოვ 1856, Ackcknecht 1977).

1973 წელს ეს ორი თეორია გაერთიანდა ახალი ცოდნის საფუძველზე. კერძოდ კი ათეროსკლეროზის აღმოცენების პროცესში საჭიროდ მიიჩნიეს უჯრედული და მოლეკულურ-ბიოლოგიური მექანიზმების როლის გათვალისწინება. ეს ჰიპოთეზა ცნობილია „დაზიანებაზე-პასუხი“-ს სახელწოდებით „response-to-injury-hypothesis of atherosclerosis“. (Ross and Glomset 1973, Ross and Harker 1976, Ross 1990).

მონოკლონური ჰიპოთეზა, რომელიც ასევე 1973 წელს იქნა ფორმულირებული ვარაუდობს, რომ ათეროსკლეროზული დაზიანებები შესაძლოა ნეოპლაზიური ფორმის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენდეს (Benditt 1973).

### **„დაზიანებაზე-პასუხი“-ს ჰიპოთეზა – ე.წ. „response-to-injury-hypothesis“**

„დაზიანებაზე-პასუხი“-ს ჰიპოთეზის თანახმად არტერიების კედლის გარკვეულ ანატომიურ მონაკვეთებზე ადგილი აქვს ენდოთელური უჯრედების დაზიანებას. თვით დაზიანება არის ამ ჰიპოთეზის ამოსავალი წერტილი. ცნობილია ამერიკელმა მეცნიერმა ათეროსკლეროზის მკვლევარმა რუსელ როსმა 1976 წელს გამოთქვა მოსაზრება, რომ თვით სისხლთან მომიჯნავე სისხლძარღვის კედლის შრის დაზიანება წარმოადგენს მაინიცირებელ ფაქტორს კომპლექსური, ათეროსკლეროზული მოვლენის განვითარებაში. ინტიმა შედგება ენდოთელური უჯრედების ერთრიგად განლაგებული შრისაგან და სუბენდოთელური შემაერთებული ქსოვილისაგან. ენდოთელური შრის დაზიანების მრავალი მიზეზი არსებობს: ტრავმის გზით მისი მორფოლოგიური დაზიანება, მექანიკური

დაზიანება, ბიოქიმიური დაზიანება ბაქტერიული ტოქსინების საშუალებით, ვირუსებით გამოწვეული დაზიანება ან ანტიგენ-ანტისხეულის რეაქციით ინტიმის დაზიანება. ეს ფაქტორები განაპირობებენ კომპლექსურ ურთიერთქმედებებს ენდოთელიუმს, მიოციტებს, ლიმფოციტებს, მონოციტებს, თრომბოციტებს, მაკროფაგებსა და ზრდის ფაქტორებს შორის (Ross 1981; Ross 1990; Ross 1993; Liao 1998). აქედან გამომდინარე ათეროსკლეროზის განვითარებაში მნიშვნელოვანია ლეიკოციტების ტრანსმიგრაცია და აკუმულაცია სუბენდოთელურ შრეებში, გლუვი კუნთოვანი უჯრედების პროლიფერაცია და მათი მიგრაცია ინტიმასა და ინტიმა მედიაში, რაც თავის მხრივ გამოწვეულია ზრდის ფაქტორებით, როგორებიცაა მაგ. ციტოკინები და ე.წ. „ქაფიანი უჯრედების“ წარმოქმნა სისხლძარღვის კედლის ამ შრეებში, განპირობებული მათში ლიპიდების ჩალაგებით. ეს მოვლენები დროთა განმავლობაში იწვევენ სისხლძარღვის კედელში მუხუდოს მარცვლისმაგვარი ცვლილებების ფორმირებას, რომელნიც „ფოლაქებად“ იწოდებიან და რომლებიც მიკროსკოპიულად ათეროსკლეროზს წარმოადგენენ. (Ross 1993).

### 1.13 ათეროსკლეროზის რისკ-ფაქტორები

ამ კომპლექსური, ქრონიკულ-ანთებითი პროცესის განვითარებაში მრავალი ფაქტორი მონაწილეობს.

#### არამოდლიფიცირებადი ფაქტორები

##### ასაკი

შეუცვლელი რისკფაქტორი არის ადამიანის ხანდაზმული ასაკი. მრავალმა კვლევამ დაადასტურა, რომ ჯერ კიდევ სიცოცხლის ადრეულ ასაკში შესაძლოა არსებობდეს ორგანიზმში ათეროსკლეროზული ცვლილებები. 10 დან 14 წლამდე ასაკის ბავშვთა აუტოფსიის შედეგად დაახლოებით ნახევარში შეიძლება ლიპიდებით მდიდარი მაკროფაგების ე.წ. „fatty streaks“ არსებობის დადასტურება (Ross 1993). გასქელებული ინტიმის არეების დადგენა ადამიანში შესაძლოა დაბადებისთანავე (Stary et al.1995). თუმცა ბავშვებში ათეროსკლეროზი შემოიფარგლება მხოლოდ საწყისი სტადიებით. მხოლოდ სიცოცხლის მესამე ათწლეულში ვითარდება ათეროსკლეროზული ცვლილებების კლინიკური მანიფესტაცია (Stary et al.1995).

ასაკთან ერთად იმატებს ათეროსკლეროზული დაზიანებების სიმძიმე და სისშირე, ისევე როგორც მისი გართულებების გამოვლინებები.

## **სქესი**

მამრობითი სქესისათვის მრავალ კვლევაში დადასტურდა ათეროსკლეროზის განვითარების მნიშვნელოვნად მომატებული რისკი. ამასთან მიმართებაში მდედრობითი სასქესო ჰორმონები მნიშვნელოვან ანტიათეროსკლეროზულ როლს თამაშობენ (Ceska et al. 2006). ცნობილია, რომ ესტროგენთერაპიას თან ახლავს სისხლში LDL ქოლესტერინის დონის დაქვეითება და HDL ქოლესტერინის დონის მატება როგორც მამაკაცებში ასევე ქალებში (Kuller 2003). თუმცა პროგნოზი ქალბატონებში დაავადების შემთხვევაში გაცილებით ცუდია, ვიდრე მამაკაცებში (Duarte et al. 2002 ; Vittinghof et al.2002; Sparks and Frazier et al. 2002 ).

## **ოჯახური წინასწარგანწყობა / გენეტიკური დაავადებები**

გენეტიკური ასპექტები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს ათეროსკლეროზის პათოგენეზში. მრავალჯერ იქნა დადასტურებული, რომ დადებითი ოჯახური ანამნეზი დამოუკიდებელი რისკ ფაქტორია. მზგავსი დადგენილია ასევე სხვა რისკ-ფაქტორებთან მიმართებაში როგორებიცაა დიაბეტი, ჰიპერტონია და ჰიპერლიპიდემია (Descamps et al.2003; Higgins 2000; Li et al.2000; Herman and Paul 2001).

## **მოდიფიცირებადი ფაქტორები**

### **მწვეველობა**

თამბაქოს მოხმარების საშუალებით ორგანიზმში ხვდება უამრავი მაგნე ნივთიერება როგორებიცაა მხუთავი აირი, ალდეჰიდები, კადმიუმი, ათასობით სხვადასხვა მაგნე ქიმიური აგენტი - ნიტროამინები, ბენზოპინენები, ციანწყალბადი, ბილიონობით თავისუფალი რადიკალი, რომლებიც ესენციურ ანტიოქსიდანტებს გახარჯავენ. თავისუფალი რადიკალები აზიანებენ ორგანიზმის ცილებს, ლიპიდებს და დნმ-ს. უჯერი ცხიმოვანი მჟავები განიცდიან ოქსიდაციას და ფიქსირდებიან არტერიის კედლებზე (Karl et al.2004). მწვეველებში ათეროსკლეროზული გართულებების სისშირე ბევრად დიდია (Zeihner et al.1993).

## **სიმსუქნე**

არამხოლოდ ზედმეტი წონა არის ათეროსკლეროზის რისკ-ფაქტორი, არამედ ცხიმის განაწილებაც, განსაკუთრებით პაციენტებში მაღალი ე.წ. „waist-to-hip-ratio“ (თანაფარდობა წელისა და ბარდაყის ზომებს შორის) (Dietze et al. 2000; Hu and Willett 2002; Abbassi et al. 2002).

## **უმოძრაობა**

ფიზიკურ აქტივობას აქვს დადებითი ზემოქმედება ყოველ ორგანოთა სისტემაზე. ამ გზით მიიღწევა წონის რედუქცია, ინსულინრეზისტენტობის დაქვეითება, HDL-ქოლესტერინის მატება და LDL-ქოლესტერინის დაქვეითება, იმუნური სისტემის გაძლიერება, არტერიული წნევის დაქვეითება, C-რეაქტიული პროტეინის და ფიბრინოგენის დაქვეითება და კიდევ მრავალი სხვა.

## **სტრესი**

მოდულირებად ფაქტორებში განიხილება ასევე ემოციური სტრესი. ადამიანის ემოციურ დატვირთვას დიდი მნიშვნელობა აქვს ათეროსკლეროზის განვითარებაში. ცნობილია, რომ არსებობს ასოციაცია დეპრესიულ სიმპტომებს, ემოციურ სტრესსა და ათეროსკლეროზის სუბკლინიკურ ფორმებს შორის (R.Hernandez, 2014).

## **ფაქტორები, რომელთაც შესაძლოა ვუმკურნალოთ**

### **შაქრიანი დიაბეტი**

დიაბეტური მაკროანგიოპათია ანუ დიდი სისხლძარღვების კედლების გაზრდილი გამავლობა ხელს უწყობს ათეროსკლეროზის განვითარებას. შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტებში აღინიშნება სისხლძარღვების გამოსატული ცვლილებები და ათეროსკლეროზული გამოვლინებების მაღალი სიხშირე. მრავალი ფაქტორია, რომელიც ამაში მონაწილეობს. ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, რომელიც ასოცირებულია დიაბეტთან განაპირობებს დისლიპიდემიას და ექსტრაცელულური მატრიქსის გლუკო-ოქსიდაციას. ამ დაავადების ფონზე კლასიკური ათეროსკლეროზული რისკ ფაქტორების სიხშირე როგორებიცაა ჰიპერტონია, სიმსუქნე, დისლიპიდემია მატულობს (Arschag&Mooradian et al.2003).

## **არტერიული ჰიპერტენზია**

ეპიდემიოლოგიური კვლევებით დემონსტრირებულ იქნა, რომ ჰიპერტენზია წარმოადგენს ათეროსკლეროზის ერთ-ერთ რისკ ფაქტორს, თუმცა ძირითადი მექანიზმები, რომლებიც აკავშირებს ამ ორ დაავადებას კომპლექსური და ჯერ კიდევ საკამათოა (M.Kobayashi,1995). პოტენციური ვაზოკონსტრიქტორის ანგიოტენზინ II-ის კონცენტრაცია, ჰიპერტენზიის მქონე პაციენტებში მომატებულია. ანგიოტენზინ II გლუვი კუნთების სპეციალურ რეცეპტორებს უკავშირდება, იწვევს ფოსფოლიპაზა C-ს აქტივაციას, ინტრაცელულარული კალციუმის დონის მატებას, გლუვი კუნთოვანი უჯრედების პროლიფერაციას. ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებენ ორივეზე არტერიულ წნევასა და გლუვი კუნთოვანი უჯრედების პროლიფერაციაზე შესაძლოა თამაშობდნენ ცენტრალურ როლს ათეროსკლეროზსა და ჰიპერტენზიას შორის ურთიერთკავშირის პროცესში (M.Kobayashi,1995,R.Weyne,1995). ჰიპერტენზიას აქვს ასევე პროინფლამატორული ზეგავლენა სისხლძარღვებზე. არსებობს ჰიპოთეზა, რომ ანთება შესაძლოა იყოს ხიდი ჰიპერტენზიასა და ათეროსკლეროზს შორის (J.J.Li, 2004, Franklin et al.1999).

## **ჰიპერლიპიდემია**

ჰიპერლიპიდემია თამაშობს ცენტრალურ როლს ათეროსკლეროზის განვითარებაში. არსებობს კორელაცია სისხლში ქოლესტერინის, ტრიგლიცერიდების დონესა და გულის კორონარული დაავადების განვითარებას შორის (Li et al.2002; Gotto 2002). ლიპოპროტეინები განირჩევიან თავიანთი სიმკვრივის მიხედვით. LDL (Low-Density-Lipoprotein) იგივე დაბალი სიმკვრივის მქონე ლიპოპროტეინის მომატებული დონე წარმოადგენს ათეროსკლეროზის განვითარების და პროგრესირების გაზრდილ რისკს. გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე პროტექტორული ეფექტი გააჩნია HDL (High-Density-Lipoproteine) მაღალი სიმკვრივის მქონე ლიპოპროტეინს (Gotto2002; Ross1976; Franklin et al.1999;Rösen 2002).

## **სხვა რისკ-ფაქტორები**

არსებობს უამრავი დაავადება როგორებიცაა ჰიპოთირეოზი, ოსტეოპოროზი, დეპრესია, მეტაბოლური სინდრომი, პაროდონტიტი და სხვა, რომლებიც ასევე განიხილებიან ათეროსკლეროზის რისკ ფაქტორებად.

## ინფექცია

ბაქტერია *Chlamidia pneumoniae* შესაძლოა წარმოადგენდეს დამოუკიდებელ რისკ ფაქტორს ათეროსკლეროზისათვის. ეს საკითხი ჯერ კვლევის პროცესშია. სხვა გამომწვევები როგორებიც არიან *Helicobacter pylori* და ჰერპეს ვირუსი ასევე ეჭვქვეშ არიან (Auer, J. Berent, T. 2004). ქრონიკული რესპირატორული, უროგენიტალური ინფექციები მრავალი ავტორის მიერ განიხილება როგორც ათეროსკლეროზის შესაძლო რისკ ფაქტორები (Auer, J. Berent, T. 2004).

## 1.2. ათეროსკლეროზის განვითარების სტადიები

ათეროსკლეროზი მუდმივად მოპროგრესირე დაავადებაა. ჰისტოლოგიური ანათლები როგორც წესი წარმოაჩენენ ათეროსკლეროზული ფოლაქის განვითარების სხვადასხვა სტადიებს. ჰისტოლოგიურ სურათზე პათოლოგიური ცვლილებები შესაძლოა იდენტიფიცირებულ იქნას ათეროსკლეროზული ფოლაქების განვითარების სტადიებთან. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი ასახავს ფოლაქების შემადგენლობას მათი განვითარების სხვადასხვა სტადიებზე ადამიანებში.


ტიპი	მორფოლოგიური კრიტერიუმები	
I	გაბნეულად მდებარე ლიპოპროტეინით-დატვირთული მაკროფაგები (=ქაფიანი უჯრედები)	
II	ქაფიანი უჯრედების დეპოზიტები და ლიპიდებით დატვირთული გლუვი კუნთოვანი უჯრედები ქმნიან ცხიმოვან ფენას	
III	შუალედური სტადია: პრეათერომა ჩაშენებული ლიპიდური დეპოზიტებით	
IV	ათერომა: ლიპიდური დეპოზიტები იზრდებიან, ერთდებიან, ჩნდება რუპტურის საშიშროება	
V	ფიბროათერომა: ლიპიდების შრესთან ერთად ყალიბდება შემაერთებელქსოვილოვანი შრე	
	Vb	ძლიერი კალციფიკაცია
	Vc	ძირითადად შემაერთებელქსოვილოვანი სტრუქტურა
VI	რთული დაზიანება: დამატებით ფიბროზულ ფოლაქში ნაპრალები, ჰემორაგია ან თრომბები	

ცხრილი 1: ათეროსკლეროზული ფოლაქის განვითარების სტადიები ადამიანში




სტარის თანახმად (Stary, 2000).


ApoE<sup>-/-</sup> დეფიციტურ თაგვებში ათეროსკლეროზული ფოლაქების განვითარების სტადიების ვიზუალიზირებული კლასიფიკაცია როზენფელდის მიხედვით:




I




II




IIIa




IIIb



IIIc



IIIe,f



### IIIe,g

#### სურათი 1

**L** = სანათური (Lumen), **FFN** = ფიბროციმოვანი ბირთვი (Fibrofatty nodule) = პროგრესირებულ დაზიანებას ქოლესტერინის კრისტალებით, **X** = ქსანთომა (Xanthom).

I: ფოლაქი ქაფიანი უჯრედებით;

II: ფოლაქი ქოლესტერინის კრისტალებით;

IIIa: ფიბრო-ციმოვანი ბირთვი სანათურის გაქრობით, ჰემორაგია;

IIIb: ფიბრო-ციმოვანი ბირთვი ფიბროზული სახურავის გაქრობით;

IIIc: ფიბრო-ციმოვანი ბირთვი ჰემორაგიით, ფოლაქის რუპტურა;

IIIe,f: ფიბრო-ციმოვანი ბირთვი ფენების წარმოქმნით და ქონდროციტისმაგვარი უჯრედები;

IIIg: ფიბრო-ციმოვანი ბირთვი ნეკროზით და ფოლაქის თავსახურის ნეკროზული რღვევით.

## 1.3 მოლეკულური მექანიზმები ათეროსკლეროზის განვითარებაში

### 1.3.1 ენდოთელიუმის როლი ათეროსკლეროზის განვითარების ადრეულ სტადიაზე

ენდოთელიუმი წარმოადგენს ინტიმის სისხლძარღვის სანათურისაკენ მიმართულ ენდოთელური უჯრედების შრეს. გულ-სისხლძარღვთა სისტემის ყველა სისხლძარღვი წარმოადგენილია ენდოთელური უჯრედების ერთშიანი განლაგებით. ენდოთელიუმი მიუხედავად თავისი მიკროსკოპული მოცულობისა (სშორად ის 1 მკმ-ზე ნაკლებია) არის აქტიური, დინამიური ქსოვილი, რომელიც მრავალ

მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. ის არის მულტიფუნქციური ორგანო, რომლის დისფუნქცია არის ათეროსკლეროზის განვითარების კრიტიკული ფაქტორი. სისხლძარღვის ეს შიდა შრე არის სისხლის კონტეინერი და წარმოადგენს სელექციურ, პერმეაბილურ ბარიერს. ენდოთელის სპეციალიზირებული სტრუქტურების საშუალებით, როგორებიცაა ზედაპირული გლიკოკოლიქსი, უჯრედულ-უჯრედული კავშირები, მიკროვეზიკულები, ტრანსცელულარული არხები, სუბენდოთელური მატრიქსი რეგულირდება ინტრავასკულური სივრციდან მაკრომოლეკულების ტრანსპორტი. ენდოთელს აქვს უნარი შეიცნოს სიგნალები სისხლის ნაკადიდან, მოახდინოს მათი ინტეგრირება და სპეციფიურ სიგნალებად გარდაქმნა. იგი წარმოადგენს არა მხოლოდ სენსორს და მიმღებს, არამედ აგრეთვე სიგნალების გადამცემია ისეთი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების წარმოქმნის გამო როგორებიცაა ლიპიდმედიატორები, ციტოკინები, ზრდის ფაქტორები, ვაზოტონუსის მარეგულირებელი სუბსტანციები, პროსტაციკლინი, აზოტის მონოქსიდი, ენდოთელინ-1, ანგიოტენზინ II და მრავალი სხვა. ვასკულური ენდოთელის მნიშვნელოვან ფუნქციებს შორის არის: უჯრედული სიგნალების ამოცნობა და გარდაქმნა, ჰომეოსტაზისა და თრომბოზების დინამიური რეგულაცია, სისხლძარღვოვანი ტონუსის რეგულირება, სისხლძარღვის ზრდისა და რემოდელირების პროცესის რეგულაცია, ანთებით და იმუნოლოგიურ რეაქციებში მონაწილეობა. ენდოთელი არის სისხლის შემცველი რეზერვუარი, სელექტიური გამავლობის ბარიერი, ბიოლოგიური რეაქციების მედიატორების წყარო და სამიზნე (Gimbrone A, Topper JN.1999; Baumgartner-Parzer SM, Waldhaus WK2001; Rösen P, 2002; ).

### 1.3.2 ენდოთელური დისფუნქცია

ათეროსკლეროზის განვითარებას ადრეულ სტადიაზე თან ახლავს ენდოთელური დისფუნქცია. იგი ხასიათდება შეცვლილი ვაზოაქტივობით ენდოთელიუმზე დამოკიდებული რელაქსაციის შეზღუდვით, პლაზმის პროტეინებისათვის სისხლძარღვის კედლის გაზრდილი გამავლობით და ლეიკოციტების სელექტიური ჰიპერადჰეზიურობით, თრომბოზული გართულებებით და ჰომეოსტაზისა და ფიბრინოლიზის შორის ბალანსის დარღვევით (Simonevscu N, Simonevscu M.1992; Nabel EG, Selwyn AP, Ganz P.1990; Tak PP, Firestin GS. 2001; Casas J.P., Bautista L.E, 2004).

პროინფლამატორული სტიმული როგორიც შეიძლება იყოს ზემოთ ნახსენები რისკ

ფაქტორები ზემოქმედებენ ენდოთელზე და ენდოთელის გამავლობა ლიპოპროტეინებისათვის და სისხლში მოცირკულირე სხვა ნივთიერებებისათვის მატულობს. ამავდროულად ადგილი აქვს პირველადი პროინფლამატორული ციტოკინების როგორებიც არიან ინტერლეიკინი (IL-1) და სიმსივნის ნეკროზის ფაქტორის (Tumor Nekrose Faktor (TNF- $\alpha$ )) წარმოქმნას. ეს განაპირობებს ენდოთელური უჯრედების აქტივაციას, ადგილი აქვს ენდოთელიუმიდან და სხვა უჯრედებიდან ადჰეზიური მოლეკულების, პროტეინების გამოთავისუფლებას. აქტივირებული ენდოთელური უჯრედები თავიანთ ზედაპირზე გაძლიერებულად ახდენენ იმ ადჰეზიური მოლეკულების ექსპრესიას, რომლებიც მონოციტებისა და ლიმფოციტების მიმაგრებას განაპირობებენ. სელექტინები იწვევენ მონოციტებისა და T ლიმფოციტების დროებით კონტაქტს ენდოთელურ უჯრედებზე, უჯრედული ადჰეზიური მოლეკულები კი პირიქით ახდენენ მათ მიმაგრებას ენდოთელიუმის ზედაპირზე. ამით შესაძლებელი ხდება ლეიკოციტების შეჭრა განხორციელდეს სისხლძარღვის სუბინტიმურ შრეში. (Libby.2003; Imhof, Koenig 2003). მრავალი პროსპექტული კვლევით დადგინდა, რომ არსებობს პირდაპირი კავშირი სისტემურ ანთების მარკერებსა როგორებიც არიან ადჰეზიური მოლეკულები (ICAM-1, VCAM-1 und E-Selektin), ციტოკინები (IL-6, TNF- $\alpha$ ) და სხვა მწვავე ფაზის პროტეინები მაგ. C რეაქტიული პროტეინი (CRP) და ანგიო-კარდიოლოგიურ მოვლენებს შორის (Ross R.1999).

#### **1.4. ადჰეზიური მოლეკულები**

ადჰეზიური მოლეკულები არიან უჯრედის ზედაპირზე არსებული პროტეინები, რომლებიც რეცეპტორ-ლიგანდ პრინციპით უჯრედებს შორის მიზნობრივ კონტაქტს ახორციელებენ და ამით უჯრედული კომუნიკაციის საშუალებას იძლევიან. ადჰეზიური მოლეკულების სხვადასხვა ოჯახები ადამიანის ორგანიზმში სხვადასხვა მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ და ამით არეგულირებენ ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე დინამიურ პროცესებს. ისინი განაპირობებენ ერთი უჯრედის კავშირს მეორესთან ან ექსტრაცელულურ მატრიქსთან (Piggot R. 1993). სტრუქტურული ჰომოლოგიების საფუძველზე ადჰეზიური მოლეკულები სხვადასხვა მოლეკულურ ოჯახებად იყოფა:

- იმუნოგლობულინ-სუპეროჯახი
- კადჰერინები
- სელექტინები
- ინტეგრინები

ლეიკოციტების მიგრაციაში მონაწილე მოლეკულები ეკუთვნიან სელექტინების, ინტეგრინების და იმუნოგლობულინ-სუპეროჯახის ჯგუფს.

### 14.1 სელექტინები

სელექტინები არის ადჰეზიური მოლეკულების ჯგუფი, რომლებიც მწვავე ან ქრონიკული ანთების პროცესში ლეიკოციტების ვასკულურ ენდოთელზე ადჰეზიასა და მათი ანთებად ქსოვილში ქემოტაქტილურ მიგრაციაში მონაწილეობენ. ამასთან სელექტინები ააქტიურებენ მთლიანი ადჰეზიური მოვლენების კომპლექსურ კასკადს. სისხლის კაპილარული ნაკადიდან ლეიკოციტები მოძრაობის შენელების გამო იწყებენ ე.წ. „ბრუნვას“ ("Rolling") და კონცენტრირდებიან ლოკალურად სისხლძარღვის კედლის გასწვრივ. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიათ სხვა ადჰეზიურ მოლეკულებს მართონ ლეიკოციტების ენდოთელთან მყარი კავშირი და მათი შემდომი მიგრაცია ქსოვილში. სელექტინები უკავშირდებიან გლიკოპროტეინებზე არსებულ სპეციალურ ოლიგოსაქარიდებს და გლიკოლიპიდებს.

აქამდე ცნობილია მხოლოდ სამი სელექტინი: E-, P- და L- სელექტინი. E-და P-სელექტინები მდებარეობენ სისხლძარღვების ენდოთელზე, ხოლო P-სელექტინი დამატებით მდებარეობს ასევე თრომბოციტების ზედაპირზეც. რაც შეეხება L-სელექტინს იგი ლეიკოციტებზეა ექსპრესირებული. სელექტინები თამაშობენ დიდ როლს ლეიკოციტების მიგრაციის ადრეულ ფაზაში. ისინი განაპირობებენ პირველ კონტაქტს ლეიკოციტებსა და სისხლძარღვის ენდოთელს შორის. ამის შედეგად ადგილი აქვს ფენომენს ე.წ. „ბრუნვას“ „Rolling“. ლეიკოციტები ბრუნავენ სისხლძარღვის შიდა შრის გასწვრივ (Rosales, Juliano, 1995).

**სელექტინების ფუნქცია**

**ლეიკოციტების მოთოკვა-შეჩერება და ბრუნვა**

→ გადაადგილება ანთების კერისაკენ

	<b>L-სელექტინი</b>	<b>E-სელექტინი</b>	<b>P-სელექტინი</b>
<b>ექსპრესიის არეები</b>	ლიმფოციტები (მაღალი ექსპრესია ბუნებრივ T-უჯრედებზე, მსუბუქი ექსპრესია მეხსიერების უჯრედებზე) ნეიტროფილური გრანულოციტები მონოციტები	ენდოთელი	ენდოთელი, თრომბოციტები
<b>ექსპრესიის რეგულაციის გზა</b>	ციტოკინებით სტიმულირებადი	TNF, IL-1 ციტოკინებით სტიმულირებადი (4-6სთ)	სტიმულირებულია (წამებიდან წუთებამდე), გრანულაში შენახული
<b>სამიზნე-უჯრედები</b>	ენდოთელური უჯრედები	ნეიტროფილური გრანულოციტები	ნეიტროფილური გრანულოციტები, მონოციტები

*ცხრილი 2 - სელექტინების დახასიათება (R.Tauber, 2006)*

**14.2. ინტეგრინები**

ინტეგრინები არიან რეცეპტორის ცილები, რომლებიც უჯრედებს ექსტრაცელულურ მატრიქსთან აკავშირებენ და რეაგირებენ გარედან-შიგნით და შიგნიდან-გარეთ სიგნალებზე (outside-in / inside-out Signalling). ისინი არიან მოლეკულების დიდი ოჯახი და ექსპრესირდებიან სხვადასხვა ქსოვილში. ქიმიური თვალსაზრისით ინტეგრინი შედგება ორი ერთეულისაგან (α- და β-), რომლებიც ერთმანეთთან კავშირშია. ალფა და ბეტა ქვეერთეულებისათვის არსებობს სხვადასხვა ქვეტიპი როგორებიცაა ბეტა 1, ბეტა 2 და ა.შ. ლეიკოციტებზე რამოდენიმე ინტეგრინი არსებობს, რომელიც ლეიკოციტების მიგრაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. აქედან ერთ-ერთი არის ლიმფოციტების ფუნქციური ანტიგენი-1 (LFA-1). იგი ექსპრემირებულია თითქმის ყველა ლეიკოციტის ზედაპირზე. სხვა ინტეგრინი, მაკროფაგ-1 (Mac-1), საპირისპიროდ

მხოლოდ გრანულოციტებზე და მონოციტებზე არსებობს. ინტეგრინები განაპირობებენ ლეიკოციტების მტკიცე ადჰეზიას ენდოთელიუმზე. ეს არის ლეიკოციტების სისხლის ნაკადიდან გადმოსვლის (მიგრაციის) ერთერთი აუცილებელი პირობა (Bevilacqua&Nelson, 1993; Humphries 2000; Hynes, 2002).

**ინტეგრინების ბიოლოგიური ფუნქციები და მოქმედების მექანიზმები**

ინტეგრინების ბიოლოგიური ფუნქციები	უჯრედების გადაადგილება →	შეჩერება, ციტოქონჩხის ორგანიზაცია
	უჯრედული პროცესები/ მდგომარეობები როგორებიცაა →	პოლარობა, ჰომეოსტაზი, გადარჩენა/აპოპტოზი, ზრდა,დიფერენცირება
	ინტეგრინები მონაწილეობენ →	<ul style="list-style-type: none"> <li>➢ პოლარიზებული უჯრედული კულტურის წარმოქმნა</li> <li>➢ კორექტული ქსოვილოვანი არქიტექტურა</li> </ul>
მოქმედების მექანიზმი	ინტეგრინებს შეუძლიათ უამრავი სხვადასხვა სიგნალების გადაცემის გზების აქტივირება (მაგ.პროტეინკინაზა, Ras, Rho.)	
	მხოლოდ ინტეგრინები <b>სშირად არასაკმარისია</b> ისეთი ეფექტების მისაღწევად როგორებიცაა გადარჩენა, პროლიფერაცია ან დიფერენციაციის გამოწვევა, აუცილებელია იმავდროულად აგრეთვე სხვა სიგნალებების აქტივაცია (მაგ.ზრდის ფაქტორებით) → <b>სინერგიზმი, ნებადამრთველი მოქმედება</b>	

**ცხრილი 3 - ინტეგრინების ოჯახის მიმოხილვა (R.Hynes, 2002)**

**14.3. იმუნოგლობულინ-სუპეროჯახი**

იმუნოგლობულინ სუპეროჯახის წევრები არიან მემბრანული პროტეინები, რომელთა ექსტრაცელულური არე სულ მცირე ერთ იმუნოგლობულინის დომენს (Ig-Domäne) შეიცავს (Williams&Barclay, 1988). შიდაუჯრედული ნაწილის არსებობა

განაპირობებს როგორც შესაბამისი მოლეკულის შეკავშირებას უჯრედის ციტონონხსთან, ასევე უზრუნველყოფს სიგნალის გადაცემის ფუნქციასაც. ისევე როგორც თვით იმუნოგლობულინებს ამ ოჯახის ბევრ სხვა წევრს აქვს სიგნალების აღქმის, უჯრედული ადჰეზიის, და რეცეპტორული ფუნქციები. ისინი არსებობენ სხვადასხვა ორგანოებსა და ქსოვილებში (Springer, 1990). ამ ჯგუფს ეკუთვნის იმუნური სისტემის მოლეკულები – B უჯრედული რეცეპტორი (BZR), T უჯრედული რეცეპტორი (TZR) და მათი კო-რეცეპტორები CD4/CD8, MHC მოლეკულები (Wdeman, 1987). იმუნოგლობულინების სუპეროჯახის პროტეინები ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ნერვული სისტემის ფუნქციონირებაში. ასეთებია მაგ. ნერვული უჯრედული ადჰეზიური მოლეკულა N-CAM, Nr-CAM, ნეიროფასცინი, IL1 (Crossin&Kruschel, 2000).

ამ ოჯახის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები არიან ინტრაცელულარული უჯრედული ადჰეზიური მოლეკულა-1 (ICAM-1) და ვასკულარული ადჰეზიური მოლეკულა-1 (VCAM-1). ICAM-1 და VCAM-1 თავიანთი სტრუქტურითა და ფუნქციით ერთმანეთთან მჭიდრო ნათესაობაში არიან. ორივე მათგანი უკავშირდება ლეიკოციტის ინტეგრინს (Gerrity, R.G. 1981). ნორმალურ თავებებსა და ბოცვრებში ორივე მათგანი ექსპრესირებულია აორტის ენდოთელიუმზე ათეროსკლეროზული ცვლილებების რეგიონებში. ჰიპერქოლესტერინემიის მქონე ცხოველებში ორივე მათგანის ექსპრესია ძალიან მომატებულია, განსაკუთრებით ქაფიანი უჯრედების ფორმირების ფაზაში, ათეროსკლეროზული დაზიანების არეებში, ნაწილობრივ ასევე პერიფერიაზე. თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ VCAM-1 უნიკალურია, რადგან მისი ექსპრესია მკაცრად შემოფარგლულია დაზიანების კერით და დაზიანებისადმი მიდრეკილი რეგიონებით, მაშინ როცა ICAM-1 ექსპრესია დაუზიანებელ აორტასა და დაზიანებისაგან დაცულ რეგიონებშია გამოხატული (Hansson, G.K. et all. 1991). ეს განსხვავება ექსპრესიის ნიმუშში მიუთითებს დაზიანების წარმოშობის პროცესში ამ მოლეკულების განსხვავებულ ფუნქციაზე და შესაბამისად მათ განსხვავებულ მნიშვნელობაზე ათეროსკლეროზული პროცესის განვითარებაში (Myron I. Cybulsky, 2001).



#### **1.4.4. ICAM1 - ინტერცელულარული ადჰეზიური მოლეკულა 1**

ICAM-1 (CD54) არის 95kD ზომის გლიკოპროტეინი, რომელიც ლეიკოციტებზე, ფიბრობლასტებზე, ენდოთელურ, ეპითელურ და სხვადასხვა სიმსივნურ უჯრედებზე ექსპრესირდება (Van de Stolpe & van der Saag, 1996). ენდოთელურ უჯრედებზე იუამ1 (ICAM-1) არის მცირე რაოდენობით წარმოდგენილი. შესაძლებელი იქნა ენდოთელურ უჯრედებზე TNF-, IFN- $\gamma$ - და IL-1 სტიმულაციის გზით ICAM-1-ის გაძლიერებული ექსპრესია მიეღოთ (Rothlein et al., 1988; Dustin et al., 1986).

როგორც ლიგანდები ცნობილია ინტეგრინები (LFA-1, Mac-1), რომლებიც წარმოდგენილია ლეიკოციტებზე, რინოვირუსებში და პლაზმოდოუმ ფალციპარუმით დაინფიცირებულ ერთროციტებზე (Greve et al., 1989; Hynes & Lander, 1992; Diamond et al., 1995). ICAM-1 თამაშობს მნიშვნელოვან როლს ლეიკოციტებსა და ენდოთელურ უჯრედებს შორის კავშირის შექმნაში. სელექტინების მიერ დამყარებული კონტაქტები ICAM-1-ის საშუალებით ჩანაცვლდება უფრო მყარ კონტაქტებად. კაპლანსკის მიერ ICAM-1 და VCAM-1 ურთიერთქმედება აღწერილია როგორც უმნიშვნელოვანესი მოვლენა ლეიკოციტების ენდოთელიუმთან შეკავშირების პროცესში (Kaplanski et al., 1998).

#### **1.4.5. VCAM1 - ვასკულური უჯრედული ადჰეზიური მოლეკულა 1**

VCAM-1 (CD106) არის იმუნოგლობულინ-სუპეროჯახის წევრი. ეს ადჰეზიური მოლეკულა არის 90kD ზომის უჯრედის ზედაპირული გლიკოპროტეინი, რომელიც ენდოთელურ, ეპითელურ, დენდრიტულ უჯრედებზე და მაკროფაგებზე ექსპრესირებული (Gearing & Newman, 1993). დნმ-ის სეკვენციური ანალიზის საშუალებით დაადგინეს, რომ VCAM-1 იმუნოგლობულინ-სუპეროჯახს ეკუთვნის. ადამიანებსა და თაგვებში იგი წარმოდგენილია შვიდი იმუნოგლობულინის მზგავსი დომენით (Cybulsky & Gimbrone, 1991). რთი ღობს ჯგუფის მიერ კომპანია Biogen-ში განახორციელეს მისი კლონირება და დაადგინეს, რომ იგი უკავშირდება ინტეგრინ  $\alpha_4\beta_1$  (VLA-4) და  $\alpha_4\beta_7$  (murine mucosal homing receptor, LPAM-1) (Roy Lobbs 2002).

VCAM-1 თამაშობს ცენტრალურ როლს მონონუკლეარული უჯრედების როგორებიცაა მონოციტები და T-ლიმფოციტები ენდოთელურ უჯრედებზე ადჰეზიაში, (Cybulsky et al., 1991). ეს ადჰეზიური მოლეკულა ურთიერთქმედებს VLA-4 (Very Late Antigen-4) - თან, რომელიც მუდმივად ექსპრესირდება მონოციტებსა და

ლიმფოციტებზე და განაპირობებს ამ უჯრედების ფიქსაციას ენდოთელიუმის ზედაპირზე. ენდოთელური უჯრედები აქტივირდებიან ციტოკინების (TNF- $\alpha$ , IL-6, INF- $\gamma$ ) და თრომბინის საშუალებით. აქტივირებულ ენდოთელურ უჯრედებზე წარმოდგენილია VCAM-1-ის მაღალი ექსპრესია. VCAM-1 ექსპრესიის მატება შესაძლოა ინდუცირებულ იქნეს ათეროსკლეროზული რისკ ფაქტორებით როგორცაა ჰიპერქოლესტერინემია, ე.წ. "AGEs" (Advanced Glycation End Products), ოქსიდირებული LDLs, სხვადასხვა ციტოკინის (IL-1, TNF- $\alpha$ ) მეშვეობით. VCAM-1 განაპირობებს ენდოთელური უჯრედული კონტაქტების გახსნას. ეს საშუალებას აძლევს ლეიკოციტებს გადავიდნენ სუბინტიმაში (Kumar et al. 1994).

მონოციტები წარმოადგენენ ლეიკოციტარული უჯრედების დაახლოებით 80%-ს ათეროსკლეროზული დაზიანების უბანში. ამიტომაც VCAM-1, რომელიც მართავს ამ უჯრედების ჩართვას სუბენდოთელურ შრეში უდიდესი როლი ენიჭება ათეროგენეზის ადრეულ სტადიაში. მრავალი კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ ენდოთელური VCAM-1 – ის გაძლიერებული ექსპრესია აღინიშნება ApoE-/- თაგვებსა და ბოცვრებში ადრეული ათეროსკლეროზული დაზიანების ადგილებში. VCAM1-ის მაღალი ექსპრესია დაფიქსირდა აგრეთვე ათეროსკლეროზით დაავადებულ პაციენტებში ათეროსკლეროზის შორსწასულ სტადიებში, ოლსონ და სრივასტავა თავიანთ ნაშრომებში აღნიშნავენ გამოკვლევების შესახებ VCAM-1 და  $\alpha_4$  ინტეგრინის დეფიციტის შემთხვევაში (Olson და Srivastava (1996). აღმოჩნდა, რომ ასეთ დეფიციტს შედეგად მოსდევს ეპიკარდიუმის დეზორგანიზაცია და მიოკარდიუმის შემდგომი გათხელება.

გარმი სუსინის მიერ დემონსტრირებულ იქნა, რომ ინტეგრინი  $\alpha_4\beta_1$  და ადჰეზიური მოლეკულა VCAM-1 ექსპრესიას განიცდიან მხოლოდ მოპროლიფერირე და არა მოსვენებულ ენდოთელურ და მურალურ უჯრედებზე (Garmy-Susini et al. 2005) .

VCAM-1 თამაშობს განსაკუთრებულ როლს როგორც ლეიკოციტების პირველადი ადჰეზიის (ე.წ. „ბრუნვა“ Rolling), ასევე ადჰეზიის ფინალურ ფაზაში - მათ გავრცელებასა და ფიქსაციაში (ე.წ. Spreading und Tethering) (Berlin C. 1995; Alon R. 1995). ამ განსაკუთრებულობის გამო მრავალ ნაშრომში VCAM-1 განიხილება როგორც ათეროსკლეროზის პოტენციური მარკერი. (Peter et al., 1999; Silvestro et al., 2005; Steven M. Albelda, 1994).

**ლეიკოციტ-ენდოთელური უჯრედული ადჰეზიური რეცეპტორების ექსპრესია და მათი ლიგანდები**

მოლეკულები	პირველადი ექსპრესია	ლიგანდი
<b>სელექტინები</b>		
<i>L-სელექტინი</i>	პოლიმორფულნუკლეარული ლეიკოციტები და ლიმფოციტები	CD34 Gly-CAM-1
<i>P-სელექტინი</i>	ენდოთელური უჯრედები, თრომბოციტები	<i>P-სელექტინი</i> გლიკოპროტეინ ლიგანდი (PSGL) <i>Syalil Lewis</i> და <i>სხვა</i>
<i>E-სელექტინი</i>	ენდოთელური უჯრედები	<i>Syalil Lewis</i> და <i>სხვა</i>
<b>ინტეგრინები</b>		
<i>LFA-1</i> ( <i>CD11a/CD18</i> )	პოლიმორფულნუკლეარული ლეიკოციტები და ლიმფოციტები	<i>ICAM1-ICAM2</i>
<i>Mac-1</i> ( <i>CD11b/CD18</i> )	პოლიმორფულნუკლეარული ლეიკოციტები	<i>ICAM-1</i> და <i>სხვა</i>
<i>VLA-4</i> ( $\alpha_4\beta_1$ )	ეოზინოფილების და ლიმფოციტები	<i>VCAM-1, FN</i>
<b>იმუნოგლობულინ-სუპეროჯახი</b>		
<i>ICAM-1</i>	ლიმფოციტები, ენდოთელური უჯრედები	<i>LFA1, Mac1</i>
<i>ICAM-2</i>	ლიმფოციტები, ენდოთელური უჯრედები	<i>LFA1</i>
<i>VCAM-1</i>	ენდოთელური უჯრედები	<i>VLA4</i>
<i>PECAM-1</i>	ენდოთელური უჯრედები, პოლიმორფულნუკლეარული ლეიკოციტები, ლიმფოციტები, თრომბოციტები	<i>PECAM, სხვა</i>

ცხრილი 4 ლეიკოციტ-ენდოთელური უჯრედული ადჰეზიური რეცეპტორები სტივენ ალბელდას თანახმად (*Steven M. Albelda*)

## 1.5. მონოციტები

მონოციტი არის ადამიანის სისხლის უჯრედული კომპონენტი, რომელიც ლეიკოციტების უჯრედულ კლასს განეკუთვნება. როდესაც ლეიკოციტები ტოვებენ მოციროკულირე სისხლს მათგან ყალიბდება მაკროფაგები, რომელთა ამოცანაა ორგანიზმის უცხო სხეულების განადგურება ფაგოციტოზის გზით და შექმნილი იმუნური პასუხის გააქტივება ანტიგენების წარმოდგენის გზით. თავიანთი 5-20 მკმ დიამეტრით მონოციტები ლეიკოციტებს შორის ყველაზე დიდი უჯრედებია და ლეიკოციტარული პოპულაციის დაახლოებით 3-8% შეადგენენ. მათ გააჩნიათ დამახასიათებელი დიდი ბირთვი ხშირად ლობიოს მარცვლის ფორმის და შედარებით მცირე ციტოპლაზმა. მონოციტები და მაკროფაგები ფიზიოლოგიური ნორმის პირობებში ახდენენ LDL, ცხიმოვანი ნივთიერებათა ცვლის მნიშვნელოვანი ნაწილის გადამუშავებას. LDL -ის მოდიფიცირების შემთხვევაში, რასაც ადგილი აქვს მისი პროტეინული ნაწილის აცეტილირების შედეგად, ოქსიდირებული, მოდიფიცირებული LDL ვეღარ გადამუშავდება და ხდება მისი ლეიკოციტარული უჯრედის შიგნით დაგროვება. ასე გარდაქმნილი მონოციტები და მაკროფაგები წარმოადგენენ ე.წ. „ქაფიან უჯრედებს“. ქაფიანი უჯრედები ქმნიან უდიდეს ნაწილს ყველა ცნობილი ათეროსკლეროზულად დაზიანებული, ე.წ. "ჩაკირული" სისხლძარღვებისა.

ისინი აღმოცენდებიან სისხლძარღვის ინტიმაში და ინტიმა მედიაში ცხიმების ჩალაგების შედეგად. ასეთი „ცხიმოვანი ფოლაქები“ ე.წ. „fatty streaks“ შეიძლება სისხლძარღვის კედლის 10-50% ფარავდეს. ასე ზიანდება ენდოთელიუმი. გამოკვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ ათეროსკლეროზული დაზიანების არეები შედგება როგორც ცხიმით გაჯერებული მაკროფაგების ასევე ცხიმით გაჯერებული გლუვი კუნთოვანი უჯრედებისაგან (Gimbrone M.A. , 1998).

სისხლში მოციროკულირე მაკროფაგები თავიანთ წინა ფორმაში, როგორც მონოციტები სისხლძარღვების ღრმა შრეებში აღწევენ ენდოთელური შრის გავლით. ეს პროცესი სტიმულირდება ქემოტაქტილური ფაქტორებით. ჯერ კიდევ სუბენდოთელში ადგილი აქვს მონოციტების ცვლილებას და მათ დიფერენცირებას მაკროფაგებად. იქ შეუძლიათ მაკროფაგებს ჩაილაგონ ლიპიდები და ქოლესტერინეთერები. ეს იწვევს ქაფიანი უჯრედების წარმოქმნას. ქიმიურად მოდიფიცირებული, ოქსიდირებული LDL მაკროფაგების მიერ ე.წ. სკავენჯერის

რეცეპტორებით უცვლელად და კონცენტრაციისდამიუხედავად შეიწოვება და შეინახება (Gebbers, G.O. 1998). ენდოთელიუმის დაზიანების შედეგად ვლინდება ათეროგენეზის ტიპური ფენომენი: ინტიმასა და მედიალურ შრეში მონოციტების მიგრაცია და აკუმულაცია, ამ შრეებში ცხიმების ჩალაგება, ქაფიანი უჯრედების წარმოქმნა, გლუვი კუნთოვანი უჯრედების პროლიფერაცია და მიგრაცია მედიალური შრიდან ინტიმაში. ეს მნიშვნელოვანი მოვლენები დროთა განმავლობაში განაპირობებენ ქსოვილებში მუხუდოს მარცვლისმაგვარი ცვლილებების განვითარებას, რომლებიც ცნობილია „ფოლაქების“ სახელწოდებით. კუმულირებული ქაფიანი უჯრედები და ლიმფოციტები, დაღუპული უჯრედები და ლიპიდების ჩართვის პროგრესირება, იწვევენ დაზიანების კერაში ნეკროზული ბირთვის გაჩენას. პარალელურად სხვა კუნთოვანი უჯრედები მიგრირებენ ინტიმაში და ექსტრაცელულარულ მატრიქსთან ქმნიან ფიბროზულ სახურავს. ასეთი სახურავით დაფარული არასტაბილური ფოლაქი განიცდის რუპტურას, სისხლი და ცხიმოვანი ბირთვის თრომბოგენული მასა ერთმანეთს ეხება და ჰემოსტაზის სისტემა აქტივირდება. ფოლაქის რუპტურა და თრომბის წარმოქმნა კლინიკურად მანიფესტირებს არასტაბილური სტენოკარდიისა, მიოკარდიუმის ინფარქტისა და სხვათა სახით (Bauer J. SS 2004).


## 1.6. მონოციტ-ენდოთელური ურთიერთქმედების საფუძვლები

ლეიკოციტების ურთიერთქმედება ვასკულარულ ენდოთელიუმთან სისხლძარღვის ანთების რეგიონებში აქტივაციაზე-დამოკიდებული ადჰეზიური მოლეკულების საშუალებით დინამიურად რეგულირდება. ლეიკოციტ-ენდოთელური ურთიერთქმედების დღეისათვის არსებული მოდელები, რომლებიც მრავალრიცხოვან კვლევებს ეფუძნება ამტკიცებენ, რომ ლეიკოციტების ინიციალური შეჩერება-ბრუნვის (Rolling), სტაბილური ადჰეზიის (Arrest), გავრცელების (Spreading) და საბოლოო დიაპედეზის პროცესში სელექტინების, ინტეგრინებისა და იმუნოგლობულინის-სუპეროჯახის მრავალი წევრი მონაწილეობს.

მონოციტების ადჰეზიის ადრეული კვლევები ჩატარებული კულტივირებულ ენდოთელურ უჯრედებზე სტატიურ პირობებში აჩვენებენ, რომ იზოლირებული მონოციტების ბაზალური ადჰეზია უფრო მაღალია ნეიტროფილებსა და

ლიმფოციტებთან შედარებით (Arnaout M.A., 1988; Bevilacqua M.P., 1987; Carlos T.M., 1990; Hakkert B.C., 1991; Harlan J.M., 1985; Pawlowsky N.A., 1985; Luscinskas F.W., 1991). ფაქტორები, რომლებიც მონოციტებსა და ენდოთელურ უჯრედებს ააქტიურებენ და ამით ვუამ-ის ექსპრესიის მატებასა და ქემოტაქტილური მიგრაციის საპასუხო რეაქციებს იწვევენ, მონოციტ-ენდოთელურ ურთიერთქმედებაში უდიდესი მნიშვნელობისაა. უჯრედის ადჰეზიური მოლეკულები და მათი რეგულაციის მექანიზმები პროგრამირებული პრინციპით მოქმედებენ და მონაწილეობენ ე.წ. ლეიკოციტ-ენდოთელურ უჯრედულ ადჰეზიურ კასკადში (Pober J.S., 1990; Butcher E.C., 1991; Smith C.V., 1993; Luscinskas F.W., 1989).

ენდოთელის აქტივირება ისეთი ფაქტორებით, როგორებიცაა TNF $\alpha$ , IL-1, LPS განაპირობებს მონოციტების ადჰეზიის 2-5-ჯერ გაზრდას. ადჰეზიური კასკადის პირველ ეტაპს წარმოადგენს ხანმოკლე და შექცევადი ადჰეზიური მოვლენა, რომელიც მონოციტების პირველ მცირე შეხებას განაპირობებს ენდოთელიუმის ზედაპირთან. ამ ეტაპზე ენდოთელური P- და E- სელექტინები და ნახშირწყლოვანი ლიგანდები უკავშირდებიან ლეიკოციტებს. ლეიკოციტების ინტეგრინი VLA-4 ურთიერთქმედებს VCAM-1-თან, რომელიც ექსპრესირდება ენდოთელიუმის მიერ. ეს საწყისი ნაბიჯი იწვევს მოცირკულირე უჯრედების სისხლძარღვის კედელზე ე.წ. "შეჩერება-ბრუნვას" "Rolling". ამ მოძრაობას მოსდევს შემდეგი სწრაფი მოვლენა ადჰეზიის მატება და ლეიკოციტების შეჩერება. ქემოატრაქტილური პროტეინები, რომლებიც გამომუშავდება ქსოვილების მიერ ან ენდოთელიუმის ზედაპირზე ექსპრესირდება ატარებენ სხვადასხვა სიგნალებს, რომელთა საშუალებითაც ინტეგრინების ადჰეზიური უნარი აქტივირდება. იმუნოგლობულინ-სუპეროჯახის წევრები VCAM-1 და ICAM-1 განაპირობებენ მონოციტების მყარ ადჰეზიას. ფინალურ ეტაპზე ადგილი აქვს ქემოტაქსისს და მონოციტების ტრანსმიგრაციას ენდოთელური შრის გავლით ქსოვილში. იმუნოგლობულინების-სუპეროჯახის სხვა წევრი PECAM-1 კი არის საჭირო მონოციტების შემდგომი ტრანსმიგრაციისათვის (Nakashima Y., 1998; Luscinskas F.W., 1994).



სურათი 2 ლეიკოციტ-ენდოთელური ურთიერთქმედება (მოდიფიცირებულია კლეის-ს „ლეიკოციტების ადჰეზიური კასკადის“ თანახმად, 1999)

### 1.7. ციტოჩონჩხის შებოჭვის მნიშვნელობა

ციტოჩონჩხი არის უჯრედის კომპლექსური, დინამიური, ფუნქციურად მნიშვნელოვანი სტრუქტურა. იგი შედგება პროტეინებისაგან, რომლებიც მთლიანობაში სამ დიდ სისტემას ქმნიან: აქტინფილამენტები, ინტერმედიალური ფილამენტები და მიკროტუბულები (Sabatini et al., 1963 J.Cell Biol.; Ishikawa et al., 1968 J. Cell Biol.). ციტოჩონჩხი პასუხისმგებელია უჯრედის ელასტიურობასა და მექანიკურ სტაბილურობაზე, უჯრედის როგორც ერთი მთლიანის მოძრაობაზე და მის გარეგან ფორმაზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი როლი უჯრედის დაყოფის პროცესში, ასევე გარეგანი სიგნალების აღქმაში და შემდგომ მათი უჯრედშიგნით გადაცემაში.

უჯრედების ადჰეზიისათვის სხვა უჯრედებზე ან ექსტრაცელულურ მატრიქსზე უმნიშვნელოვანესია ზედაპირული რეცეპტორების ციტოპლაზმური ნაწილის

შებოჭვა. ინტეგრინით განპირობებული ადჰეზიის შესწავლისას დადგინდა, რომ გარეთა დომენი ექსტრაცელულური მატრიქსის ნაწილს უკავშირება, მაშინ როდესაც პარალელურად ციტოპლაზმური ნაწილი ბოჭკოების აქტინფილამენტებს გადაეჭდობა. ციტოპლაზმური ნაწილი უკავშირდება ტალინს. ის კი თავის მხრივ უკავშირდება ვინკულინს. ეს სტრუქტურული პროტეინი მდებარეობს აქტინთან ერთად და შეჭიდულია აქტინფილამენტთან (Burrige&Chrzanowska-Wodnicka, 1996). LFA-1-ის ცდებში მიღწეულ იქნა ციტოჩონჩხის ფიბრილების ციტოქლაზინ D-ის საშუალებით დარღვევის შედეგად LFA-1 განპირობებული ლეიკოციტების ადჰეზიის ცვლილება (Peter&O'Toole, 1995; Kaapa A, Peter K, 1999).

უჯრედის ზედაპირული რეცეპტორის შიდაუჯრედული ნაწილის და უჯრედის ციტოჩონჩხის ურთიერთქმედება მნიშვნელოვანი შესწავლის საგანია. გამოკვლევებით დადგინდა, რომ ზედაპირული რეცეპტორი, რომელიც უჯრედზე წარმოდგენილია ციტოჩონჩხთან კონტაქტის გარეშე სავარაუდოდ ვერ შეძლებს თავისი ადჰეზიური ფუნქციის განხორციელებას. აქედან გამომდინარე შესაძლოა ციტოჩონჩხის შებოჭვის დათრგუნვა მონოციტების ენდოთელზე ადჰეზიის ინჰიბიციის პროცესში მნიშვნელოვანი კომპონენტი იყოს. ეს კონცეფცია გამოკვლეულ იქნა კონკურენტული ხსნადი პროტეინების საშუალებით (S.Marheineke 2002). ადჰეზიური მოლეკულების ასეთი ბლოკადა ათეროსკლეროზის მკურნალობაში ახალი თერაპიული ფორმების განვითარების შესაძლებლობას ქმნის.



## 2. მასალა და მეთოდები

მოცემული შრომის ფარგლებში *in vitro* ექპერიმენტები ჩატარებულ იქნა ქალაქ ფრეიბურგის საუნივერსიტეტო კლინიკის ანგიოლოგიისა და კარდიოლოგიის განყოფილების ბაზაზე.

### 2.1. CD7/VCAM-1

ქალაქ ფრეიბურგის (გერმანია), საუნივერსიტეტო კლინიკის ანგიოლოგიისა და კარდიოლოგიის განყოფილების კლინიკურ ლაბორატორიაში გამოსაკვლევად მზადყოფნაში არსებობდა ხსნადი პროტეინი CD7/VCAM-1, მოთავსებული ვექტორ pTR-UF5 (Invitrogen) ადენოვირუსში. ხსნადი პროტეინი CD7/VCAM-1 შედგება CD7 და VCAM-1. მათი ფუზიონირებისათვის წინარე კვლევებში (S.Marheineke 2002) ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ხელახალი კლონირება. CD7 დაიყო Xho I საშუალებით ისე, რომ საბოლოოდ ექსტრაცელულური და ტრანსმემბრანული დომენების მაკოდირებელი სეკვენცი იქნა მიღებული. გენი EcoR I და Xho I საშუალებით ისე გამოიყო, რომ მხოლოდ გენის ციტოპლაზმური დომენის მაკოდირებელი ნაწილი იქნა მიღებული. საბოლოოდ ჩატარდა ორივე ნაწილის ლიგირება ვექტორ pcDNA1-ში მზა ხსნადი მოლეკულა CD7/VCAM-1 Xho I საშუალებით ხელახლა გამოიყო. PCR-ის გამოყენებით საჭირო პრაიმერის დამატებით ჭრის ადგილი Hind III იგივე Mlu I იქნა შევსებული, რამაც შესაძლებელი გახდა, რომ მისი კლონირება pZeoSV (Invitrogen) ვექტორში განხორციელდებოდა. დამატებითი გადაკლონირებები გახდა საჭირო, რათა AV ვექტორის pTR-UF5 ადექვატური ჭრის ადგილი მიეღო (S.Marheineke 2002).

რეკომბინანტური E1/E3-დელეტირებული ადამიანის ადენოვირუსი წარმოადგენს ადენოვირუსების სეროტიპ 5. ვირუსები pJM17/pAdRSV სისტემის დახმარებით იქნა მიღებული. მათი გამრავლება HEK 293-Zellen-ში განხორციელდა (ProCorde).

ხსნადი კონსტრუქტი მოგვიანებით ვექტორ pZeoSV2(+) (Invitrogen) და ადენოვირუსულ ვექტორ pTR-UF5 სუბკლონირდა. ხოლო ფინალური კონსტრუქტი მიღებულ იქნა სეკვენცირების გზით.

CD7 გამოყენება როგორც ექსტრაცელულური მარკერისა კარგად აპრობირებული მეთოდია (Aruffo & Seed, 1987; Lee, 1997). ადამიანის CD7 შედარებით პატარა (40 kDa) მემბრანული მოლეკულაა და ეკუთვნის იმუნოგლობულინ სუპეროჯახს (Eisenbarth

*et al.*, 1980). მწიფე T-უჯრედებთან და ბუნებრივ კილერებთან ერთად (Barcena *et al.*, 1993; Rabinowich *et al.*, 1994) იგი ექსპრესირებულია ასევე B -უჯრედებზე ან მიელოიდების წინამორბედ უჯრედებზე მათ თიმუსში შედწვევამდე (Haynes *et al.*, 1980; Vodinelich *et al.*, 1983) და ხშირად კლინიკურ დიაგნოსტიკაში მარკერადაც გამოიყენება ლიმფოიდური T-უჯრედული ლეიკემიის შემთხვევაში (Haynes *et al.*, 1981). თუმცა ბოლომდე უცნობია ამ მემბრანული მოლეკულის როლი იმუნურ პასუხში. ამასთანავე არსებობს ვარაუდი, რომ იგი ამ უჯრედების ციტოკინების პროდუქციას არეგულირებს (Heinly *et al.*, 2001). აღნიშნული მოლეკულა არ მონაწილეობს ე.წ. "outside-in-signaling" პროცესში. იგი როგორც ექსტრაცელულური მარკერი გამოიყენებულ იქნა იმ უპირატესობით, რომ მას არ შეეძლო სპეციფიური ლიგანდების შეკავშირება. ეს ფაქტი სწორედ რომ საჭირო იყო ქვემოთაღწერილი ცდების ჩასატარებლად. აქ განხილული თვისებების გამო CD7 ურთიერთქმედება სხვა ზედაპირულ მოლეკულებთან მოსალოდნელი არ იყო და გამდინარე ციტომეტრიაში მცდარი ინტერპრეტაციის ალბათობას გამორიცხავდა ვინაიდან ნატიური უჯრედები CHO, HUVEC, HMEC1 და მონოციტები არ იყვნენ შესაბამის მდგომარეობაში რათა ანტი-CD7 შეეკავშირებინათ. ყოველივე ზემოთაღნიშნულის გამო CD7 გამოყენება გარე მარკერად სავსებით გამართლებული იყო. GFP –ადენოვირალური ვექტორი გამოყენებული იყო როგორც დადებითი კონტროლი.

**ადენოვირალური კონსტრუქტის დახასიათება (ProCorde).**

<b>pR275 (GFP)</b>	<b>pR658 (GFP)</b>	<b>pR274 (VCAM7CD7)</b>
3,7*10 <sup>9</sup> PFU/ml	1,0*10 <sup>10</sup> PFU/ml	2,1*10 <sup>9</sup> PFU/ml
3,7*10 <sup>11</sup> VP/ml	1,0*10 <sup>12</sup> VP/ml	3,7*10 <sup>11</sup> VP/ml
VP/PFU 100	VP/PFU 101,20	VP/PFU 100
OD 0, 73	OD 0, 74	OD 0, 71

**ცხრილი 5** PFU – Plaque Forming Units; VP – Viral Particles; OD – Optical Density 260nm/280nm.

მარკინეკეს ნამუშევარში ნაჩვენებია იქნა, რომ ინტრაცელულური დომენი ინტაქტური რეცეპტორის ციტოჩონჩხთან ბმის ადგილებში კონკურირებს და ამით ენდოთელურ უჯრედებზე მონოციტების ადჰეზიას აინჰიბირებს (S.Marheineke 2002). ციტოჩონჩხის დათრგუნვა შესაძლოა გახდეს ერთერთი მნიშვნელოვანი თერაპიული სტრატეგია VCAM-1 ფუნქციური ბლოკადისათვის. ციტოჩონჩხთან ზედაპირული მოლეკულის კონტაქტის გარეშე ადჰეზიური ფუნქციის შესრულება შეუძლებელი იქნებოდა. მრავალჯერ იქნა დადასტურებული, რომ ენდოთელურ რეცეპტორებს შორის, რომლებიც ქრონიკული ანთებითი პროცესების დროს ენდოთელში ლეიკოციტების მიზიდვის პროცესში მონაწილეობენ VCAM-1 ყველაზე მნიშვნელოვანია (Klaus L.2001, I.Cybulsky, 2001, Endres M. 1997, O'Brien KD 1996, Peter K 1997). CD7/VCAM-1 ის საშუალებით VCAM-1 ის ფუნქციური ინაქტივირება ვასკულარულ ენდოთელზე მონოციტების ადჰეზიის ინჰიბიციის რეალური შესაძლებლობაა. მარკინეკეს ნაშრომში სხვა გამოკვლევებს შორის აღწერილია ფუნქციური ცდებიც (S.Marheineke 2002). CD7/VCAM1-ის მოქმედება გამოკვლევულ იქნა ტრანსფიცირებულ ტრანსგენურ უჯრედებში. ამ გამოკვლევების დადებითი შედეგები ტრანსგენურ უჯრედულ კულტურებზე გახდა საფუძველი აღნიშნული სხნადი პროტეინის შემდგომი კვლევისა ადამიანის ენდოთელური უჯრედული კულტურის მოდელზე.

## 2.2. უჯრედულ კულტურებში ჩატარებული სამუშაოები

### 2.2.1. HMEC-1 კულტურა

ვასკულური ენდოთელური უჯრედები მდებარეობენ სისხლძარღვის კედელზე მისი სანათურის მხარეს და ურთიერთქმედებენ სისხლსა და ქსოვილს შორის, ამით ისინი გადამწყვეტ როლს თამაშობენ მრავალ მნიშვნელოვან ფიზიოლოგიურ და პათოლოგიურ პროცესში (Cines et al., 1998; Kirkpatrick et al., 1996). ადამიანის ენდოთელური უჯრედების გამოყენებამ *in vitro* უჯრედული კულტურის სისტემებში შესაძლო გახდა ანთების, ანგიოგენეზის, ჭრილობის შეხორცების, ათეროსკლეროზის და სხვა ექსპერიმენტული მოდელის ჩატარება. ენდოთელური უჯრედების იზოლაციისა და კულტივირების მეთოდები შემუშავებული იქნა ენდოთელური უჯრედების სხვადასხვა ფორმებზე. მიკროვასკულური ენდოთელური

უჯრედები მიღებულ იქნენ სხვადასხვა წყაროდან როგორებიცაა მაგ. ზურგის ტვინი, პლაცენტა, ფილტვები და თავის ტვინი. (Dye et al., 2001; Hewett and Murray, 1993; Lamszus et al., 1999; Jinga et al., 2000). თუმცა პირველადი უჯრედული კულტურების გამოყენებას აქვს მრავალი ნაკლი, როგორიცაა მაგ. სიცოცხლის უნარის პროგრესული კარგვა, ენდოთელური მარკერების შეცვლილი ექსპრესია და სხვა. ამიტომაც არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უჯრედების კულტივირების პროცესში ყველა ამ ნაკლის გათვალისწინება. ჩატარებულ იქნა კვლევები, რომელთა ფარგლებში ერთმანეთს შეადარეს სხვადასხვა ენდოთელური კულტურები (Hewett and Murray, 1993; Lamszus et al., 1999, Springhorn JP. 1995, Van Leeuwen EB. 2000, Müller AM. 1999, Boyer M. 2000, Hewett PW. 1993). განსაკუთრებით საინტერესოა მონაცემები უნგერის კვლევისა (Ronald E.Unger, 2002). შემდეგი ენდოთელური უჯრედები გამოიკვლიეს: HMEC-1, HUVEC, HFMEC, EAhy926, ECV 304, EVLC2, HAEND, HPMEC-STI6R, ISO-HAS-1. მათგან მხოლოდ კულტურებმა EAhy926, HMEC-1, HPMEC-STI6R, ISO-HAS-1 საუკეთესოდ დაადასტურეს პირველადი ენდოთელური უჯრედული ფენოტიპი.

ამ ნაშრომში გამოყენებულ იქნა HMEC-1 ენდოთელური უჯრედების კულტურა. HMEC-უჯრედები წარმოადგენენ იმორტალიზებულ ენდოთელურ უჯრედებს. უჯრედები კულტურაში იმყოფებიან უკვე აქტივირებულ, ანთებით მდგომარეობაში. ენდოთელური უჯრედების ტიპის განსაზღვრის საკმაოდ ფართოდ გამოყენებული კრიტერიუმი არის ადჰეზიური მოლეკულების (ICAM-1, VCAM-1 und E-Selektin) და ციტოკინების ექსპრესია. როდესაც ადგილი აქვს უჯრედების პროინფლამატორული სტიმულებით სტიმულირებას ენდოთელური უჯრედების პასუხი ისეთივეა როგორც *in vivo* აღმოცენებული. უჯრედის ადჰეზიური პროტეინების ექსპრესიის მდგომარეობის ცვლილება არის უმნიშვნელოვანესი და კრიტიკული ანთების კერებში ლეიკოციტების მიზიდვის პროცესში, ლეიკოციტების ადჰეზიისათვის და მათი ტრანსენდოთელური მიგრაციისათვის (Madri et al. 1996). HMEC-1 უჯრედული კულტურა არის ენდოთელური უჯრედების კულტურა, რომელიც სტიმულაციის შემდეგ ციტოკინებისა და ადჰეზიური პროტეინების ექსპრესიის მატებას ასახავს (Ronald E. Unger, 2002, Davies M.J. 1993, Li H. 1993, die Arbeit von K.Moritz 2004, Edwin W. Ades 1992).

სწორედ ამიტომ ჩვენი კვლევებისათვის შევარჩიეთ ზემოთაღწერილი ენდოთელური უჯრედული კულტურა.

## 2.2.2. უჯრედების კულტივირება

HMEC-1 უჯრედული კულტურის კულტივირება ხდებოდა უჯრედული კულტურის სინჯარებში. სინჯარების ფსკერზე ადჰერირებული უჯრედები 37°C და 5% CO<sub>2</sub> პირობებში ქმნიან ერთიან ფენას ე.წ. „Monolayer“. სხვადასხვა უჯრედები ავლენენ ზრდის სხვადასხვა თვისებებს. უჯრედების კულტივირებისათვის აუცილებელია მათი ცოდნა და უჯრედებისათვის შესაბამისი საარსებო პირობების შექმნა. სხვადასხვა უჯრედული კულტურისთვის არსებობს უამრავი სხვადასხვა სინთეზური თხევადი გარემო ე.წ. „Medium“. HMEC-1 უჯრედების კულტივირებას ვახდენდით MCB131 მედიუმში. მედიუმის გამოცვლა მიმდინარეობდა ყოველკვირეულად. მედიუმი უჯრედის კულტურის სინჯარაში ფარავდა თვით უჯრედულ კულტურას. უჯრედების საკვები ნივთიერებები მედიუმიდან თანდათან იხარჯება. უჯრედებს სჭირდებათ სისტემატიური მოვლა, სხვა შემთხვევაში არსებობს საშიშროება, რომ ისინი ზედმეტად გაიზრდებიან, რაც ხელს შეუშლის ექსპერიმენტული პირობების შექმნას.

ვახდენდით მედიუმის ამოღებას, უჯრედების რეცხვას ერთხელ PBS და მათზე ტრიფსინის დამატებას Trypsin/EDTA, რათა უჯრედების ფსკერიდან მოცილების პროცესი დაწყებულიყო. პროტეაზა ტრიფსინი ახდენს უჯრედების შრის ნაწილობრივ რღვევას, რაც ახდენს სინჯარის ზედაპირსა და უჯრედის მემბრანას შორის ურთიერთკავშირის გაწყვეტას და უჯრედები სინჯარის ზედაპირს უვნებლად სცილდება. PBS-ით უჯრედების გარეცხვა აუცილებელია, რათა მედიუმში არსებული FCS ჩამოირეცხოს, რადგან მას ენზიმის ინაქტივაცია შეუძლია. 3-5 წუთში ტრიფსინი 37°C-ზე სინჯარის ფსკერიდან განაცალკევებდა თითქმის ყველა უჯრედს. HMEC-1 –ზე მედიუმის დამატებით ტრიფსინი ნეიტრალდებოდა და მთლიანი უჯრედული ხსნარიდან მხოლოდ 1/10 რჩებოდა სინჯარაში შემდგომი კულტივირებისათვის. უჯრედული კულტურის სინჯარა HMEC-1 მედიუმით გარკვეულ მოცულობამდე ივსებოდა და შემდგომი კულტივირებისათვის ინკუბატორში ინახებოდა.

## უჯრედული კულტურის მედიუმი

### *HMEC-1 უჯრედული კულტურის მედიუმი:*

- **MCDB 131(1x) L-გლუტამინი 500ml** Gibco, Art.Nr.10372-019
- **50ml FCS (10%)** PAA, Gold, A15-649
- **250µl EGF (ეპიდერმალური ზრდის ფაქტორი, 5µg/500ml)** BD, Art.Nr354052
- **25ml L-გლუტამინი 200mM, 5mM/500ml** Gibco, 25030-024
- **5ml ანტიბიოტიკი/ანტიმიკოზური ხსნარი, 100x (1%)** Sigma, A-5955

### *მედიუმში 2% FCS -ით HMEC-1-თვის*

### *უჯრედული კულტურა:*

- **MCDB 131(1x) L-გლუტამინის გარეშე 500ml** Gibco, Art.Nr.10372-019
- **2% FCS, Hi** PAA, Gold, A15-649
- **250µl EGF (ეპიდერმალური ზრდის ფაქტორი, 5µg/500ml)** BD, Art.Nr354052
- **ჰიდროკორტიზონი 1µg/500ml** Sigma, H-0888
- **L-გლუტამინი 200mM, 5mM/500ml** Gibco, 25030-024
- **ანტიბიოტიკი/ანტიმიკოზური ხსნარი, 100x (1%)** Sigma, A-5955

### *მედიუმი FCS -ის გარეშე HMEC-1 უჯრედული კულტურისათვის:*

- **MCDB 131(1x) L-გლუტამინის გარეშე 500ml** Gibco, Art.Nr.10372-019
- **250µl EGF (ეპიდერმალური ზრდის ფაქტორი, 5µg/500ml)** BD, Art.Nr354052
- **ჰიდროკორტიზონი 1µg/500ml** Sigma, H-0888

- L-გლუტამინი 200mM, 5mM/500ml Gibco, 25030-024
- ანტიბიოტიკი/ანტიმიკოზური Sigma, A-5955  
ხსნარი, 100x (1%)

### უჯრედული კულტივირების მასალა

175 cm <sup>2</sup> უჯრედული კულტურის სინჯარა	Nuclon Surface, NUNC GmbH, Wiesbaden, 175 cm <sup>2</sup> culture area #178883
25cm <sup>2</sup> უჯრედული კულტურის სინჯარა	Nuclon Surface, NUNC GmbH, Wiesbaden, 25cm <sup>2</sup> culture area #136196
PBS (Ca <sup>2+</sup> / Mg <sup>2+</sup> )	Dulbecco's PBS (Ca <sup>2+</sup> / Mg <sup>2+</sup> ), CELL CONCEPTS, Umkirch, Deutschland, #B-L0500-1
Trypsin/EDTA	BIO WHITTAKER, Belgien, #BE17-161E
უჯრედების ასაფხეკი 25cm	Corning BV, Schiphol-Rijk, 50002421

### 2.2.3. უჯრედების გამოლღობა და გაყინვა

ხანგრძლივი კვლევების შემთხვევაში შეუძლებელია მუშაობა უჯრედების კონსერვირების გარეშე, რათა კონტამინაციის შემთხვევაში შეგვეძლოს რეზერვების გამოყენება. გარდა ამისა ბევრი პასაჟის შემთხვევაში არსებობს საშიშროება, რომ მოხდეს უჯრედების დიფერენცირება. იმ შემთხვევაშიც კი თუ უჯრედებს მუდმივად არ ვიყენებთ შესაძლოა მათი დიდი ხნით სპეციალურ კრიოსინჯარაში შესაბამისი DMSO მედიუმით -80°C თხევად აზოტში გაყინვა. უჯრედების გასაღლობად კრიოსინჯარას ვათავსებდით 37°C წყლის აბაზანაში. როგორც კი უჯრედები გამოლღვებოდა მათ გადავიტანდით უჯრედების კულტურის სინჯარაში. ამ სინჯარაში მომზადებული იყო 24მლ თბილი ღვობის სპეციალური მედიუმი (ნორმალური HMEC-1 კულტურის მედიუმი სელექციის მდგომარეობის გარეშე და 20% FCS). უჯრედები ინკუბირდებოდნენ ინკუბატორში 24 საათის განმავლობაში. უჯრედისათვის საზიანო DMSO გასაყინი მედიუმის მოსაშორებლად, ძველი მედიუმი ჩანაცვლდებოდა ნორმალური უჯრედული კულტურის მედიუმით და უჯრედების კულტივირება გრძელდებოდა ჩვეულებრივ.

უჯრედების გასაყინად მათ გამოეყოფდით უჯრედული კულტურიდან და 8 წუთი 1000rpm დავაცენტრიფუგებდით. ნალექს 3მლ გასაყინ მედიუმში ვხსნიდით. უჯრედული კულტურის ყოველი 1 მლ-ს გადავანაწილებდით 3 კრიოსინჯარაში. სინჯარები ინახებოდა -80°C საყინულეში. 24 საათის შემდეგ კი უჯრედები ხანგრძლივი შენახვისათვის გადატანილ იყვნენ თხევად აზოტში.

<b>Cryo</b>	<b>გასაყინი</b>	<b>სინჯარა</b>	Greiner bio-one GmbH Frickenhausen, Deutschland, #126280
	<b>(კრიოსინჯარები)</b>		
	<b>გასაყინი მედიუმი</b>		Cell Culture Freezing Medium, Gibco BRL, USA, #11101-011
<b>რეზერვუარი</b>			Nalgene Cryo Freezing Container, #5100-0001

#### 2.2.4. HMEC-1 უჯრედების სტიმულაცია

HMEC-1 უჯრედები უნდა სტიმულირდებოდნენ ყოველი ცდის წინ 48 საათით ადრე 75cm<sup>2</sup> პლასტიკურ უჯრედული კულტურის სინჯარაში. უჯრედების სტიმულაცია შემდეგნაირად ხორციელდებოდა: როდესაც უჯრედები 80% სიმჭიდროვით გაიზრდებოდნენ ძველ მედიუმს გადავაქცევდით. შემდეგ უჯრედები PBS ირეცხებოდნენ მედიუმის ნარჩენების მოსაცილებლად. უჯრედები დაიფარებოდნენ 2%FCS მედიუმით ხოლო მათი სტიმულაციისათვის ვიყენებდით ორ სხვადასხვა სტიმულატორს (IL1 $\beta$  და TNF $\alpha$ ), სხვადასხვა სინჯარაში 166ng/ml IL1 $\beta$  და 100ng/ml TNF $\alpha$  ვუმატებდით. უჯრედები 2 საათის განმავლობაში ინკუბატორში 37°C ინკუბირდებოდნენ. ამ დროის შემდეგ ძველ მედიუმს ვაცილებდით. უჯრედებს ერეცხავდით PBS-ში და თუ მათი შემდგომი CD7/VCAM-1-ტრანსფექცია გვსურდა მათ დაეფარავდით მედიუმით FCS გარეშე და დავამატებდით CD7/VCAM-1. სხვა შემთხვევაში უჯრედული კულტურის სინჯარები ივსებოდა 2% FCS შემცველი მედიუმით და ინკუბირდებოდა. FACS-ში ან გამდინარე კამერაში გამოკვლევისათვის HMEC-1 უჯრედებს სჭირდებოდათ 48 საათში შესაბამისი დამუშავება.

<b>IL1<math>\beta</math></b>	R&D System GmbH, Wiesbaden, #201-LB-005
------------------------------	--

<b>TNF<math>\alpha</math></b>	Sigma, T6674 -10UG
-------------------------------	--------------------



## 2.2.5. HMEC-1 უჯრედების ტრანსფექცია

ტრანსფიცირებულ იქნენ როგორც ციტოკინებით სტიმულირებული ასევე არასტიმულირებული HMEC-1 უჯრედები. ტრანსფექცია ტარდებოდა სტიმულაციიდან 2 საათის შემდეგ (სტიმულაცია 2 საათის განმავლობაში 2% FCS სტიმულატორების შემცველი მედიუმით) პირველ რიგში უჯრედები განთავისუფლდებოდნენ ძველი მედიუმისა და ნარჩენებისაგან, გაირეცხებოდნენ PBS და დაიფარებოდნენ FCS შემცველი მედიუმით. ამ დროისათვის ხორციელდებოდა ენდოთელური უჯრედების ტრანსფექცია CD7/VCAM-1 კონსტრუქტის საშუალებით. CD7/VCAM-1 კონსტრუქტი ემატებოდა HMEC-1 უჯრედული კულტურის მედიუმს FCS-ის გარეშე. როგორც დადებითი კონტროლი პარალელურად ტარდებოდა ენდოთელური უჯრედების GFP-ადენოვირალური ვექტორით ტრანსფექცია. 2 საათის განმავლობაში ინკუბირდებოდნენ ტრანსფიცირებული და არატრანსფიცირებული ასევე სტიმულირებული და არასტიმულირებული უჯრედები 37°C ინკუბატორში. მოგვიანებით ძველი მედიუმი მოცილდებოდა და PBS-ით რეცხვის შემდეგ 2% FCS შემცველი მედიუმით დაიფარებოდნენ და ინკუბატორში შეინახებოდნენ. შემდგომი FACS / Flow Chamber-გამოკვლევებისათვის უჯრედები შესაბამისად მუშავდებოდნენ.

**pR274 (CD7/VCAM1)**

CD7/VCAM1 Adenoviren,  $2,1 \cdot 10^9$  PFU/ml,  
Procorde GmbH, Martinsried, Deutschland

**pR658 (GFP)**

GFP, Adenoviren  $1,0 \cdot 10^{10}$  PFU/ml,  
Procorde GmbH, Martinsried, Deutschland

## 2.3. გამდინარე ციტომეტრია (FACS)

### 2.3.1. ზოგადი მომხილვა


გამდინარე ციტომეტრია იგივე FACS (Fluorescence Activated Cell Sorting) არის ზედაპირული მოლეკულებისა და ინტრაცელულური პროტეინების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასების მეთოდი. უჯრედების იდენტიფიცირება იმ ანტიგენების საწინააღმდეგო ანტისხეულების საშუალებით, რომლებსაც ეს უჯრედები აექსპრესირებენ ცნობილია იმუნოფენოტიპირების სახელით. ამ გამოკვლევის საფუძველი ანტიგენ-ანტისხეულის რეაქციაა, რომელიც ხორციელდება ფლუორესცენციის მქონე ნივთიერებით მარკირებული ანტისხეულების საშუალებით. ეს ანტიგენები რეალურად მემბრანის ფუნქციური პროტეინებია, რომლებიც უჯრედულ კომუნიკაციაში, ადჰეზიასა ან მეტაბოლიზმში მონაწილეობენ. გამდინარე ციტომეტრიას როგორც გამოკვლევის მეთოდს ფართოდ მიმართავენ როგორც ფინდამენტურ კვლევებში ასევე კლინიკურ დიაგნოსტიკაში.

გამდინარე ციტომეტრიის ძირითადი პრინციპები	
<b>თხევადი ტექნიკა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ უჯრედები წარმოდგენილია თხევადი ხსნარის სახით</li> <li>▪ უჯრედები მიედინება ერთმანეთის მიმდევრობით...</li> </ul>
<b>ოპტიკა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ ილუმინირებული სივრცის გავლით ისე, რომ ...</li> <li>▪ განაბნევენ სინათლეს და იმიტირებენ ფლუორესცენციას</li> </ul> <p>ხდება ორივეს შეგროვება, გაფილტვრა და ...</p>
<b>ელექტრონიკა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ დიგიტალურ მაჩვენებლებად გარდაქმნა ...</li> <li>▪ რომლებიც დამახსოვრებულ იქნება კომპიუტერში</li> </ul>

ცხრილი 6: გამდინარე ციტომეტრიული კვლევის პრინციპები რობინსონის მიხედვით (J.P. Robinson).

ამ ტექნიკით იკვლევენ უჯრედის ან სხვა ნაწილაკების თვისებებს მაშინ, როცა უჯრედები ერთიმეორეს მიყოლებით საზომ კამერაში გაედინება. აუცილებელი პირობაა, რომ უჯრედები ხსნარში განცალკევებულად იყვნენ წარმოდგენილი. შედეგები ეფუძნება თითოეული უჯრედის მრავალი ფიზიკური და ბიოქიმიური პარამეტრის ერთდროულ შეფასებას. იზომება შემდეგი მაჩვენებლები: უჯრედის ზომა (Forward Scatter-FSC), გრანულარობა იგივე უჯრედის შიდა სტრუქტურა (Side Scatter- SSC) და ფლუორესცენციის ინტენსივობა (FL1, FL2, FL3 und FL4).

გამოსაკლვევი უჯრედები გადინების დროს გვერდიდან ლაზერით სხივდება. სანამ ლაზერის სხივი შეუფერხებლად გაივლის ანუ მას წინააღმდეგობა არ ხვდება (მაგ.უჯრედის სახით), გაბნეული სინათლე არ აღმოცენდება. ხოლო როდესაც უჯრედი საპირისპიროდ სხივს გადალახავს სინათლე სხვადასხვა მიმართულებით გაიბნევა. ლაზერული სხივის წინა მიმართულებით გაბნეული სინათლე იძლევა ინფორმაციას უჯრედის სიდიდის შესახებ. ხოლო ლაზერული სხივიდან დაახლოებით 90° კუთხით აღმოცენებული გაბნეული სინათლე დამოკიდებულია როგორც უჯრედის ზომაზე, ასევე უჯრედის გრანულარობაზე. მეცნიერებსა და ექიმებს უზარმაზარ ინფორმაციას აწვდის თითოეული უჯრედისა და უჯრედული პოპულაციის შესახებ ანტისხეულებზე, უჯრედებზე, მიკროორგანიზმებსა და მიკროსკოპულ ნაწილაკებზე მცირე მოფლუორესცენციურ ნაწილაკების დაკავშირება. განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება FACS-ში ფლუოროქრომით მონიშნული ანტისხეულები.



სურათი 3 ა) ფლუოროქრომთან კონიუგირებული ანტისხეული ბ) ფლუოროქრომით კონიუგირებულ ანტისხეულთან შეკავშირებული უჯრედი

შესაბამისი ფლუოროქრომით მონიშნული ნაწილაკების სინათლის სხივთან კონტაქტისას აღმოცენდება სხვადასხვა ინტენსივობის ოპტიკური სიგნალები. გარკვეული სიგრძის სინათლის სხივის ემისია სპეციფიურია თითოეული ფლუოროქრომისათვის. ლაზერპულსის შემდეგ ელექტრონები კვლავ იყოფიან ენერგიის მოცილების ფონზე (ფოტონების ფორმით) თავიანთ საწყის დონემდე. ემიტირებული ფოტონების კონცენტრაცია, რომელიც ფოტოდეტექტორის მიერ რეგისტრირდება, მოქმედებს მიბმული ანტისხეულის/უჯრედის რაოდენობის პროპორციულად. FACS-გაზომვა ერთდროულად რამდენიმე სხვადასხვა ფლუორესცენც ნივთიერების საშუალებით შესაძლებელია, რადგან გამოყენებული ნივთიერებებიდან ფოტონების ემისია საერთო ტალღის სიგრძეს ავითარებს. თითოეულს აქვს კონკრეტული, განსხვავებული დამახასიათებელი ემისიის უნარი. თუ ცნობილია მოფლუორესცენცირე ნივთიერების ემისიური თვისებები, შესაძლოა ისეთი ფლუოროქრომების ამორჩევა, რომელიც ცალკეული გამდინარე ციტომეტრისათვის არის ოპტიმალურად განსაზღვრული.

**ფლუოროქრომები იმუნოფენოტიპირებისათვის:**

ფლუოროქრომი	სტიმულაციის პიკი (nm)	ემისიის პიკი (nm)	ლაზერული ტალღის სიგრძე (nm)
AMCA	345	440	334-364, 351-356
Alexa 350	350	445	334-364, 351-356
Marina blue	365	460	334-364, 351-356, 405, 407
Per-CP	490	670	488
FITC	495	520	488
PE-Cy5	565	670	488, 514
PE	565	575	488, 514, 568

<b>Alexa 594</b>	594	620	568
<b>APC-Cy7</b>	650	770	633, 635, 647
<b>Alexa 700</b>	700	720	633, 635, 647
<b>Pacific blue</b>	405	455	405, 407

**ცხრილი 7 (Shapiro HM.)**

FACS-გამოკვლევებისათვის ამ ნაშრომში გამოყენებულ იქნა შემდეგი ორი ფლუოროქრომი:

**FITC** – Fluoresceinisothiocyanate ეკუთვნის ფლუორესცენცპროტეინებს, რომლებიც მაქსიმალურად 492 nm ავითარებენ. მისი ნაკლია სინათლის ზემოქმედებით მისი სწრაფი დაშლა და მისი შეზღუდული მოქმედება მუავე გარემოში. **PE** – R-Phycoerythrin ეკუთვნის ფიკობილიპროტეინების ოჯახს, რომლებიც მოიპოვება ციანობაქტერიებსა და ეუკარიოტულ მცენარეებში. მისი მოლეკულური მასაა 240 000Da და აბსორბციის მაქსიმუმია - 480, 546 და 565 nm, ხოლო არგონის ლაზერის გამოყენებით 488 nm. PE-კონიუგატებს აქვთ ძალიან მაღალი სენსიტივობა და არიან შედარებით ნაკლებ მგრძობიარენი pH-ისა და იონური მოცულობის მიმართ (Haugland RP 2002. Shapiro HM. 2003).

სინათლის სიგნალის ინტენსივობა თითოეული პარამეტრისათვის გარდაიქმნება ელექტრონულ სიგნალად. გამდინარე ციტომეტრის ოპტიკურ და ელექტრულ სისტემებში ყველა სიგნალი შეგროვდება და ანალიზირდება. შედეგებია არჩევისამებრ ჰისტოგრამა, ე.წ. Dot Plot, Contour Plot და სხვა.

ამ ნაშრომში გამოყენებული იქნა გამდინარე ციტომეტრი FACS Calibur (Becton Dickinson, Heidelberg, Deutschland) სინათლის წყაროს სახით ლაზერმა ყველაზე ფართო გამოყენება ჰპოვა გამდინარე ციტომეტრიაში. დანადგარი შეიცავს არგონის ლაზერს ემისიური ხაზით 488 nm.

წინარე კვლევებში ჩატარდა აპარატის ძირითადი პარამეტრების ენდოთელური უჯრედების გასაზომ მონაცემებზე (უჯრედის ზომის, გრანულარობის, ფლუორესცენციის ინტენსივობის) ანალიზისათვის მორგება. Dot Plot-ებზე ყოველი გაზომვისას ამონარჩევ უჯრედულ პოპულაციას მოერგომ ე.წ. „Gate“ (იგივე გაზომვის ფანჯარა) რათა მონიშნული უჯრედული პოპულაციის შეფასება განხორციელებულიყო. აგრეთვე დაღუპული უჯრედების და უჯრედული

ნაწილაკების შემოსაფარგლად დაედო შემომფარგლავი ფანჯარა, რათა უფრო მკაფიოდ განსაზღვრულიყო ენდოთელური უჯრედების პოპულაცია. თითოეულ გაზომვაზე  $1 \times 10^4$  უჯრედის მონაცემების ჩაწერა მოხდა პირდაპირ შეერთებული კამერისა და კომპიუტერული პროგრამების საშუალებით. მონაცემთა გასაანალიზებლად გამოყენებულ იქნა სპეციალური პროგრამა Softwareprogramm CellQuestPro, Becton Dickinson.

### 2.3.2. უჯრედების მომზადება რეცეპტორების ექსპრესიის შესაფასებლად FACS-ში

FACS-ექსპერიმენტებისათვის შემდეგი HMEC-1 უჯრედები მომზადდა: HMEC-1 უჯრედები სტიმულაციისა და ტრანსფექციის გარეშე, HMEC-1 უჯრედები IL1 $\beta$  სტიმულაციით, HMEC-1 უჯრედები TNF $\alpha$  სტიმულაციით და CD7/VCAM-1 ვექტორით ტრანსფიცირებული HMEC-1 უჯრედები. HMEC-1 უჯრედების სტიმულაცია (IL1 $\beta$ - და TNF $\alpha$ -სტიმულატორების გამოყენებით) განხორციელდა ზემოთ აღწერილი მეთოდის თანახმად (იხილეთ 2.2.4.). HMEC-1 უჯრედების ტრანსფექცია დეტალურად განხილული იქნა 2.2.5. თავში. ყველა უჯრედული კულტურის შემცველი რეზერვუარი FACS-გამოკვლევაამდე 48 საათის განმავლობაში ინკუბატორში იმყოფებოდა 37°C პირობებში. ენდოთელური უჯრედები მსგავს ფიზიკალურ და ქიმიურ პირობებში უნდა კულტივირებულიყვნენ რათა სტიმულაციისა და ტრანსფექციის ეფექტის შეფასება ყოფილიყო შესაძლებელი. ტრანსფექციისათვის განკუთვნილი უჯრედული კულტურის შემთხვევაში გამოყენებულ იქნა CD7/VCAM-1 და GFP ადენოვირალური ვექტორები. გარდა ამისა მხოლოდ გამდინარე ციტომერიულ კვლევებში იქნა შეფასებული CD7/VCAM-1 კონსტრუქტის სხვადასხვა კონცენტრაციით უჯრედული კულტურის ტრანსფექციის ეფექტი, კერძოდ კი 0.003 $\mu$ l/ml, 0.016 $\mu$ l/ml, 0.03 $\mu$ l/ml, 0.1 $\mu$ l/ml, 0.16 $\mu$ l/ml, 0.33 $\mu$ l/ml სხნადი პროტეინის გამოყენებით. ამით შესაძლო გახდა ისეთი სხნადი პროტეინის კონცენტრაცია შეგვერჩია, რომელიც VCAM1 ექსპრესიაზე ყველაზე ძლიერ ზემოქმედებას მოახდენდა. FACS-ში ექსპრესიის შეფასებაამდე უჯრედები ერხელ PBS გაირეცხა. ყველა უჯრედის (სტიმულირებულის, არასტიმულირებულის, ტრანსფიცირებულის, არატრანსფიცირებულის) რეზერვუარის ფსკერიდან მოსაცილებლად უჯრედები Trypsin/EDTA დამუშავდა. 3-5 წუთში ტრიფსინის ზემოქმედებით 37°C ინკუბატორში ფსკერს მოცილდა ყველა უჯრედი. 2 % FCS –ის

შემცველი HMEC-1 მედიუმით ტრიფსინი ინაქტივირდა. ასეთნაირად მივიღეთ შემდეგი HMEC-1 უჯრედები: HMEC-1 უჯრედები სტიმულაციისა და ტრანსფექციის გარეშე, HMEC-1 უჯრედები IL1 $\beta$  სტიმულაციით, HMEC-1 უჯრედები TNF $\alpha$  სტიმულაციით და HMEC-1 უჯრედები CD7/VCAM-1 ადენოვირალური ვექტორის ტრანსფექციით და HMEC-1 უჯრედები GFP ტრანსფექციით.


<b>უჯრედული კულტურის სინჯარა</b>	Nunclon Surface, NUNC GmbH, Wiesbaden, 175 cm <sup>2</sup> culture area #178883
<b>PBS (Ca<sup>2+</sup>/ Mg<sup>2+</sup>)</b>	Dulbecco's PBS (Ca <sup>2+</sup> / Mg <sup>2+</sup> ), CELL CONCEPTS, Umkirch, Deutschland, #B-L0500-1
<b>pR274 (CD7/VCAM-1)</b>	CD7/VCAM-1 Adenoviren, 2,1*10 <sup>9</sup> PFU/ml, Procorde GmbH, Martinsried, Deutschland
<b>0% მედიუმი HMEC-1 უჯრედული კულტურისთვის:</b>	Siehe 2.2.2.
<b>2% მედიუმი HMEC-1 უჯრედული კულტურისთვის:</b>	Siehe 2.2.2.
<b>მედიუმი HMEC-1 უჯრედული კულტურისთვის:</b>	Siehe 2.2.2.
<b>Trypsin/EDTA</b>	Siehe 2.2.2.
<b>IL1<math>\beta</math></b>	R&D System GmbH, Wiesbaden, #201-LB-005
<b>TNF<math>\alpha</math></b>	Sigma, T6674-10UG

### 2.3.3. FACS-ში ექსპრესიის შეფასება

უჯრედები რეზერვუარის ფსკერიდან მოცილების შემდეგ გადატანილ იქნენ 15მლ-იან სინჯარებში და 10 წუთის განმავლობაში 1000 rpm დავაცენტრიფუგეთ. ნალექი PBS საშუალებით იქნა გადაყვანილი თხევად მდგომარეობაში და უჯრედული კონცენტრაცია გამოთვლილ იქნა 1მლ/მლ იქნა დაყენებული. ამ უჯრედული სუსპენზიიდან 50მკლ გადატანილ იქნა FACS –სინჯარებში, დაემატა თითოეულს 5მკლ ანტისხეული და ოთახის ტემპერატურაზე ინკუბირდა 15 წთ-ის განმავლობაში, სიბნელეში, ვინაიდან სინათლის ზემოქმედებით FITC ფლუოროქრომი იშლება. გამოყენებულ ანტისხეულებთან ერთად ყოველთვის მზადდებოდა იზოტიპ-კონტროლი. ანტისხეულებს კი წარმოადგენდნენ:

- ანტი -CD106 PE კონიუგირებული ანტისხეული
- ანტი-CD7 FITC კონიუგირებული ანტისხეული
- IgG1 FITC კონიუგირებული ანტისხეული
- IgG1 PE კონიუგირებული ანტისხეული

HMEC-1 უჯრედების ფლუოროქრომ-კონიუგირებულ ანტისხეულებთან ინკუბაციის შემდეგ საბოლოოდ ემატებოდა 500მკლ 10x CellFix, 1:10 ddH<sub>2</sub>O-ით განზავებული. მხოლოდ ამ პროცედურის გავლის შემდეგ იყო შესაძლებელი, რომ მოგვეხდინა ფიქსირებული უჯრედების გამდინარე ციტომეტრში გამოკვლევა.



სურათი 4

Dot Plot-ზე ლეიკოციტების

ვიზუალიზაცია:

X ღერძის პარამეტრი – წინა გაბნეული სინათლე (FSC)

Y - ღერძის პარამეტრი – გვერდით გაბნეული სინათლე (SSC)


ლეიკოციტარული უჯრედები

შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: მწვანე

– ლიმფოციტები, წითელი – მონოციტები,

ღურჯი – გრანულოციტები.





სურათი 5

HMEC-1 უჯრედები გამდინარე ციტომეტრიაში

**FACS-დანადგარი**

Becton Dickinson FACSCalibur,  
Heidelberg, Deutschland

**ციტომეტრის სითხე**

FACS Flow™ Becton Dickinson,  
Heidelberg, Deutschland

**FACSSafe**

Becton Dickinson, Heidelberg, Deutschland

**FACSRinse**

Becton Dickinson, Heidelberg, Deutschland

**10x CellFIX™ Fixationslösung**

BD Biosciences, Erembodegem, Belgien,  
#340181

**FACS-სინჯარა**

BD Falcon, BD Bioscience, Bedford, USA,  
#352054

**სინჯარა 15ml**

Greiner Bio-One GmbH, Frickenhausen,  
#188271

**anti-CD7 ანტისხეული**

(N-19) Santa Cruz Biotechnology, #sc-6992

**anti-CD106 ანტისხეული**

BD Pharmingen, #555645

**IgG1-FITC/ Iso FITC**

Beckman Coulter-Immunotech, Krefeld,  
Deutschland, #IM0639

**IgG1-PE/ Iso PE**

Beckman Coulter-Immunotech,  
Marseille/Frankreich, #IM0670

## 2.4. ადამიანის სისხლზე ჩატარებული გამოკვლევები

### 2.4.1. სისხლის აღება

სისხლი მიღებული იყო ვენური პუნქციის გზით მოზრდილი მოხალისეებისაგან, რომლებიც არავითარ მედიკამენტს არ ღებულობდნენ. გამოყენებული იყო ნემსი 21 Gauge Butterfly, ხოლო ანტიკოაგულაცია ჩატარებული იყო ნატრიუმის ციტრატით.

**Butterfly®**

Butterfly® - 21, Abbott, Sligo, Ireland,  
#4492A05

**ადაპტორი**

Multi-Adapter, SARSTEDT, Nümbrecht,  
Deutschland, #14.1205

**Softasept**

N Farblos 250ml (20) 00008180B. Braun  
Melsungen AG. Melsungen

**ნატრიუმ-ციტრატის სინჯარა**

**S - სინჯარა 5ml**


Sarstedt, Nümbrecht, #05.1071

**S - სინჯარა 10ml**

Sarstedt, Nümbrecht, #21067001

### 2.4.2. სისხლიდან მონოციტების იზოლაცია

აღებული სისხლი განზავდა PBS ( $\text{Ca}^{2+}/\text{Mg}^{2+}$ ) 1:2 50მლ სინჯარაში მოთავსდა 15მლ Ficoll და მასზე ფრთხილად დაეფინა 20მლ განზავებული სითხე. შემდეგი ნაბიჯი იყო 20 წთ ოთახის ტემპერატურაზე 3000 ბრუნზე წუთში დაცენტრიფუგირება მუხრუჭის გარეშე. სიმკვრივის გრადიენტი ფიკოლი გამოყოფს მონონუკლეარულ უჯრედებს განზავებული სისხლიდან. ასეთნაირად მიიღება სამი ფაზა: პლაზმის შრე, ლიმფოციტ/მონოციტური შრე, თვით ფიკოლის შრე და ერითროციტ/გრანულოციტების შრე. შუა შრე გადმოტანილი იყო ფრთხილად შესაბამის სინჯარაში. ასეთნაირად მონონუკლეარული უჯრედების შრე იზოლირდა სხვა დანარჩენი შრეებისგან.



### ცენტრიფუგირებამდე და ცენტრიფუგირების შემდეგ

#### სურათი 6 მონოციტების იზოლირება ფიკოლის გამოყენებით

გამოყოფილი მონონუკლეარების შრე განზავდებოდა ამავე რაოდენობის PBS-ში და კიდევ ერთხელ ცენტრიფუგირდებოდა 3000 ბრუნზე წუთში 20 წუთის განმავლობაში. უჯრედები ფსკერზე ნალექის სახით გროვდებოდა. ნალექი განზავდებოდა 5მლ PBS-ით და 10 წუთი კვლავ დაცენტრიფუგირდებოდა 1000 ბრუნზე წუთში. ამასობაში მზადდებოდა სპეციალური ბუფერი ე.წ. "Tyrode-Puffer". ნალექი განზავდებოდა 5მლ თიროდის ბუფერში. შემდეგ უჯრედები 175სმ<sup>2</sup> უჯრედული კულტურის რეზერვუარით კულტურაში გადაიტანებოდა და 25მლ 37°C თბილი მონოციტების მედიუმით დაიფარებოდა. ისინი ინახებოდა ინკუბატორში 37°C ორი საათის განმავლობაში. ამ პერიოდში უპირატესად მონოციტები ადჰერირდებოდნენ რეზერვუარის ზედაპირზე, ლიმფოციტების კი მხოლოდ მცირე ნაწილი. მედიუმის გამოცვლის შემდეგ ხორციელდებოდა კიდევ ერთი რეცხვა 15მლ PBS გამოყენებით და ახალი მედიუმის დამატების შემდეგ უჯრედები მთელი დამის განმავლობაში ინკუბატორში რჩებოდნენ ინკუბაციისათვის. იზოლაციის პროცესი საბოლოოდ იძლეოდა მონოციტების 90%, ხოლო დანარჩენი ლეიკოციტები ანალიზიდან ეთიშებოდა მათი ანტისხეულით მონიშვნის საშუალებით.

<b>PBS (Ca<sup>2+</sup>/ Mg<sup>2+</sup>)</b>	Dulbecco's PBS (Ca <sup>2+</sup> / Mg <sup>2+</sup> ), CELL CONCEPTS, Umkirch, Deutschland, #B-L0500-1
<b>უჯრედული კულტურის სინჯარა</b>	Nuclon Surface, NUNC GmbH, Wiesbaden, 175 cm <sup>2</sup> culture area #178883
<b>სინჯარა 50ml</b>	Greiner Bio-One GmbH, Frickenhausen, #227261
<b>სინჯარა 15ml</b>	Greiner Bio-One GmbH, Frickenhausen, #188271
<b>Ficoll- Biocoll საიზოლაციო ხსნარი</b>	Biochrom, Berlin, Deutschland, #16115
<b>ცენტრიფუგა</b>	Heraeus, ID Nr-20057820, #4500272390
<b>სეროლოგიური პიპეტები 25ml, 10ml, 5ml</b>	Schuber&Weiss GmbH, München, #357551, #357525, #357543

*მონოციტების მედიუმი:*

- |  |                                    |
|--|------------------------------------|
| • <b>500ml RPMI 1640</b>                 | BIO WHITTAKER, Belgien, #BE12-115F |
| • <b>50ml FCS</b>                        | BIO WHITTAKER, Belgien, #DE14-801F |
| • <b>5ml</b><br>პენიცილინი/სტრეპტომიცინი | BIO WHITTAKER, Belgien, #DE17-602E |
| • <b>5ml L-გლუტამინი</b>                 | BIO WHITTAKER, Belgien, #BE17-605E |

*თიროდის ბუფერი:*

*საბაზისო ხსნარი (10x):*

**1.5M NaCl**

**25mM KCl**

1 ლიტრი დესტილირებული წყალი და დგებოდა pH 7,4

120mM NaHCO<sub>3</sub>

ცდებისთვის ყოველთვის ახალი

მზადდებოდა:

- 25ml 10x Tyrode
- 0.5ml 1M CaCl<sub>2</sub>
- 0.5ml 1M MgCl<sub>2</sub>
- 0.25g BSA
- 0.25g Glucose
- 223.5ml დესტილირებული წყალი


### 2.4.3. უჯრედების დათვლა

ყოველი გამოკვლევისათვის უჯრედების კონცენტრაციას განვსაზღვრავდით და გამოვითვლიდით ერთიდაიმავე უჯრედულ რაოდენობაზე: მონოციტები 10<sup>6</sup> უჯრედი/მლ, HMEC-1 უჯრედები (FACS-ისთვის) 10<sup>6</sup> უჯრედი/მლ. ამისათვის უჯრედები შესაბამისად განზავდებოდა 10მლ PBS. 10მკლ მონოციტების სუსპენზიას ვათავსებდით უჯრედების სათვლელი კამერის შუშის ქვეშ და ოთხ დიდ უჯრედში მათ რაოდენობას ვითვლიდით. გამოითვლებოდა უჯრედების საშუალო მაჩვენებელი.


*უჯრედების საერთო რაოდენობა = უჯრედების საშუალო რაოდენობა X  
10 000 X განზავების ფაქტორზე (მაგ. 10მლ)*

საბოლოოდ კამერა მუშავდებოდა EtOH და წყლით.

ა



ბ



სურათი 7 ა)-ნოიბაუერის სათვლელი კამერის ქსელი ბ)-უჯრედების დათვლა (შავი) სათვლელი კამერის ერთ დიდ კვადრატში. (Lindl: Zell- und Gewebekultur (4.Auflage)

**უჯრედული კამერა**

Neubauer-Zählkammer SIGMA-ALDRICH GmbH, Steinheim, Deutschland, #Z 35,962-9

**PBS (Ca<sup>2+</sup>/ Mg<sup>2+</sup>)**

იხილეთ 2.2.2.


## 2.5. დინამიური ადჰეზიური ცდები

### 2.5.1. გამდინარე კამერის მეთოდის (Flow Chamber Method) ზოგადი მიმოხილვა

არსებობს გამოკვლევის მეთოდი, რომლის თანახმადაც მიკროსკოპული გამდინარე კამერის გამოყენებით სხვადასხვა უჯრედის (პოლიმორფულნუკლეარული ლეიკოციტების, თრომბოციტების, სიმსივნური უჯრედების და სხვა) ადჰეზიური მოქმედება შესაძლოა შესწავლილ იქნეს კვლევის ადჰეზიურ დინამიურ მოდელში და წინასწარ განსაზღვრული დინების სიჩქარის გამოყენებით. ეს არის ე.წ. გამდინარე კამერაში უჯრედული მექანიკის კვლევის მეთოდი. ამ მეთოდის დახმარებით შესაძლოა განხორციელდეს სისხლძარღვის პირობების იმიტაცია (Piali et al. 1998). სტატიურ ადჰეზიურ ცდებს არ ძალუძს რეცეპტორ-ლიგანდის ურთიერთქმედების სრულყოფილად ასახვა, რადგან უჯრედების გადაადგილება და უჯრედების ადჰეზია ფიზიოლოგიურ პირობებში მუდმივი დინების ფონზე მიმდინარეობს. გამდინარე კამერის კვლევის მეთოდი უჯრედ-უჯრედისა ან უჯრედ-სუბსტრატის ადჰეზიის ცალკეული ეტაპის ვიზუალიზაციის საშუალებას იძლევა. (Lawrence, M.B., 1987; Patton, J.T., 1993; Jones, D.A., 1993).

გამდინარე კამერის პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ უჯრედები სპეციალური გარსით დაფარულ ზედაპირზე წინასწარ შერჩეული დინების სიჩქარით დახურულ სისტემაში მიედინებიან. სიჩქარე, რომლითაც ცალკეული უჯრედი კამერაში გადაადგილდება განისაზღვრება პროგრამირებადი ტუმბოს საშუალებით.

გამდინარე კამერის სისტემა შემდეგი ნაწილებისაგან შედგება:



სურათი 8


**ლანგარი** – გამდინარე კამერის ქვედა ნაწილი. მისი ზედაპირი იფარება სპეციალური ფენით. ყოველი ცდის შემდეგ ეს ლანგარი იცვლება და იგი წარმოადგენს რეალურ დაკვირვების ზედაპირს კვლევის დროს.



სურათი 9

**ცილინდრი** – გამდინარე კამერის ზედა ნაწილი

ცილინდრზე მდებარეობენ მილების სისტემაზე მიერთების ადგილები. ერთმანეთის გვერდით მდებარე კავშირებით შეედინება კამერაში და გაედინება კამერიდან უჯრედების სუსპენზია. ცილინდრზე არსებული მესამე კავშირი არის ვაკუუმ ტუმბოს შეერთების ადგილი.



სურათი 10

**რეზინის რგოლი** – გამდინარე კამერის შუა ნაწილი

იგი მდებარეობს სინჯარასა და ცილინდრს შორის ცილინდრის ორ ჩაღრმავებაში. რეზინის რგოლი შესაბამის პოზიციაში ყენდება. ამის საშუალებით ორი პლასტიკური სინჯარა ერთმანეთისაგან გარკვეულ დისტანციაში პოზიციონირებს. სწორედ იქ სადაც რეზინის ზედაპირი ამოჭრილია თავსდება კამერა.



სურათი 11

**მაპროგრამებელი ტუმბო**

ამ დანადგარის საშუალებით შესაძლოა პროგრამა გარკვეულ დინების სიჩქარეზე დაყენდეს. ეს ფაქტორი იძლევა საშუალებას, რომ კამერაში გაიაროს წინასწარ ზუსტად განსაზღვრულმა სითხის რაოდენობამ წამში.



სურათი 12

**ვაკუუმის ტუმბო**

იგი განავითარებს საჭირო წნევას გამდინარე კამერის სიმჭიდროვისათვის



კამერას ვაფიქსირებდით ინვერსიულ მიკროსკოპზე და უჯრედების დინებას ვაკვირდებოდით 20 ჯერადი გადიდების ობიექტივით. მიკროსკოპზე დამაგრებული იყო კომპიუტერი მასზე მიერთებული დიგიტალური კამერით, რომლის საშუალებითაც ხდებოდა კადრების გადაღება და დამახსოვრება. გამდინარე ნაწილი შეერთებული იყო 50მლ შპრიცთან, რომელიც დაფიქსირებული იყო პროგრამირებად ტუმბოზე. ვაკუუმის ტუმბო მილით შეერთებული იყო კამერასთან, რითაც უზრუნველყოფდა სისტემის მთლიან ფიქსაციას. სისხლის ნაკადის ჰიდროდინამიკური პირობებისათვის მნიშვნელოვანი საზომია წანაცვლების სიჩქარე (shear rate) და წანაცვლების დაძაბულობა (shear stress). ისინი ასახავენ დინების მიმართულების სიჩქარეს სისხლძარღვის კედელთან სითხის დაშორებასთან დამოკიდებულებაში.

დინების სიჩქარე დამოკიდებულია ასევე კამერის გეომეტრიაზე და უჯრედის კამერის კედლიდან დაშორებაზე. გამდინარე მილის ცენტრში არის უმაღლესი სიჩქარე. რაც უფრო ახლოს მდებარეობს უჯრედი კედელთან მით უფრო კლებულობს წანაცვლების სიჩქარე. წანაცვლების სიჩქარე და წანაცვლების დაძაბულობა მნიშვნელოვანი ჰიდროდინამიკური სიდიდეებია. სიჩქარის პროფილის გამოთვლა გამდინარე კამერაში შემდეგი ფორმულის საშუალებითაა შესაძლებელი:

$$\tau w = \gamma \mu = 6\mu Q/a^2 b$$

$\tau w$  – წანაცვლების დაძაბულობა

$\gamma$  – წანაცვლების სიჩქარე (ლ/წმ)

$\mu$  - სიბლანტე

$a$  – გამდინარე კამერის სისქე

$b$  – გამდინარე კამერის სიგანე

$Q$  – დინების სიხშირე (მლ/წმ) დინების სიხშირეები, რომლებიც მაპროგრამებელ ტუმბოზე ყენდებოდა, ანგარიშდებოდა ამ ნაშრომში გამოყენებული ცილინდრის ზომით (სიმაღლე 0.0254სმ და სიგანე 0.5სმ) შემდეგნაირად:

$$15 \text{ dynes/cm}^2 = 6 \cdot (0,01) \cdot Q / (0,0254 \cdot 0,5) = 186 \cdot Q \quad Q = 15/186 = 0,08064 \text{ ml/sec} = 4,8387 \text{ ml/min}$$

$$1 \text{ dynes/cm}^2 = 6 \cdot (0,01) \cdot Q / (0,0254 \cdot 0,5) = 186 \cdot Q \quad Q = 1/186 = 0,005376 \text{ ml/sec} = 0,32268 \text{ ml/min}$$

$$0.5 \text{ dynes/cm}^2 = 6 \cdot (0.01) \cdot Q / 0.0254 \cdot 0.5 = 186 \cdot Q \quad Q = 0.5 / 186 = 0.00269 \text{ ml/sec} = 0.16129 \text{ ml/min}$$

გამდინარე კამერის კვლევებისათვის საჭირო მასალები

გამდინარე კამერა	CIRCULAR Parallel Plate Flow Chamber Kit, GLYCOTECH, Rockville, USA, #31-001
მაპროგრამებელი ტუმბო	PHD Programmable, HARVARD Apparatus, Holliston, USA, #70-2002
ვაკუუმტუმბო	Laboport Vacuum Pump, KNF NEUBERGER INC., Trenton, USA
დიგიტალური კამერა	AVT BC-11, AVT HORN, Aalen, Deutschland
კომპიუტერული პროგრამა	Let's Edit, Canopus Inc. Kobe, Japan.
PC და Hardware	MaxData PC
35mm ლანგარი	Cell Culture Dish 35mm x 10mm Style, CORNING INC., NY, USA, #430165
რეზინის რგოლი	Flow Chamber Gaskets, Channel Width 5.0mm / Gasket Thickness 0.010 inch, GLYCOTECH, Rockville, USA, #31-004
ცხიმოვანი საცხი	Exsikkatorenfett, Riedel-de Haem, SIGMA – Aldrich, Steinheim, Deutschland, #18405
50-ml-შპრიცი	Perfusor-Spritze OPS 50ml (B.Braun, Melsungen, #8728810F)

მიკროსკოპი

Inverses Mikroskop Axiovert 25, Okular 10x/20,  
Objektiv CP-Achromat 5x/0.12, ZEISS,  
Oberkochen, Deutschland

PBS  $\text{Ca}^{2+} / \text{Mg}^{2+}$

იხილეთ 2.2.2.

## 2.5.2. HMEC-1 უჯრედების მომზადება გამდინარე კამერაში გამოსაკვლევადა

HMEC-1 უჯრედული კულტურის კულტივირება განხორციელდა  $25\text{cm}^2$  უჯრედული კულტურის რეზერვუარში (იხილეთ 2.2.2.). ამის შემდეგ განხორციელდა უჯრედების სტიმულაცია  $\text{TNF}\alpha$  და  $\text{IL1}\beta$  (იხილეთ 2.2.4.) გამოყენებით და მათი ტრანსფექცია  $\text{CD7/VCAM-1}$  კონსტრუქტით (იხილეთ 2.2.5.). ამ მოსამზადებელი ღონისძიებებიდან 48 საათში უჯრედები გადატანილ იქნენ  $35\text{mm}$  სინჯარებში, რომელთა ფსკერიდან ისინი 48 საათში მოცილებულ იქნენ ტრიფსინის გამოყენებით. ამის შემდეგ კულტურას დაემატა მედიუმი, რომელმაც 3-4 წუთიანი ინკუბაციის შემდეგ გაანეიტრალა ტრიფსინი და უჯრედული მასალა გადატანილ იქნა 2 სინჯარაში. სინჯარები, რომლებიც გამდინარე კამერის ფსკერს წარმოადგენენ და რომლებიც ენდოთელური უჯრედების ზედაპირს წარმოადგენენ გამდინარე კამერაში კვლევისათვის შემდეგნაირად მომზადდნენ. უჯრედებს დაახლოებით 2-5 წუთი სჭირდებოდათ სანამ ისინი სინჯარის პლასტიკურ ზედაპირზე კარგად ადჰერირდებოდნენ. ხოლო როდესაც ისინი კარგად ადჰერირებულ, მჭიდრო უჯრედულ ზედაპირს წარმოადგენდნენ შესაძლებელი იყო მათი გამოყენება გამდინარე კამერის ექსპერიმენტებისათვის. კვლევის დაწყებამდე სულ რამოდენიმე წუთით ადრე ენდოთელური უჯრედები გარეცხილ იქნენ  $\text{PBS Ca}^{2+} / \text{Mg}^{2+}$  საშუალებით და ანტი- $\text{CD106}$  და ანტი- $\text{CD54}$  ანტისხეულებით ჩაუტარდათ ინკუბაცია ოთახის ტემპერატურაზე 10 წუთის განმავლობაში. ამ ეტაპზე ენდოთელური უჯრედები უკვე მზად იყვნენ გამოკვლევისათვის.

ანტი-CD106

(Clone 51-10C9), Becton Dickinson (BD)

ანტი-CD54

(Clone 84H10), Beckman Coulter, Krefeld,  
Deutschland

### 2.5.3. მონოციტების სტიმულაცია, შედგება და მომზადება გამდინარე კამერაში გამოსაკვლევადად

მონოციტების იზოლაცია ხორცილედებოდა ფიკოლის საშუალებით როგორც ეს ზემოთ აღწერილ იქნა მონოციტების იზოლაციის ოქმში (2.4.2). იზოლირების პროცესის შედეგად მივიღეთ მონოციტების დაახლოებით 90% შემადგენლობა. ღამის განმავლობაში შესაბამისი მედიუმით ინკუბირებული უჯრედები მეორე დღის ექსპერიმენტებისათვის გამდინარე კამერაში კვლევისათვის მზად იყვნენ. ამისათვის უჯრედებს მოვაშორეთ მედიუმი, უჯრედები გავრეცხეთ PBS. უჯრედული კულტურის რეზერვუარების ფსკერზე ადჰერირებული მონოციტები უჯრედების განსაცალკევებელი ინსტრუმენტით იქნენ განთავისუფლებულნი რეზერვუარის ზედაპირიდან. PBS კარგად გახსნილი უჯრედები გადატანილ იქნენ 15მლ სინჯარებში. ამას მოსდევდა იზოლირებული მონოციტების მხოლოდ ნაწილის სტიმულაცია სპეციალური არასპეციფიური სტიმულატორით ე.წ. PMA (Phorbol-12-Myristate-13-Acetate) რაოდენობით 200ნგ/მლ. ამავედროულად უჯრედები შედებილ იქნენ კალციინით. კალციინი AM გაივლის რა უჯრედის მემბრანას, ესთერაზების მიერ იშლება. სიგნალის გაზომვა კი ამ პარამეტრებით ხდება: EX 490 EM 515. ასეთნაირად გამოჩნდებიან მონოციტები მაფლუორესცენცირებელი ნივთიერების საშუალებით მიკროსკოპში. მონოციტები 10 წუთის განმავლობაში 1000 ბრუნზე წუთში ცენტრიფუგირდებოდნენ რათა სტიმულაციისა და ღებვის ნარჩენები აღმოგვეფხვრა. ამის შემდგომ ისინი გაიხსნებოდნენ PBS-ში და საბოლოოდ ანტისხეულ ანტი-CD49d (VLA-4) ინკუბირდებოდნენ 10 წუთის განმავლობაში.

**PMA**

Phorbol-12-Myristate-13-Acetat, unspezifisches  
Zellstimulanz Sigma-Aldrich Chemie GmbH,  
Taufkirchen, P1585#1MG

**Calcein შესაღები ხსნარი** Mobitec GmbH, #MFPC009

**შესაღები ხსნარის მომზადება:**

1 მილიმოლი Calcein AM DMSO-ში 1:50 კმმოლით PBS განზავდება

გამოიყენება 1:10 უჯრედული სუსპენზია

**ანტი-CD49d** (Clone HP2/1), Beckmann Coulter, Krefeld,  
Deutschland

#### **2.5.4. კელევის მიმდინარეობა**

გამდინარე კამერის ექსპერიმენტის დასაწყისში ვამზადებდით გამდინარე კამერის სისტემას. ამისათვის რეზინის რგოლი სპეციალური ცხიმით მუშავდებოდა, რათა ცილინდრზე მყარად მიკრულიყო და იგი თავსდებოდა დასაწყისში ცარიელსა და ჯერ კიდევ შემოუგარსავ სინჯარასა და ცილინდრს შორის. გამავალი და შემომავალი კონტაქტები ორი მილის სისტემით ერთდებოდა მონოციტებიან სინჯარასა და 50მლ პერფუზორულ შპრიცთან. ეს უკანასკნელი მაგრდებოდა მაპროგრამებულ ტუმბოზე. ვაკუუმის ტუმბო კი სხვა მილის საშუალებით უკავშირდებოდა გამდინარე კამერას. ამით უზრუნველყოფილი იყო გამდინარე კამერის სიმჭიდროვე. ფსკერისა და თავსახურის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი მათ შორის ფიქსირებული სიმაღლის შენარჩუნებას განაპირობებდა. გამდინარე კამერა მაგრდებოდა მიკროსკოპზე. მიკროსკოპზე მაგრდებოდა ასევე პერსონალური კომპიუტერი დიგიტალური კამერით, რომლის საშუალებითაც ხდებოდა ვიდეოკადრების, აგრეთვე ცალკეული ფოტოების გარკვეულ განსაზღვრულ მომენტებში გადაღება და დამახსოვრება. კამერა ივსებოდა PBS-ით ჰაერის ბუშტუკების გარეშე 4.8 მლ/წთ დინების სიჩქარის გამოყენებით. ვაკუუმის ტუმბო ირთვებოდა. სტაბილური პირობებისა და შესაბამისი დინების სიჩქარის მისაღწევად კამერას ვამუშავებდით 1-2 წუთის ხანგრძლივობით სხვადასხვა სიჩქარის

პირობებში. ამის შემდეგ ვაკუუმის ტუმბოს ვაჩერებდით და ცარიელ სინჯარას ჩავანაცვლებდით ენდოთელური უჯრედებით დაფარული სინჯარით. ამის შემდეგ HMEC-1 უჯრედები წარმოდგენდნენ გამდინარე კამერის ფსკერს. გამდინარე კამერაში გამოკვლევებისათვის მონოციტები მომზადდა შემდეგი კონცენტრაციით -  $1 \times 10^6$  /მლ. ისინი შემავალი მილით შეედინებოდნენ კამერაში. ვიყენებდით წანაცვლების სიჩქარეს  $15 \text{ dyne/cm}^2$ . მონოციტების ურთიერთქმედება ენდოთელური უჯრედების ზედაპირთან ვიზუალიზირდებოდა ვიდეომიკროსკოპის საშუალებით 20ჯერად გადიდებაზე. მონოციტების ბრუნვა და ადჰეზია ფასდებოდა 6 სხვადასხვა დაკვირვების უბანში ((mean $\pm$ SD) 5-5 წამის განმავლობაში გადაღებული ვიდეოფილმების საშუალებით. ვიდეოების გადაღება და დამახსოვრება პოსტექსპერიმენტული, ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასების შესაძლებლობას იძლეოდა, რაშიც გამოიყენებოდა კომპუტერული პროგრამა „Let’s Edit“. მათგან კი ვანგარიშობდით საშუალო მონაცემებს.

### 2.5.5 საკვლევი ჯგუფები

ცხრილებში 8,9,10,11 წარმოდგენილია საკვლევი ჯგუფები, რომლებიც შერჩეულ იქნა დინამიური ადჰეზიური კვლევებისათვის. თითოეულ ჯგუფში ასახულია ენდოთელური კულტურის, CD7/VCAM1 კონსტრუქტის, GFP, სისხლიდან იზოლირებული მონოციტებისა და ანტისხეულების ანტიCD49d, ანტიCD54, ანტიCD106 გამოყენების კომბინაციები გამდინარე კამერის ცდებში.

ენდოთელური უჯრედები CD7/VCAM1 ტრანსფექციითა და ტრანსფექციის გარეშე

HMEC1 (+antibodies) versus HMEC1-CD7/VCAM1 (+antibodies)	
HMEC1+Monos	HMEC1-CD7/VCAM1+Monos
HMEC1+Monos-ანტიCD49d	HMEC1-CD7/VCAM1+Monos-ანტიCD49d
HMEC1-ანტიCD54+Monos	HMEC1- CD7/VCAM1-ანტიCD54+Monos
HMEC1-ანტიCD54+Monos-ანტიCD49d	HMEC1- CD7/VCAM1-ანტიCD54+Monos- ანტიCD49
HMEC1-ანტიCD106+Monos	HMEC1-CD7/VCAM1-ანტიCD106+Monos
HMEC1-ანტიCD106+Monos-ანტიCD49d	HMEC1-CD7/VCAM1-ანტიCD106+Monos- ანტიCD49d

ცხრილი 8

ენდოთელური უჯრედები IL1 $\beta$ , TNF $\alpha$  სტიმულაციითა და CD7/VCAM1 ტრანსფექციით

HMEC1-stimulated (antibodies) versus HMEC1-CD7/VCAM1 (antibodies)	
HMEC1-IL1 $\beta$ +Monos	HMEC1-TNF $\alpha$ +Monos
HMEC1-IL1 $\beta$ +Monos-ანტიCD49	HMEC1-TNF $\alpha$ +Monos-ანტიCD49d
HMEC1-IL1 $\beta$ -ანტიCD106+Monos	HMEC1-TNF $\alpha$ -ანტიCD106+Monos
HMEC1-IL1 $\beta$ -ანტიCD106+Monos- ანტიCD49d	HMEC1-TNF $\alpha$ -ანტიCD106+Monos- ანტიCD49d
HMEC1-IL1 $\beta$ +Monos	HMEC1-IL1-CD7/VCAM1+Monos
HMEC1-IL1 $\beta$ +Monos-ანტიCD49	HMEC1-IL1-CD7/VCAM1+Monos-ანტიCD49d
HMEC1-IL1 $\beta$ -ანტიCD106+Monos	HMEC1-IL1-CD7/VCAM1-ანტიCD106+Monos
HMEC1-IL1 $\beta$ -ანტიCD106+Monos- ანტიCD49d	HMEC1-IL1-CD7/VCAM1- ანტიCD106+Monos-ანტიCD49d
HMEC1-TNF $\alpha$ +Monos	HMEC1- TNF $\alpha$ -CD7/VCAM1+Monos
HMEC1-TNF $\alpha$ +Monos-ანტიCD49d	HMEC1- TNF $\alpha$ -CD7/VCAM1+Monos- ანტიCD49d
HMEC1-TNF $\alpha$ -ანტიCD106+Monos	HMEC1- TNF $\alpha$ -CD7/VCAM1- ანტიCD106+Monos
HMEC1-TNF $\alpha$ -ანტიCD106+Monos- ანტიCD49d	HMEC1- TNF $\alpha$ -CD7/VCAM1- ანტიCD106+Monos-ანტიCD49d

ცხრილი 9

ენდოთელური უჯრედები GFP და CD7/VCAM1 ტრანსფექციით

HMEC1-GFP (antibodies) versus HMEC1-CD7/VCAM1 (antibodies)	
HMEC1-GFP+Monos	HMEC1-CD7/VCAM1+Monos
HMEC1-GFP+Monos-ანტიCD49	HMEC1-CD7/VCAM1+Monos-ანტიCD49d
HMEC1-GFP-ანტიCD106+Monos	HMEC1-CD7/VCAM1-ანტიCD106+Monos
HMEC1-GFP-ანტიCD106+Monos- ანტიCD49	HMEC1-CD7/VCAM1-ანტიCD106+Monos- ანტიCD49d

ცხრილი 10

ენდოთელური უჯრედები IL1 $\beta$ , TNF $\alpha$  სტიმულაციით და სტიმულაციის გარეშე

HMEC1 (antibodies) versus HMEC1 -stimulated (antibodies)	
HMEC1+Monos	HMEC1-IL1+Monos
HMEC1+Monos-ანტიCD49	HMEC1-IL1+Monos-ანტიCD49
HMEC1-ანტიCD106+Monos	HMEC1-IL1-ანტიCD106+Monos
HMEC1-ანტიCD106+Monos-ანტიCD49	HMEC1-IL1-ანტიCD106+Monos-ანტიCD49d
HMEC1+Monos	HMEC1-TNF $\alpha$ +Monos
HMEC1+Monos-ანტიCD49	HMEC1-TNF $\alpha$ +Monos-ანტიCD49d
HMEC1-ანტიCD106+Monos	HMEC1-TNF $\alpha$ -ანტიCD106+Monos
HMEC1-ანტიCD106+Monos-ანტიCD49	HMEC1-TNF $\alpha$ -ანტიCD106+Monos-ანტიCD49d

ცხრილი 11



## 2.6. IN VIVO კვლევები

აღნიშნული შრომის ფარგლებში in vivo ექსპერიმენტები ჩატარებულ იქნა ქმელებურნის ბეიკერის სახელობის გულისა და დიაბეტის კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე.

კვლევის in vitro მოდელების საშუალებით შესაძლოა CD7/VCAM-1 ზემოქმედების მსოლოდ ნაწილობრივი შესწავლა. CD7/VCAM-1-ით VCAM-1 რეცეპტორის კონკურენტული ინაქტივაციის გამოვლენა და ათეროგენეზის პროცესზე გენური ტრანსფექციის და ხსნადი პროტეინის ზემოქმედების შესწავლისათვის საჭირო გახდა კვლევა in vivo ექსპერიმენტებში გაგრძელებულიყო. ამ მიზნით ჩატარდა in vivo სამუშაოები, რომელთათვის შერჩეულ იქნენ ApoE-/- ტრანსგენური თაგვები. ცნობილია, რომ მათ ApoE დეფიციტის ფონზე სპონტანურად და განსაკუთრებით კი ცხიმით მდიდარი დიეტის ფონზე ათეროსკლეროზი უვითარდებათ. აპოლიპოპროტეინი E პასუხისმგებელია ტრიგლიცერიდებით მდიდარი ლიპოპროტეინების კომპონენტების ნორმალურ კატაბოლიზმზე, შესაბამისად მისი დეფიციტი ტრანსგენურ ცხოველებში იწვევს ათეროსკლეროზის განვითარებას. ხსნადი პროტეინის შესასწავლად in vivo კვლევებში შემდეგი ექსპერიმენტული მოდელები გამოიცადა: ApoE-/- დეფიციტური თაგვების საძილე არტერიის ტრანსფექცია აპლიკაციის ტექნიკის გამოყენებით და ApoE-/- დეფიციტური თაგვების საძილე არტერიის ტრანსფექცია ინექციის ტექნიკის გამოყენებით.

In vivo ექსპერიმენტები ApoE-/- თაგვები			
აპლიკაციის ტექნიკა		ინექციის ტექნიკა	
I ეტაპი	II ეტაპი	I ეტაპი	II ეტაპი
Arteria Carotis Comunis ტრანსფექცია (მარცხენა/მარჯვენ ა) CD7/VCAM-1 კონსტრუქტის აპლიკაციის გზით	48 საათის შემდეგ ტრანსფიცირებული სისხლძარღვის ამოღება	Arteria Carotis Comunis ტრანსფექცია (მარცხენა/მარჯვენ ა) CD7/VCAM-1 კონსტრუქტის ინექციის გზით	ტრანსფიცირებუ ლი სისხლძარღვის ამოღება 4 სხვადასხვა დროის ერთეულში

ცხრილი 12 კვლევის გეგმა

ცხრილი 12 წარმოადგენს in vivo სამუშაოების ეტაპებს. პირველი ეტაპი იყო კაროტიდული არტერიის (Arteria Carotis) ტრანსფექცია, ხოლო მეორე ეტაპი კი ტრანსფიცირებული და არა-ტრანსფიცირებული სისხლძარღვის გარკვეული დროის შემდეგ ამოკვეთა და შემდგომი შესწავლა იყო.

### **2.6.1. ApoE-/- თაგვების მომზადება**

ლაბორატორიული ცხოველების მოვლა და გამოყენება მიმდინარეობდა საერთაშორისო სახელმძღვანელოების თანახმად და სპეციალური უფლება ამ სამუშაოების ჩასატარებლად გაცემულ იქნა როგორც ქ.ფრეიბურგის საუნივერსიტეტო კლინიკის ასევე ბეიკერის გულისა და ღიაბეტის კვლევითი ინსტიტუტის მიერ.

ცხოველები სიცოხლის მეოთხე კვირიდან 2 კვირის განმავლობაში იღებდნენ სპეციალურ ქოლესტერინით მდიდარ საკვებს. ყველა საცდელ ცხოველთან in vivo კვლევების პირველი ეტაპი იწყებოდა 5 კვირის ასაკიდან.

#### **2.6.1.1. ქოლესტერინით მდიდარი დიეტა**

ქოლესტერინით მდიდარი დიეტისათვის გამოყენებულ იქნა სპეციალური საკვები, რომელიც 21% ცხიმსა და 0.15% ქოლესტეროლს შეიცავდა. 2 კვირიანი დიეტის შემდეგ იწყებოდა გამოკვლევის პირველი ეტაპი. პირველ და მეორე ეტაპს შორის პერიოდში ისინი ასევე იგივე საკვებს ღებულობდნენ.

2.6.1.2 ApoE-დეფიციტურ თაგვებზე ცდების მიმოხილვა

ჯგუფი	ინექცია	ცხოველების რაოდენობა		
		ბამოკვლევა		
		2 კვირაში	4 კვირაში	6 კვირაში
I	CD7/VCAM-1 10 <sup>9</sup> PFU/ml	-	-	16
	CD7/VCAM-1 10 <sup>8</sup> PFU/ml	-	-	5
	GFP 10 <sup>9</sup> PFU/ml	-	-	4
II	CD7/VCAM-1 10 <sup>9</sup> PFU	-	10	-
	CD7/VCAM-1 10 <sup>8</sup> PFU	-	10	-
	GFP 10 <sup>9</sup> PFU/ml	-	5	-
III	CD7/VCAM-1 10 <sup>9</sup> PFU	-	5	-
	CD7/VCAM-1 10 <sup>8</sup> PFU	-	6	-
	GFP 10 <sup>9</sup> PFU/ml	-	8	-
IV	CD7/VCAM-1 10 <sup>9</sup> PFU	6	-	-
	CD7/VCAM-1 10 <sup>8</sup> PFU	16	-	-
	GFP 10 <sup>9</sup> PFU/ml	9	-	-

ცხრილი 13 ცხოველების რაოდენობა, აღენოვირალური კონსტრუქტის გამოყენებული კონცენტრაციები, დროის ინტერვალები

### ცხრილის განმარტება:

I – პირველი საცდელი ჯგუფის ცხოველებს მეორე ოპერაცია უტარდებოდათ 6 კვირაში. II – მეორე საცდელი ჯგუფის ცხოველებს მეორე ოპერაცია უტარდებოდათ 4 კვირაში. III - მესამე საცდელი ჯგუფის ცხოველებს მეორე ოპერაცია უტარდებოდათ 6 კვირაში. (III და IV ჯგუფების ცხოველების სისხლძარღვების in vitro დამუშავება განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან).


IV - მეოთხე საცდელი ჯგუფის ცხოველებს მეორე ოპერაცია უტარდებოდათ 2 კვირაში.

თითოეული საცდელი ჯგუფის ცხოველის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ადენოვირალური კონსტრუქტისა და როგორც ვირალური კონტროლის GFP ადენოვირალური კონსტრუქტის ორი სხვადასხვა ტიტრ-კონცენტრაციის ინექციას/აპლიკაციას.


### 2.6.2. ოპერაციული ჩარევა

ყოველი ოპერაციული ჩარევა ხორციელდებოდა ღრმა ზოგადი ანესთეზიის ქვეშ. ნარკოზის დოზირების გამოსაანგარიშებლად ხდებოდა თავდაპირველად ცხოველების აწონვა. ამ შრომის ფარგლებში გამოყენებულები იყვნენ თავგები 20-30გ წონით. თავგებს ანესთეზია უტარდებოდათ იზოფლურან, კეტამინისა (Ketanest® 100 mg/kg BW) და ქსილაზინის (Rompun® 5 mg/kg BW) საშუალებით და თავსდებოდნენ დისექციურ მიკროსკოპზე. თვალის კაკლები იფარებოდა ბეპანთინის თვალის მაზით რათა ისინი არ გამოშრალიყვნენ. შესაბამისი ნარკოზული სიღრმის მიღწევის შემდეგ, რაც მოწმდებოდა რქოვანასა და ტკივილის რეფლექსების (მაგ. ტერფის ფალაგებს შორის რეფლექსის) არ არსებობით, ცხოველები მოთავსებულ იქნებოდნენ თბილ მატრასზე ზურგზე მწოლიარე პოზიციაში. თბილი მატრასის საშუალებით სხეულის ტემპერატურა ნარჩუნდებოდა მუდმივად 37°C დონეზე. საჭიროების შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სანარკოზე სითხის დაახლოებით მესამედის დამატებას.

კისრის ნაწილში თავგებს შეეზილებოდათ თმის მოსაშორებელი კრემი და სპეციალური შპატელით ხდებოდა თმის მოცილება. კანი განაკვეთის ადგილი კარგად დეზინფიცირდებოდა სპეციალური სადეზინფექციო ხსნარის საშუალებით. სტერილური, გამჭვირვალე პარკი დაეკვრებოდა ოპერაციის არეში. კანის განაკვეთი კეთდებოდა ცენტრში. სანერწყვე ჯირკვლები ერთმანეთისაგან ფროთხილად განცალკევდებოდა და კაროტიდული არტერიები გამოთავისუფლდებოდნენ. მარჯვენა საერთო საძილე არტერია (Arteria carotis communis dextra) და მარცხენა საერთო საძილე არტერია (Arteria carotis communis sinistra) განთავისუფლდებოდნენ ირგვლივმდებარე ქსოვილებისაგან ატრაუმატული, მიკროქირურგიული ტექნიკის საშუალებით. ამას მოყვებოდა სისხლძარღვის ტრანსფექცია (იხ.2.6.2.1.). საბოლოოდ განაკვეთი დაიხურებოდა და გაიკერებოდა. მეთვალყურეობის ქვეშ ცხოველები იღვიზებდნენ ნარკოზიდან. რამოდენიმე დღეში ჭრილობა ხორცდებოდა და 2-6 კვირის ცხიმით მდიდარი დიეტის პერიოდის შემდეგ ტარდებოდა ამ ცხოველების ხელახალი გამოკვლევა.



სურათი 13: ცდის ცხოველის მომზადება



სურათი 14: სისხლძარღვების გამოთავისუფლება

ისრებით მარცხნივ: ACCD - Arteria Carotis Communis Dextra, მარჯვნივ: ACCS - Arteria Carotis Communis Sinistra.

### 2.6.2.1. ApoE<sup>-/-</sup> დეფიციტური თაგვების საერთო საძილე არტერიის ტრანსფექცია




#### 2.6.2.1.1. აპლიკაციის ტექნიკის გამოყენება

მას შემდეგ რაც საძილე არტერიები მიმდებარე რბილი ქსოვილებისაგან გამოთავისუფლდებოდა მოვახდენდით GFP ადენოვირალური კონსტრუქტის ფუნჯით მარჯვენა და მარცხენა საერთო საძილე არტერიებზე Arteria carotis comunis (sinistra,dextra) ერთ სეგმენტზე აპლიკაციას. ჭრილობა დაიხურებოდა და გაიკერებოდა. თაგვები გამოდიოდნენ ნარკოზიდან მეთვალეურეობის ქვეშ. სისხლძარღვის ამოღება ხორციელდებოდა აპლიკაციის გზით ადენოვირალური კონსტრუქტით ტრანსფექციიდან 48 საათში. ასეთი ტრანსფექციისათვის გამოყენებულ იქნა მხოლოდ GFP ადენოვირალური კონსტრუქტი. დასაწყისში დასადგენი იყო კონსტრუქტი აპლიკაციის გზით შეაღწევდა თუ არა სისხლძარღვის ინტიმაში. ვინაიდან იმის დადასტურება, რომ კონსტრუქტი ახდენდა ენდოთელამდე

შელწევას ტრანსფექციის აპლიკაციის ტექნიკის გამოყენებით ვერ მოხერხდა, ამ მეთოდზე მუშაობა შეწყდა. ამ პრობლემის წამოჭრის გამო შემუშავებულ იქნა ალტერნატიული ტრანსფექციის ტექნიკა.

#### **2.6.2.1.2. ინექციის ტექნიკის გამოყენება**

ხსნადი პროტეინის საძილე არტერიაში ინექციამდე სისხლძარღვი ჭრილობის კიდებთან ზემოთ და ქვემოთ იქნა ლიგირებული. იგი დაცარილებულ იქნა სისხლისაგან. საოპერაციო მიკროსკოპის ქვეშ უწვრილესი შუშის კანულა შეყვანილ იქნა საერთო საძილე არტერიაში (*Arteria carotis communis*). ამ კანულაში იმთავითვე შეყვანილი იყო ადენოვირალური კონსტრუქტის შესაბამისი რაოდენობა. კანულის ბოლო მიერთებული იყო შპრიცთან. ყველაფერი მყარად იყო დაფიქსირებული სპეციალურ მიკრომანიპულატორზე. საერთო საძილე არტერიის განთავისუფლებული სეგმენტი გავსებულ იქნა ადენოვირალური კონსტრუქტით. ინკუბაციის პერიოდი გრძელდებოდა 20 წუთი. ამის შემდეგ კანულა ფრთხილად ტოვებდა სისხლძარღვს. ტრანსფექციის პერიოდში კი არტერია მოთავსებული იყო PBS ხსნარში რათა თავიდან აგვერიდებინა ქსოვილის გამოშრობა. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ქონდა მცირე რაოდენობით სისხლდენას ინექციის არეში, რომელიც წყდებოდა ამ ადგილზე კომპრესიის საშუალებით. ინკუბაციის შემდეგ სისხლძარღვი კვლავ განთავისუფლდებოდა და დავრწმუნდებოდით, რომ სისხლის მიმოქცევა აღდგა. ჭრილობა დაიხურებოდა და გაიკერებოდა. ცხოველი გამოდიოდა ნარკოზიდან მეტვალეურეობის ქვეშ. სისხლძარღვის ამოღების ოპერაცია ტარდებოდა 3 სხვადასხვა დროის მონაკვეთში (იხ. ცხრილი 13). ტრანსფექციისათვის გამოყენებულ იქნენ როგორც ადენოვირალური CD7/VCAM-1 კონსტრუქტი ასევე მისი GFP-კონტროლი.



სურათი 16: კაროტიდული არტერიის ტრანსფექცია ადენოვირალური კონსტრუქტის ინექციის გზით:

- 1 - საოპერაციო 2,3 -ინექციის გზით საძილე არტერიის ტრანსფექციის პროცესი
- 4 - ხსნადი პროტეინით შევსებული საძილე არტერია.




### 2.6.3. სისხლძარღვის ამოღება და მისი მომზადება შემდგომი კვლევისათვის

ApoE-/- ცხოველების აპლიკაციის ტექნიკის გამოყენებით ტრანსფექციიდან 48 საათში და ინიექციური ტექნიკით ტრანსფექციიდან ოთხ სხვადასხვა დროის მონაკვეთში (იხ.ცხრილი 13) ცხოველს კვლავ ეძლეოდა ზოგადი ნარკოზი. ხდებოდა ორივე კაროტიდის გამოთავისუფლება (იხ.2.6.2.). სისხლძარღვის გამოთავისუფლებული სეგმენტი ზედა და ქვედა ნაწილში ლიგირდებოდა. სისხლძარღვები ამოიკვეთებოდა ერთიმეორეს მიყოლებით ბიფურკაციის ფარგლებში. ამოკვეთილი სისხლძარღვები შემდგომი ჰისტომორფოლოგიური კვლევების ჩასატარებლად ინახებოდნენ როგორც თხევად აზოტში გაყინულები ასევე დაფიქსირდებოდნენ 4% ფორმალინში. ცხოველები კი ოპერაციის დასრულების შემდეგ ნარკოზის ქვეშ ეუთანაზირდებოდნენ.

### 2.6.4. სისხლძარღვების დამუშავება და გამოკვლევა აპლიკაციის ტექნიკით მათი ტრანსფექციის შემდეგ

სისხლძარღვის სეგმენტი ამოკვეთის შემდეგ თავსდებოდა 4% ფორმალინით ავსებულ ეპენდორფის სინჯარაში. შემდგომი გამოკვლევა ეფუძნებოდა GFP თვისებებს.



სურათი 17: GFP სტრუქტურა

GFP მწვანე მოფლუორესცენცირე პროტეინი (Green Fluorescence Protein) პირველად 1961 წელს ოსამუ შიმომურას (Osamu Shimomura) მიერ იქნა აღმოჩენილი. იგი აღწერილი იყო როგორც პროტეინი Quale Aequorea victoria-დან, რომელიც ლურჯი ან ულტრაიისფერი სხივით დასხივებისას მწვანედ ფლუორესცენცირებს. მისი პირველადი სტრუქტურა შედგება 238 ამინომჟავისაგან 26.9 kDa მოლეკულური

მასით. იგი ხმარებაშია მხოლოდ ოპტიკური თვალსაზრისით. არამოდიფიცირებულ, ბუნებრივად არსებულ GFP აქვს 2 მოქმედების მაქსიმა. პირველი მდებარეობს 395 nm ტალღის სიგრძეში, ხოლო მეორე 475 nm ტალღის სიგრძეში. ემისიის ტალღის სიგრძე წარმოადგენს 509 nm. GFP შეუძლია ფლუორესცენც მიკროსკოპში მოგვცეს უჯრედში (შესაბამისად ქსოვილში) სამიზნე პროტეინის დროული და ადგილობრივი ლოკალიზაციის შესახებ ინფორმაცია. ამისათვის სისხლძარღვები შეღებულ იქნენ CD7 FITC. ასეთნაირად გახდა შესაძლებელი GFP ვიზუალიზაცია ტრანსფიცირებულ და არა-ტრანსფიცირებულ კაროტიდულ არტერიებში.

## 2.7. საძილე არტერიებზე ჩატარებული ჰისტომორფოლოგიური კვლევები

ჰისტომორფოლოგიური კვლევები ჩატარებულ იქნა საძილე არტერიებზე, რომლებიც CD7/VCAM1 კონსტრუქტის მეშვეობით ტრანსფიცირებულ იქნენ ინექციის ტექნიკის გამოყენებით.

### 2.7.1. პრეპარატების მომზადება

მიკროსკოპისათვის პრეპარატების მომზადების სქემა

პრეპარატების მომზადება	
პარაფინის ანათლები	კრიოანათლები
ქსოვილი: საძილე არტერია	
1. ფიქსაცია (აუტოლიზის შეფერხება, პრეპარატის მომზადება დასაჭრელად)	
A) პარაფინის ანათლები	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ პროტეინკოაგულაცია</li> <li>✓ პროტეინების ქსელი (ალდეჰიდების, ფორმალინის, პარაფორმალდეჰიდის მიერ დაქსელვა)</li> </ul>

B) კრიონათლები	გაყინვა
2. დეჰიდრატაცია	
✓ თუ პრეპარატი ფიქსაციის შემდგომ წყალში უხსნადი მედიუმით უნდა დაფარულიყო (მაგ.პარაფინით) გამოიყენებოდა ზრდადი ალკოჰოლური რიგი (ეთანოლი, იზოპროპრანოლი)	
3. შეფუთვა (უხშირესად პარაფინით)	
4. პრეპერატების დაჭრა, ანათლების მომზადება (მიკროტომი, კრიოტომი)	
5. სასაგნე მინებზე გადატანა	
6. დეპარაფინირება (მხოლოდ პარაფინის ანათლებზე ქსილოლისა და კლებადი ალკოჰოლური რიგით)	
7. ღებვა	
8. შრობა	
9. შესანახი მედიუმის გამოყენება	
10. სასაგნე მინაზე გადატანა	

ცხრილი 14: პრეპარატების მომზადება გუდოს თანახმად (M.Gudo 2004).

პარაფინისა და კრიო ანათლების დამუშავების შედარება	
ანათლები	
პარაფინის ანათლები	კრიონათლები
ქსოვილის ფიქსაცია	ქსოვილის ფიქსაცია (გაყინვა)
გაუწყლოება	-20°C პრეპარატის დაჭრა
პარაფინში შეფუთვა	სასაგნე მინაზე გადატანა
პრეპარატის დაჭრა	ფიქსაცია / ყოველი ღებვის შემდეგ გაუწყლოება
სასაგნე მინაზე გადატანა	ღებვა
დეპარაფინირება	შრობა
ღებვა	-
გაუწყლოება	-
გადახურვა	-


ცხრილი 15: პარაფინ და კრიონათლების დამუშავება გუდოს თანახმად (M.Gudo 2004).

### 2.7. 1.1. პარაფინის ბლოკები

ამოღებული სისხლძარღვების პარაფინის ბლოკები დამზადდა Alfred Hospital-ის ბაზაზე (Melbourne, Australia) არსებულ ჰისტოპათოლოგიურ ლაბორატორიაში.

### 2.7.12. პარაფინის ანათლების დამზადება

პარაფინ ანათლებზე მუშაობისათვის გამოყენებულ იქნა შემდეგი მასალა: წვეტიანი პინცეტი, საპრეპარაციო ნემსი, სკალპელი, ნაზი ფუნჯი, ფილტრის ქაღალდი. კომპაქტური მიკროტომი Leuca RM 2135 (იხ. სურათი 20) გამოყენებული იქნა პარაფინ ბლოკების დასაჭრელად ჰისტოლოგიის განყოფილებაში (Baker Heart Research Institute, Melbourne, Australia). ყოველი პარაფინ ბლოკი დაჭრამდე შესაბამისად მუშავდებოდა. ტრაპეციის ფორმის ბლოკები ვიწრო ნაწილით მიკროტომის დანაზე ფიქსირდებოდა. სასურველი ანათლის სისქე მას შემდეგ მიიღწეოდა, რაც პრეპარატის ნაწილები კარგად გამოჩნდებოდა. 5 მკმ სისქეზე ხდებოდა ანათლების დამზადება. ანათლები სერიულად ერთმანეთზე აკინძულები რჩებოდნენ და ერთიმეორეს მიყოლებით მიკროტომის დანის გასწვრივ განლაგდებოდნენ. მათ ფუნჯით ან პინცეტით ხანმოკლე დროით წყლის აუზში ვათავსებდით. აუზში წყლის ტემპერატურა შეადგენდა 30-40 °C. თბილ წყალში ანათლები სწორდებოდა, ხდებოდა მათი ამოღება და სასაგნე მინაზე განთავსება. წყალი ფილტრის ქაღალდით ამოშრებოდა. ანათლების საბოლოო და სრულყოფილი შრობა საშრობ ღუმელში ხდებოდა. დაახლოებით ერთი დღის შემდეგ ისინი მზად იყვნენ ლეზვისათვის.



სურათი 20: a) მიკროტომი Leica RM 2135; b) წყლის აბაზანა Grale Scientific (Electrothermal).

### 2.7.1.3. კრიობლოკების წარმოება

კრიობლოკების პრეპარატები დამზადებული იყო ApoE-დეფიციტური თაგვების საძილე არტერიებისაგან.

ამოკვეთილი სისხლძარღვი დასაწყისში თხევადი აზოტით სავსე სინჯარაში თავსდებოდა. კრიობლოკების წარმოებისათვის საჭირო იყო სისხლძარღვის შესაფუთ სითხეში ე.წ. Tissue Tek მოთავსება. ამასთან მნიშვნელოვანი იყო, რომ სისხლძარღვი აღნიშნულ სითხეში ვერტიკალურ მდგომარეობაში უნდა პოზიციონირებულიყო. სითხე ხანმოკლე დროში განიცდიდა გამყარებას და ასეთნაირად „შეფუთული“ სისხლძარღვი მალევე თხევად აზოტში თავსდებოდა და 24 საათის განმავლობაში მასში ინახებოდა. მოგვიანებით ბლოკებს საყინულეში 80°C ვინახავდით მათი შემდგომი დამუშავებისათვის.

### 2.7.1.4. კრიობლოკების დაჭრა

კრიობლოკების დაჭრა მიმდინარეობდა კრიოტომ Leica CM1900 UV გამოყენებით. ეს ხელსაწყო გამოიყენება სწრაფი რუტინული დიაგნოსტიკისათვის. მას აქვს ბევრი სივრცე მოსახერხებელი მუშაობისათვის. ანათლების უსაფრთხოდ და იზოლირებულად შესანახად ხელსაწყოს აქვს საყინულე კამერა განცალკევებული ობიექტის გასაყინი სივრცით. ყოველი ცალკეული პრეპარატიდან მზადდებოდა

მინიმუმ 10 გაყინული ანათალი. კრიოტომი (იხ.სურათი 21) ყენდებოდა  $-20^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე. კრიოპრეპარატების გაღობა რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული ბლოკებს მათში პორტატული  $-80^{\circ}\text{C}$  საყინულეს საშუალებით გადავიტანდით. ჭრილის სისქე შეადგენდა 5მკმ. მიღებული ანათლები 2-2- თითო ობიექტზე იქნა განთავსებული.



**სურათი 21: კრიოტომი Leica CM1900 UV**

გარკვეული მზადება იყო საჭირო კრიობლოკების დაჭრამდე. სასაგნე მინები გამოყენებამდე შესაბამისი საფიქსაციო წებოთი იფარებოდნენ. მანუალური ღებვის შემთხვევაში ასეთი წებოვანი ფენის არსებობა აუცილებელია. სასაგნე მინაზე წარწერები ფანქრით კეთდებოდა და შეიცავდნენ შემდეგ ინფრომაციას:

- ცხოველის სახელი
- პრეპარატის სახეობა (A.Carotis, r (მარჯვენა) ან (მარცხენა))
- ფიქსაცია (Formaldehyd)
- ნაკრების ნომერი და პრეპარატის ნომერი
- სერიის ნომერი

### **2.7.2. ჰისტოლოგიური ღებვა**

ჰისტოლოგია იკვლევს უჯრედებისა და ქსოვილების მიკროსკოპულ ანატომიას. ჩვეულებრივ ეს ხდება უჯრედებისა და ქსოვილების მცირე ანათლებად დამზადებისა და მათი შესაბამისი ღებვის გზით, რასაც მოსდევს მათი მიკროსკოპული გამოკვლევა. ჰისტოლოგიაში გამოყენებული საღებავი ნივთიერებები წარმოშობით ქსოვილოვანი ინდუსტრიიდან არიან. ღებვა ამ

მეთოდის აუცილებელი პირობაა ვინაიდან მისი საშუალებით ხდება ქსოვილის ვიზუალიზაცია კონტრასტისა და ცალკეული მახასიათებლების ერთმანეთისაგან გამიჯვნით. ამისათვის მოვახდინეთ რამდენიმე მიკრომეტრის ზომის ქსოვილის ანათლების დამზადება, ღებვა და მიკროსკოპის ქვეშ შეფასება. სანამ ექპერიმენტის ნაზი ქსოვილოვანი დეტალების შეფასება მოხდებოდა ქსოვილი მანამდე სრულყოფილად მუშავდებოდა. არსებობს მრავალი სხვადასხვა ღებვის მეთოდი, რომლებიც ერთმანეთისაგან საღებავების ქიმიური და ფიზიკური თვისებებით განირჩევა. სისხლძარღვის ქსოვილის (A.Carotis) ჰისტოლოგიური წარმოდგენისათვის ამ ნაშრომში ძირითადად გამოყენებული იქნენ შემდეგი ღებვის მეთოდები: ჰემატოქსილინ – ეოზინით H&E და ღებვის მეთოდი ე.წ. პერიოდული მჟავის შიფ რეაქცია PAS (Periodic acid-Schiff reaction).

### 2.7.2.1. პარაფინის და კრიოანათლების H&E-ღებვა

H&E ღებვა არის ჰისტოლოგიური მასალის ყველაზე ხშირად გამოყენებული ღებვის მეთოდი. H&E ღებვა წარმოადგენს მიმოხილვითი ღებვის მეთოდს. ბირთვები უპირველესად იღებება ჰემატოქსილინის ხსნარით. ისინი ვლინდებიან ლურჯად, მუქ იისფრად ან შავად. მეორე ნაბიჯი არის საწინააღმდეგო ღებვა ქსანთენის საღებავის გამოყენებით (Eosin G oder B ან Erythrosin B). ციტოპლაზმა, კოლაგენი, კერატინი და ერთროციტები იღებებიან წითლად.

H-ღებვის შემდეგ უჯრედის ბირთვები ჩნდებიან მოწითალო-მოყავისფროდ. საღებავი ხსნარის დაბალი pH-მაჩვენებლის გამო. PH- მაჩვენებლის მომატებით გამდინარე წყალში გარეცხვით საღებავის ფერი გადადის ტიპურ მოლურჯო-იისფერში. საბოლოოდ კი ადგილი აქვს ციტოპლაზმის ღებვას ეოზინის ალკოჰოლურ / წყლისშემცველ ხსნარში. რეცხვის შემდგომი ეტაპების გამოყენებით ალკოჰოლის ხსნარებში მზარდი კონცენტრაციით საბოლოოდ აბსოლიტურ სპირტამდე ადგილი აქვს ქსოვილიდან წყლის გამოძევებას. საბოლოოდ კი გაუწყლოებული ანათალი მოთავსდება ორგანულ ხსნარში როგორცაა მაგალითად ქსილოლი და სასაგნე მინაზე დაიფარება საფარი მინით. ეს ანათალი და ასეთი ღებვის შემდეგი ნარჩუნდება ათწლეულების განმავლობაში და ყოველთვის შესაძლებელია მათი მიკროსკოპული დათვალიერება

## ხსნარები და მასალები H&E-ღებვისათვის

- ხსნარი Lillie Mayer Hämallum (იხ. ზევით)
- ხსნარი Scott's Brauchwasse Substitut
- ბეფერირებული ალკოჰოლური ეოზინოფილური ხსნარი
- ბეფერირებული ალკოჰოლური სამუშაო ხსნარი
- ნატრიუმის აცეტატის ხსნარი
- ძმარმუავას ხსნარი
- გამდინარე წყალი
- გამოხდილი წყალი
- ეთანოლი 95% und 100%
- DPX (ჩართვის-საფიქსაციო საშუალება სასაგნე მინასა და საფარ მინას შორის)
- საფარი მინა

### საღებავი ხსნარის მომზადება

ხსნარი	რაოდენობა (g)
<b>LILLIE MAYER HÄMALLUM</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• Hämatoxylin</li> <li>• Ammonium alum (aluminium sulphate)</li> <li>• გამოხდილი წყალი</li> </ul>	<p>5გ</p> <p>50გ</p> <p>700მლ</p>
Hämatoxylin და Ammonium alum მცირედი შეცხვლებით გაიხსნა გამოხდილ წყალში. ხსნარი შევაგრილეთ და დაუმატეთ შემდეგი:	
<ul style="list-style-type: none"> <li>• 1% Sodiumiodat</li> <li>• კრისტალური ძმარმუავა</li> <li>• Glycerol</li> </ul>	<p>30მლ</p> <p>20მლ</p> <p>300მლ</p>
<b>DER SCOTT'S BRAUCHWASSER SUBSTITUT</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• Sodium Bicarbonate (NaHCO<sub>3</sub>)</li> <li>• Magnesiumsulphat (MgSO<sub>4</sub>)</li> <li>• გამოხდილი წყალი</li> </ul>	<p>8.75გ</p> <p>50.0გ</p> <p>2500.0მლ</p>
მოხდა ამ კომპონენტების შერევა და გახსნა.	



<b>ბუფერული ალკოჰოლური ეოზინის ხსნარები</b>	
<b>ალკოჰოლური ეოზინი</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• ეოზინი</li> <li>• გამოსხილი წყალი } კარგად უნდა შეერიონ ერთმანეთში და</li> <li>• გაიხსნან</li> <li>• სუფთა ალკოჰოლი</li> </ul>	<p>10გ</p> <p>50მლ</p> <p>950მლ</p>
<b>0.2M SODIUM ACETATE IN 95% ეთანოლი</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• Sodium acetate</li> <li>• 95% ეთანოლი</li> </ul>	<p>8.2გ</p> <p>500მლ</p>
<b>1M ESSIGSÄURE IN 95% ეთანოლი</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• Eisessig</li> <li>• 95% ეთანოლი</li> </ul>	<p>31.2მლ</p> <p>520.0მლ</p>
<b>ბუფერული ალკოჰოლური ეოზინი - სამუშაო ხსნარი</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• ალკოჰოლური ეოზინი</li> <li>• 0.2 M Natriumacetat (alkoholisch)</li> <li>• 1M Essigsäure (alkoholisch)</li> <li>• 95% ეთანოლი</li> </ul>	<p>500მლ</p> <p>80მლ</p> <p>170მლ</p> <p>1250მლ</p>

### ცხრილი 16

### პროცედურა

ფორმალინში დაფიქსირებული პარაფინის ანათლები ტიპური მეთოდით დეპარაფინირდნენ და დეჰიდრირდნენ (Xylene 10 Minuten/2x, Ethanol 100%/2x, Ethanol 95%, Aqua destillata).

პარაფინ და კრიო ანათლების შეღებვა	ხანგრძლივობა	მოქმედება
➤ გამდინარე წყალი	5 წუთი	რეცხვა
➤ Lillie Mayer Haemalum	8 წუთი	უჯრედული ბირთვების ღებვა
➤ გამდინარე წყალი	10-20 წუთი	რეცხვა
➤ გაღურჯება Scott's Brauchwasser-ში	30 წამი	ღურჯი ფერის ჩამორეცხვა და სამიზნე სტრუქტურებზე ფერის ფიქსაცია
➤ გამდინარე წყალი	10-20 წუთი	რეცხვა
➤ 95% Ethanol	10 წამი	დიფერენცირება
➤ ბუფერირებული ალკოჰოლური ეოზინი	10 წუთი	უჯრედის პლაზმისა და ინტრაცელულური სუბსტაციების ღებვა
➤ აბსოლუტური ალკოჰოლი 3x Ethanol 95%, 100%, 100%, 3x ➤ Xylene 2x	10 წამი / 3 ჯერ 2-3 წამი	დეჰიდრირდეს
➤ ამოღება და DPX ჩადება ➤ სასაგნე მინით დაფარვა (მოვერიდოთ ჰაერის ბუშტუკებს)		შეიფუტოს

### ცხრილი 17

#### წყარო

- Lillie, RD (1942). Stain Technol 17:89
- Lillie, RD (1941). Stain Technol 16:1
- Scott, SG (1912). J Path Bact 16:390
- Blake, J (1970). HISTOLOGICAL METHODS, RMIT Appl Biol, 31.

### 2.7.2.2. პარაზოზინსა და კრიო პნათლებს PAS - ღებვა

პერიოდმუავა-ლეიკოფიქსინით ღებვა (Periodsäure-Leukofuchsin) არის ჰისტოლოგიაში ხშირად გამოყენებული ღებვის ტექნიკა. PAS - ღებვით უპირატესად გლიკოგენი იღებება. იგი ვლინდება წითლად, ბირთვები კი საპირისპიროდ ლურჯად.

#### ხსნარები და მასალები PAS - ღებვისათვის

- პერიოდმუავის ხსნარი
- Schiff რეაგენტის ხსნარი
- Lillie Mayer's Hämallumlösung (იხ. ზემოთ)
- Scott's Brauchwasser Substitut
- გამოსხილი წყალი
- გამდინარე წყალი
- Ethanol 95% und 100%
- DPX (ჩართვის-საფიქსაციო საშუალება სასაგნე მინასა და საფარ მინას შორის)
- 542 ფილტრის ქაღალდი
- საფარი მინა

#### სადებავი ხსნარის მომზადება

ხსნარი	რაოდენობა (მლ)
პერიოდმუავა (1%)	200
1გ Periodsäure განვაზაოთ 100მლ გამოსხილ წყალში	
<b>SCHIFF რეაგენტი</b>	400
<p><b>ხსნარი I:</b> 2g Pararosanilin Azetat in 60ml 1N HCL იხსნება (85ml HCL Konzentrat/1L Wasser )</p> <p><b>ხსნარი II:</b> 4g Sodium Metabisulhite in 340 ml გამოსხილ წყალში იხსნება</p> <p>აღწერა:                      ხსნარი I და ხსნარი II შერევა                      დამის განმავლობაში გაჩერება                      4გ აქტივირებული Charcoal დამატება                      შენჯღღრევა, 10 წუთი გაჩერება</p>	

542 ფილტრის ქაღალდში გაფილტვრა (ხსნარი უნდა იყოს კრისტალურად სუფთა და უნდა იქნეს განთავსებული 4°C)	
<b>LILLIE MAYER'S HÄMALLUM</b>	
(იხ.H&E-ღებვაში)	
<b>DER SCOTT'S BRAUCHWASSER SUBSTITUT</b>	
(იხ.H&E-ღებვაში)	

### ცხრილი 18

#### პროცედურა

ფორმალინში დაფიქსირებული პარაფინის ანათლები ტიპური ზემოთ აღწერილი გზით დეპარაფინირდებიან და რეჰიდრირდებიან (Xylene 10წუთი/2x, Ethanol 100%/2x, Ethanol 95%, Aqua destillata).

პარაფინისა და კრიო ანათლების ღებვა	ხანგრძლივობა	მოქმედება
➤ გამდინარე წყალი	5 წუთი	რეცხვა
➤ ანათლების გადატანა გამოსხილ წყალში	1-2 წუთი	რეცხვა
➤ 1% Periodsäure	5 წუთი	ოქსიდაცია
➤ გამდინარე წყალი	10 წუთი	რეცხვა
➤ გამოსხილ წყალში ჩაშვება	2-3 წამი	რეცხვა
➤ Schiff Reagent	10-20 წუთი	ღებვა
➤ გამოსხილ წყალში ჩაშვება	2-3 წამი	რეცხვა
➤ გამდინარე წყალი	15 წუთი	რეცხვა
➤ Lillie Mayer Haemalum	30 წამიდან 1 წუთამდე	ღებვა
➤ გამდინარე წყალი	5 წუთი	რეცხვა
➤ Bläuen in Scott's Brauchwasser	30 წამი	ლურჯი ფერის გამორეცხვა და ფერის ფიქსაცია

		სამიზნე სტრუქტურებზე
➤ გამდინარე წყალი	5 წუთი	რეცხვა
➤ 95% Ethanol	2 წუთი / 3 ჯერ	დეჰიდრირება
➤ 95% Ethanol	წუთი / 2 ჯერ	
➤ Xylene	5 წუთი / 2 ჯერ	
➤ ამოღება და DPX მოთავსება ➤ საფარი მინის დაფარება (მოვერიდოთ ჰაერის ბუშტუკების განვითარებას)		შეიფუტოს

### ცხრილი 19

#### წყაროს ჩამონათვალი

- Hans-Christian Burck: *Histologische Technik*, Thieme-Verlag, Stuttgart, ISBN 3-13-314306-9
- Werner Tackmann: *Repetitorium der Histologie: Teil 1 Zell- und Gewebelehre*, 1999, ISBN 3-932723-00-7 *Teil 2 Organe und Systeme*. 1999, ISBN 3-932723-01-5
- Gudrun Lang: *Histotechnik*. 2006, Springer-Wien-New York, ISBN 3-211-33141-7
- J.A. Kiernan: *Histological and histochemical Methods*. 1999, Arnold, ISBN 0-7506-4936-4

#### 2.7.3. სუდან IV-ღებვა (Sudan-Herxheimer's Staining)

სუდანის საღებავები არის სინთეზურად მიღებული აზოსაღებავები. ისინი იხსნებიან ნახშირწყლებში, ცხიმებში და ამდენად მოწოდებულია სწორედ ამ ნივთიერებების შესაღებად.

#### საღებავი PAS-ღებვის მასალა და ხსნარები

- სუდან-აცეტონი
- გამდინარე წყალი და ეთანოლი 70%
- 542 ფილტრის ქაღალდი

## სუდანის ხსნარის წარმოება

ხსნარი	რაოდენობა (გ,მლ)
<b>Sudan-Herxheimer's ხსნარი</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>▪ Sudan IV- საღებავი Ethanol 70%</li> <li>▪ Azeton</li> </ul>	<b>5 გ</b>  <b>500 მლ</b>  <b>500 მლ</b>
<p>ხსნარი შერევისა და გამოყენების შემდეგ გაიფილტრა. იგი გადატანილ იქნა თავდაცულ სინჯარაში და ასე იქნა შენახული ოთახის ტემპერატურაზე.</p>	

### ცხრილი 20

### პროცედურა

A.carotis შეღებვა	ხანგრძლივობა	მოქმედება
➤ Ethanol 70%	1 Min.	ცხიმის მოცილება
➤ Sudan-Herxheimer's ხსნარი	20 Min.	ღებვა
➤ Ethanol 80% ჩაშვება	10 Sek.	რეცხვა
➤ Ethanol 80%	20 Min.	დეჰიდრირება
➤ გამდინარე წყალი	60 Min.	რეცხვა

### ცხრილი 21:

#### წყაროს ჩამონათვალი

- R.D.Lillie. Conn's Biological Stains. Williams & Wilkins, Baltimore, MD, U.S.A.
- E.Gurr, (1971). Synthetic dyes in biology, medicine and chemistry. Academic Press, London, England.
- Aldrich chemical catalogue, 1992. Aldrich Chemical Company, Milwaukee, WI, USA.

## 2.7.4. მიკროსკოპია

მიკროსკოპიისათვის ჰისტოლოგიის განყოფილებაში მიკროსკოპების დიდი არჩევანი იყო (Baker Heart and Diabetes Research Institute, Melbourne, Australia). შემდეგი ხელსაწყოები იქნა გამოყენებული ამ ნაშრომის ფარგლებში: Olympus BH2, AxioCam MRc5 და LG დისექციური მიკროსკოპი.

## 2.8. სტატისტიკური გამოკვლევა

სტატისტიკური დამუშავება მოიცავდა საშუალო სიდიდეების (M) და მათი საშუალო სტანდარტული გადახრის გამოთვლას  $Mean \pm Std$ ;


ჯგუფებს შორის განსხვავების შეფასებას ვახდენდით რაოდენობრივი მანკენებლებისათვის სტიუდენტის კოეფიციენტით ორმხრივი კრიტიკული არისთვის, დამოკიდებული ამონარჩევისათვის ვიყენებდით t- Test Paired Two Sample for Mean, ხოლო დამოუკიდებელი ამონარჩევისთვის t- independent Test, სადაც დისპერსიების ტოლობა მოწმდებოდა ლევენის ტესტით.

პარამეტრებს შორის ურთიერთკავშირის დასადგენად ჩატარდა პირსონის კორელაციური ანალიზი (pearson). 95% -იანი სარწმუნოების აღბათობით ( $p < 0,05$ ). მათემატიკური უზრუნველყოფა განხორციელდა პროგრამების პაკეტის SPSS 17-0 –ის გამოყენებით.

### 3. კვლევის შედეგები

#### 3.1. HMEC-1 უჯრედულ კულტურაზე მუშაობის შედეგები

ენდოთელური უჯრედები თამაშობენ კრიტიკულ როლს კომპლექსურ ფიზიოლოგიურ და პათოფიზიოლოგიურ პროცესებში როგორც არის ლეიკოციტ-ენდოთელური ურთიერთქმედება, ანთება, ანგიოგენეზი, ჭრილობის შეხორცება და ა.შ. ამ მექანიზმების შესასწავლად, მრავალ კვლევაში გამოყენებულ იქნა ენდოთელური უჯრედული კულტურები. ამ ნაშრომში როგორც ზემოთ უკვე ავლნიშნეთ გამოყენებულ იქნა HMEC-1 ენდოთელურ უჯრედული კულტურა. ქვემოთ წარმოდგენილ გამოსახულებაზე კარგად ჩანს გამოსაკვლევად მომზადებული ენდოთელური უჯრედების მონომოლეკულარული უჯრედების შრე. აუცილებელი პირობა დაგეგმილი ცდების ჩასატარებლად თავიდანვე იყო ამ უჯრედებზე VCAM-1 რეცეპტორის ექსპრესიის არსებობა.




სურათი 22: HMEC-1 მონომოლეკულარული უჯრედების შრე



### 3.2. რეცეპტორექსპრესიის განსაზღვრა გამდინარე ციტომეტრიის გამოყენებით (FACS)


იმისათვის, რომ წარმოგვედგინა HMEC-1 უჯრედების როგორც ფენოტიპური მახასიათებლები ასევე მათი სტიმულაციისა და ტრანსფექციის შემდგომი ცვლილებები ჩავატარეთ ზოგიერთი ენდოთელურ უჯრედთან ასოცირებული ეპიტოპის გამდინარე ციტომეტრიული ანალიზი. VCAM-1- და CD7- ექსპრესია შეფასდა როგორც არასტიმულირებულ ასევე IL1-β და TNF-α სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედებზე.



სურათი 23: VCAM-1 და CD7 ექსპრესია IL1-β- და TNF-α სტიმულირებულ HMEC-1 უჯრედებზე

როგორც ეს გამოსახულებაზე ჩანს HMEC-1 უჯრედებზე ექსპრესირებულია ორივე ეს ანტიგენი. უჯრედების სტიმულაციამ კი გვიჩვენა CD7 და განსაკუთრებით კი VCAM-1 ექსპრესიის მკვეთრი მატება.

CD7 და VCAM-1 ექსპრესია გამოკვლეულ იქნა ასევე CD7/VCAM-1 კონსტრუქტის საშუალებით ენდოთელური უჯრედული კულტურის ტრანსფექციის შემდეგ. გამოყენებული იყო კონსტრუქტი ვირუსის სხვადასხვა კონცენტრაციებით რათა შეგვეჩინა მისი ეფექტური კონცენტრაცია და იგი შემდგომში დინამიურ ადჰეზიურ კვლევებში გამდინარე კამერის ცდებში გამოგვეყენებინა.



**სურათი 24: VCAM-1 და CD7 ექსპრესია CD7/VCAM-1 კონსტრუქტით ტრანსფეცირებულ HMEC-1 უჯრედებზე**


წარმოდგენილ ჰისტოგრამებზე კარგად ჩანს CD7/VCAM-1 კონსტრუქტის ზემოქმედება HMEC-1 უჯრედებზე, კერძოდ კი ამ უჯრედების მიერ VCAM-1 რეცეპტორის ექსპრესიის დათრგუნვა სამივე კონცენტრაციის გამოყენებისას. ეს ცვლილება ძალიან თაღსაჩინოა არატრანსფეცირებულ-არასტიმულირებულ და ტრანსფეცირებულ-სტიმულირებულ უჯრედებზე ექსპრესიის შედარებისას (იხილეთ ჰისტოგრამები სურათებზე 23 და 24). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონსტრუქტის კონცენტრაცია 0.5μl ( $2,1 * 10^9$  PFU / ml) ამ თვალსაზრისით ყველაზე ეფექტური აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე შემდგომ გამდინარე კამერის დინამიურ ადჰეზიურ კვლევებში გამოყენებულ იქნა სწორედ კონსტრუქტის ეს კონცენტრაცია.


### 3.3. დინამიური ადჰეზიური კვლევის შედეგები (Flow Chamber)

#### 3.3.1. მონოციტების ადჰეზიის ბლოკადა ენდოთელურ უჯრედებზე დინების პირობებში

მონოციტ-ენდოთელურ ურთიერთქმედებაზე ხსნადი პროტეინის CD7/VCAM-1 ზეგავლენის დინების პირობებში შესასწავლად აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში გამოყენებულ იქნა გამდინარე კამერის მეთოდი. მონოციტარული რეცეპტორი VLA-4 მნიშვნელოვან როლს თამაშობს მონოციტებისა და ენდოთელიუმის ურთიერთქმედების პროცესში. VCAM-1 კი თვით წარმოადგენს ლიგანდს VLA-4-სათვის. მონოციტების ენდოთელიუმზე ადჰეზია სწორედ ამ კავშირის საშუალებით არის განპირობებული. შესაბამისად VCAM-1-ის ბლოკადა დიდი მნიშვნელობისაა

და CD7/VCAM-1 კონსტრუქტმა შესაძლოა სამომავლო თერაპიული გამოყენებაც კი ჰპოვოს. უნდა გადამოწმებულიყო რამდენად წარმოდგენდა თავისი აქტივაციის სპეციფიურობას ეს კონსტრუქტი დინამიურ ადჰეზიურ ფუნქციურ ცდებში. ზემოთ აღწერილი ოქმის თანახმად ჩატარდა დინამიური ადჰეზიური კვლევები HMEC-1 უჯრედული კულტურის საშუალებით. მონოციტები ადამიანის სისხლიდან ფიკოლ გრადიენტის საშუალებით იქნენ გამოყოფილნი. CD7/VCAM-1 კონსტრუქტის მონოციტ-ენდოთელური ურთიერთქმედების ინჰიბიციის პოტენციალის შესაფასებლად ვიკვლევდით მონოციტების HMEC-1 ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე პირველად ადჰეზიასა (ე.წ.ბრუნვას) და მტკიცე ადჰეზიას როგორც ენდოთელური კულტურის სხვადასხვა პირობებში ასევე მონოციტების ანტი-CD49d ანტისხეულით დამუშავების, HMEC1 უჯრედების CD7/VCAM1 და GFP კონსტრუქტებით ტრანსფექციისა და IL1-β და TNF-α სტიმულაციის სხვადასხვა კომბინაციაში. მონოციტების ბრუნვა და ადჰეზია HMEC-1 ენდოთელური კულტურის ზედაპირზე შეფასებულ იქნა პარალელურ გამდინარე კამერაში წინასწარგანსაზღვრული დინების სიჩქარის 15 dynes/cm<sup>2</sup> ფონზე. უჯრედების ადჰეზია და ბრუნვა ვიზუალიზებულ იქნა ვიდეო მიკროსკოპის საშუალებით, ექვსი რანდომულად შერჩეული არე 5 წამიან ვიდეოფილმებში იქნა გაანალიზებული.





სურათი 25: A - ადჰერირებული მონოციტები არატრანსფიცირებულ HMEC-1 უჯრედებზე; B – ადჰერირებული მონოციტები CD7/VCAM-1 ტრანსფიცირებულ HMEC-1 უჯრედებზე; C - ადჰერირებული მონოციტები IL1-β სტიმულირებულ HMEC-1 უჯრედებზე; D - ადჰერირებული მონოციტები IL1-β სტიმულირებულ და CD7/VCAM-1 ტრანსფიცირებულ HMEC-1 უჯრედებზე; E - ადჰერირებული მონოციტები TNF-α სტიმულირებულ HMEC-1 უჯრედებზე; F - ადჰერირებული მონოციტები TNF-α სტიმულირებულ და CD7/VCAM-1 ტრანსფიცირებულ HMEC-1 უჯრედებზე;

საინტერესო იყო ტრანსფიცირებულ უჯრედებზე მონოციტების ურთიერთქმედების შედარება არატრანსფიცირებულ კულტურასთან. ამასთანავე როგორც იყო აღნიშნული ადგილი ქონდა ენდოთელური უჯრედების სტიმულაციას ორი სხვადასხვა სტიმულატორით IL1-β და TNF-α და მათ იმავდროულ ტრანსფექციას CD7/VCAM-1 კონსტრუქტით. საინტერესო იყო ანტი- VCAM1, ანტი-VLA-4, ანტი-ICAM1 ანტისხეულების ზემოქმედების შესწავლაც მონოციტ-ენდოთელური ურთიერთქმედებისას. ცხრილებში ქვემოთ წარმოდგენილია თითოეულ საკვლევ გჯუფში მიღებული შედეგები.

3.3.2. მონოციტების ენდოთელიუმის ზედაპირზე მტკიცე ადჰეზიის შესწავლის შედეგები:

ცხრილი 22

მონოციტების ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობათა შედარებითი ანალიზი CD7/VCAM1 ტრანსფიცირებულ ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე

ენდოთელური კულტურა/სტიმულაცია/ტრანსფექცია/ მონოციტები	Mean	Std. Dev.	p
HMEC1-CD7/VCAM1+Monos	6.59	1.890	0.0015
HMEC1-GFP+Monos	16.02	2.478	
HMEC1-CD7/VCAM1+Monos-antiCD49d	5.88	1.967	0.0001
HMEC1-GFP+Monos-antiCD49	18.60	2.416	
HMEC1-CD7/VCAM1-antiCD106+Monos	4.57	1.969	0.0000
HMEC1-GFP-antiCD106+Monos	17.33	2.250	
HMEC1-CD7/VCAM1-antiCD106+Monos-antiCD49d	4.08	2.051	0.0028
HMEC1-GFP-antiCD106+Monos-antiCD49	14.29	2.077	

ცხრილიდან ჩანს, რომ CD7/VCAM1-ით ტრანსფიცირებულ ენდოთელურ უჯრედებზე მონოციტების ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობა სარწმუნოდ ნაკლებია, ვიდრე GFP-ით ტრანსფიცირებულ ენდოთელურ უჯრედებზე.

ცხრილი 23

მონოციტების ადჰეზიის საშუალო მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი IL1β და TNFα სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე

ენდოთელური კულტურა/სტიმულაცია/ტრანსფექცია/ მონოციტები	Mean	Std. Dev.	p
HMEC1-IL1+Monos	46.06	6.774	0.0000
HMEC1-TNF+Monos	33.51	4.715	
HMEC1-IL1+Monos-ანტიCD49	42.89	8.076	0.1923
HMEC1-TNF+Monos-ანტიCD49d	41.94	4.109	
HMEC1-IL1-ანტიCD106+Monos	40.08	8.271	0.0038
HMEC1-TNF-ანტიCD106+Monos	36.46	4.163	
HMEC1-IL1-ანტიCD106+Monos-ანტიCD49d	35.85	10.427	0.0000
HMEC1-TNF-ანტიCD106+Monos-ანტიCD49d	23.45	5.790	

თვალსაჩინოა, რომ მონოციტების ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობა IL1β-ით სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე სარწმუნოდ მეტია ვიდრე TNFα-ით სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე.

ცხრილი 24

მონოციტების ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობათა შედარებითი ანალიზი  
ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე CD7/VCAM1 ტრანსფექციით/ტრანსფექციის  
გარეშე

ენდოთელური კულტურა/სტიმულაცია/ტრანსფექცია/ მონოციტები	Mean	Std. Dev.	p
HMEC1+Monos	19.29	2.986	0.0000
HMEC1+Monos+CD7/VCAM1	6.59	1.890	
HMEC1+Monos-antiCD49	17.44	2.164	0.0019
HMEC1+Monos-antiCD49+CD7/VCAM1	12.88	1.967	
HMEC1-antiCD54+Monos	16.90	7.242	0.2349
HMEC1-antiCD54+Monos+CD7/VCAM1	16.74	6.750	
HMEC1-antiCD54+Monos-antiCD49	14.87	4.966	0.1131
HMEC1-antiCD54+Monos- antiCD49+CD7/VCAM1	14.77	5.035	
HMEC1-antiCD106+Monos	12.73	2.494	0.0012
HMEC1- antiCD106+Monos+CD7/VCAM1	7.56	1.969	
HMEC1-antiCD106+Monos-antiCD49	10.71	2.157	0.0000
HMEC1-antiCD106+Monos- antiCD49+CD7/VCAM1	4.08	2.051	

ცხრილიდან ჩანს, რომ მონოციტების ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობა არატრანსფექცირებულ ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე სარწმუნოდ მეტია ვიდრე CD7/VCAM1 ტრანსფექციის შემთხვევაში.

ცხრილი 25

მონოციტების ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობათა შედარებითი ანალიზი  
ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე IL1 $\beta$  სტიმულაციით/ სტიმულაციის გარეშე

ენდოთელური კულტურა/სტიმულაცია/ტრანსფექცია/ მონოციტები	Mean	Std. Dev.	p
HMEC1+Monos	21.29	2.986	0.0001
HMEC1+Monos +IL1	46.06	6.774	
HMEC1+Monos-antiCD49	26.44	2.164	0.0021
HMEC1+Monos-antiCD49+IL1	42.89	8.076	
HMEC1-antiCD106+Monos	12.73	2.494	0.0000
HMEC1-antiCD106+Monos+IL1	40.08	8.271	
HMEC1-antiCD106+Monos-antiCD49	10.71	2.157	0.0003
HMEC1-antiCD106+Monos-antiCD49+IL1	35.85	10.427	

თვალსაჩინოა, რომ მონოციტების ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობა ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე IL1 $\beta$  სტიმულაციით სარწმუნოდ მეტია ვიდრე სტიმულაციის გარეშე.

### ცხრილი 26

მონოციტების ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობათა შედარებითი ანალიზი ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე TNF $\alpha$  სტიმულაციით/ სტიმულაციის გარეშე

ენდოთელური კულტურა/სტიმულაცია/ტრანსფექცია/ მონოციტები	Mean	Std. Dev.	p
HMEC1+Monos	21.29	2.986	0.0012
HMEC1+Monos +TNF	31.51	4.715	
HMEC1+Monos-antiCD49	17.44	2.164	0.0037
HMEC1+Monos-antiCD49+TNF	29.84	4.109	
HMEC1-antiCD106+Monos	12.73	2.494	0.0123
HMEC1-antiCD106+Monos+TNF	24.46	4.163	
HMEC1-antiCD106+Monos-antiCD49	10.71	2.157	0.0001
HMEC1-antiCD106+Monos-antiCD49+TNF	23.45	5.790	

ცხრილიდან ჩანს, რომ მონოციტების ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობა ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე TNF $\alpha$  სტიმულაციით სარწმუნოდ მეტია ვიდრე სტიმულაციის გარეშე.

### ცხრილი 27

მონოციტების ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობათა შედარებითი ანალიზი IL1 $\beta$  სტიმულირებულ და CD7/VCAM1 ტრანსფეციირებულ ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე

ენდოთელური კულტურა/სტიმულაცია/ტრანსფექცია/ მონოციტები	Mean	Std. Dev.	p
HMEC1+Monos+IL1	46.06	6.774	0.0002
HMEC1+Monos+IL1-CD7/VCAM1	3.66	2.520	
HMEC1+IL1+Monos-antiCD49	42.89	8.076	0.0014
HMEC1+IL1+CD7/VCAM1+Monos-antiCD49	3.46	2.133	
HMEC1-antiCD106+Monos+IL1	40.08	1.126	0.0023
HMEC1-antiCD106+Monos+IL1-CD7/VCAM1	3.21	0.243	

HMEC1-antiCD106+Monos- antiCD49+IL1	35.85	1.419	0.0000
HMEC1-antiCD106+IL1- CD7/VCAM1+Monos-antiCD49	2.53	0.217	

თვალსაჩინოა, რომ მონოციტების ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობა IL1 $\beta$  სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე სარწმუნოდ მეტია ვიდრე CD7/VCAM1 ტრანსფიცირებულ ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე.

### ცხრილი 28

მონოციტების ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობათა შედარებითი ანალიზი TNF $\alpha$  სტიმულირებულ დაCD7/VCAM1 ტრანსფიცირებულ ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე

ენდოთელური კულტურა/სტიმულაცია/ტრანსფექცია/ მონოციტები	Mean	Std. Dev.	p
HMEC1+Monos+TNF	33.51	4.715	0.0000
HMEC1+Monos+TNF -CD7/VCAM1	7.74	2.953	
HMEC1+Monos-antiCD49+TNF	29.84	4.109	0.0086
HMEC1+Monos-antiCD49+TNF - CD7/VCAM1	9.55	3.348	
HMEC1-antiCD106+Monos+TNF	27.46	4.163	0.0127
HMEC1-antiCD106+TNF - CD7/VCAM1+Monos	12.75	3.134	
HMEC1-antiCD106+Monos- antiCD49+TNF	23.45	5.790	0.0000
HMEC1-antiCD106+Monos- antiCD49+TNF -CD7/VCAM1	4.17	2.806	

ცხრილიდან ჩანს, რომ მონოციტების ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობა TNF $\alpha$  სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე სარწმუნოდ მეტია ვიდრე CD7/VCAM1 ტრანსფიცირებულ ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე.



### 3.3.3. მონოციტების ენდოთელიუმის ზედაპირზე ბრუნვის/პირველადი ადჰეზიის

#### შესწავლის შედეგები:

#### ცხრილი 29

მონოციტების ბრუნვის საშუალო მნიშვნელობათა შედარებითი ანალიზი CD7/VCAM1 ტრანსფიცირებულ ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე

ენდოთელური კულტურა/სტიმულაცია/ტრანსფექცია/ მონოციტები	Mean	Std. Dev.	p
HMEC1-CD7/VCAM1+Monos	13.77	2.817	0.0025
HMEC1-GFP+Monos	28.36	2.046	
HMEC1-CD7/VCAM1+Monos-antiCD49d	13.47	2.573	0.0037
HMEC1-GFP+Monos-antiCD49	26.38	1.939	
HMEC1-CD7/VCAM1-antiCD106+Monos	11.93	3.286	0.0018
HMEC1-GFP-antiCD106+Monos	24.43	2.598	
HMEC1- CD7/VCAM1-antiCD54+Monos-antiCD49	12.47	3.173	0.0001
HMEC1-GFP-antiCD106+Monos-antiCD49	23.46	1.952	

თვალსაჩინოა, რომ CD7/VCAM1-ით ტრანსფიცირებულ ენდოთელურ უჯრედებზე მონოციტების ბრუნვის საშუალო მნიშვნელობა სარწმუნოდ ნაკლებია, ვიდრე GFP-ით ტრანსფიცირებულ ენდოთელურ უჯრედებზე.

#### ცხრილი 30

მონოციტების ბრუნვის საშუალო მნიშვნელობათა შედარებითი ანალიზი IL1 $\beta$ , TNF $\alpha$

სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე

ენდოთელური კულტურა/სტიმულაცია/ტრანსფექცია/ მონოციტები	Mean	Std. Dev.	p
HMEC1-IL1+Monos	51.96	8.300	0.0005
HMEC1-TNF+Monos	35.28	5.835	
HMEC1-IL1+Monos-antiCD49	48.44	8.643	0.0029
HMEC1-TNF+Monos-antiCD49d	31.49	5.077	
HMEC1-IL1-antiCD106+Monos	43.38	9.380	0.023
HMEC1-TNF-antiCD106+Monos	32.02	4.613	
HMEC1-IL1-antiCD106+Monos-antiCD49d	38.05	11.738	0.0003
HMEC1-TNF-antiCD106+Monos-antiCD49d	25.75	5.496	

მონოციტების ბრუნვის საშუალო მნიშვნელობა IL1 $\beta$ -ით სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე სარწმუნოდ მეტია ვიდრე TNF $\alpha$  -ით სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე.

ცხრილი 31

მონოციტების ბრუნვის საშუალო მნიშვნელობათა შედარებითი ანალიზი ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე CD7/VCAM1 ტრანსფექციით/ტრანსფექციის გარეშე

ენდოთელური კულტურა/სტიმულაცია/ტრანსფექცია/ მონოციტები	Mean	Std. Dev.	p
HMEC1+Monos	29.47	3.350	0.0000
HMEC1+Monos+CD7/VCAM1	13.77	2.817	
HMEC1+Monos-antiCD49	23.84	3.543	0.0014
HMEC1+Monos-antiCD49+CD7/VCAM1	18.47	2.573	
HMEC1-antiCD54+Monos	25.63	5.893	0.1795
HMEC1-antiCD54+Monos+CD7/VCAM1	25.24	2.920	
HMEC1-antiCD54+Monos-antiCD49	22.91	3.096	0.1090
HMEC1-antiCD54+Monos-antiCD49+CD7/VCAM1	22.47	3.173	
HMEC1-antiCD106+Monos	20.40	2.664	0.0000
HMEC1-antiCD106+Monos+CD7/VCAM1	11.93	3.286	
HMEC1-antiCD106+Monos-antiCD49	17.56	2.437	0.0000
HMEC1-antiCD106+Monos-antiCD49+CD7/VCAM1	10.43	3.467	

მონოციტების ბრუნვის საშუალო მნიშვნელობა არატრანსფიცირებულ ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე სარწმუნოდ მეტია ვიდრე CD7/VCAM1 ტრანსფექციის შემთხვევაში.

ცხრილი 32

მონოციტების ბრუნვის საშუალო მნიშვნელობათა შედარებითი ანალიზი ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე IL1β სტიმულაციით/ სტიმულაციის გარეშე

ენდოთელური კულტურა/სტიმულაცია/ტრანსფექცია/ მონოციტები	Mean	Std. Dev.	p
HMEC1+Monos	29.47	3.350	0.0059
HMEC1+Monos +IL1	41.96	8.300	
HMEC1+Monos-antiCD49	23.84	3.543	0.0129
HMEC1+Monos-antiCD49+IL1	34.44	8.643	
HMEC1-antiCD106+Monos	20.40	2.664	0.0000
HMEC1-antiCD106+Monos+IL1	43.38	9.380	
HMEC1-antiCD106+Monos-antiCD49	17.56	2.437	0.0012
HMEC1-antiCD106+Monos- antiCD49+IL1	28.05	11.738	

თვალსაჩინოა, რომ მონოციტების ბრუნვის საშუალო მნიშვნელობა ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე IL1 $\beta$  სტიმულაციით სარწმუნოდ მეტია ვიდრე სტიმულაციის გარეშე.

### ცხრილი 33

მონოციტების ბრუნვის საშუალო მნიშვნელობათა შედარებითი ანალიზი IL1 $\beta$  სტიმულირებულ დაCD7/VCAM1 ტრანსფიცირებულ ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე

ენდოთელური კულტურა/სტიმულაცია/ტრანსფექცია/ მონოციტები	Mean	Std. Dev.	p
HMEC1+Monos+IL1	51.96	8.300	0.0077
HMEC1+Monos+IL1-CD7/VCAM1	9.54	3.976	
HMEC1+Monos-antiCD49+IL1	48.44	8.643	0.0001
HMEC1+Monos +IL1-CD7/VCAM1	9.80	3.639	
HMEC1-antiCD106+Monos+IL1	43.38	9.380	0.0008
HMEC1-antiCD106+Monos+IL1- CD7/VCAM1	9.31	3.024	
HMEC1-antiCD106+Monos- antiCD49+IL1	38.05	11.738	0.0000
+IL1-CD7/VCAM1	5.23	2.409	

მონოციტების ბრუნვის საშუალო მნიშვნელობა IL1 $\beta$  სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე სარწმუნოდ მეტია ვიდრე CD7/VCAM1-ით ტრანსფიცირებულ ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე.

ცხრილი 34

მონოციტების ბრუნვის საშუალო მნიშვნელობათა შედარებითი ანალიზი ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე TNF $\alpha$  სტიმულაციით/ სტიმულაციის გარეშე

ენდოთელური კულტურა/სტიმულაცია/ტრანსფექცია/ მონოციტები	Mean	Std. Dev.	p
HMEC1+Monos	29.47	3.350	0.0042
HMEC1+Monos +TNF	35.28	5.835	
HMEC1+Monos-antiCD49	23.84	3.543	0.0019
HMEC1+Monos-antiCD49+TNF	31.49	5.077	
HMEC1-antiCD106+Monos	20.40	2.664	0.0008
HMEC1-antiCD106+Monos+TNF	29.02	4.613	
HMEC1-antiCD106+Monos-antiCD49	17.56	2.437	0.014
HMEC1-antiCD106+Monos-antiCD49+TNF	25.75	5.496	

ცხრილიდან ჩანს, რომ მონოციტების ბრუნვის საშუალო მნიშვნელობა ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე TNF $\alpha$  სტიმულაციით სარწმუნოდ მეტია ვიდრე სტიმულაციის გარეშე.

ცხრილი 35

მონოციტების ბრუნვის საშუალო მნიშვნელობათა შედარებითი ანალიზი TNF $\alpha$  სტიმულირებულ და CD7/VCAM1 ტრანსფიცირებულ ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე

ენდოთელური კულტურა/სტიმულაცია/ტრანსფექცია/ მონოციტები	Mean	Std. Dev.	p
HMEC1+Monos+TNF	35.28	5.835	0.0022
HMEC1+Monos+TNF -CD7/VCAM1	11.15	3.031	
HMEC1+Monos-antiCD49+TNF	31.49	5.077	0.0005
HMEC1+Monos-antiCD49+TNF - CD7/VCAM1	9.75	3.036	
HMEC1-antiCD106+Monos+TNF	29.02	4.613	0.0018
HMEC1-antiCD106+TNF - CD7/VCAM1+Monos	8.35	3.537	
HMEC1-antiCD106+Monos-antiCD49+TNF	25.75	5.496	0.0021
HMEC1-antiCD106+Monos-antiCD49+TNF - CD7/VCAM1	6.21	3.579	

მონოციტების ბრუნვა TNF $\alpha$  სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე სარწმუნოდ მეტია ვიდრე CD7/VCAM1 ტრანსფიცირებულ ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე.

3.3.4. კორელაციური ანალიზის შედეგები:

ცხრილი 36

კორელაცია ენდოთელიუმის IL1 $\beta$  სტიმულაციასა და CD7/VCAM1 ტრანსფექციას შორის მონოციტების მტკიცე ადჰეზიის შემთხვევაში

პარამეტრები	HMEC1-IL1 $\beta$ - CD7/VCAM1+Monos	HMEC1-IL1 $\beta$ - CD7/VCAM1+Monos- antiCD49d	HMEC1-IL1 $\beta$ - CD7/VCAM1- antiCD106+Monos	HMEC1-IL1 $\beta$ - CD7/VCAM1- antiCD106+Monos- antiCD49d
HMEC1-IL1 $\beta$ +Monos	-.100 .472	.009 .949	-.007 .962	-.106 .445
HMEC1-IL1 $\beta$ +Monos-antiCD49	-.182 .189	-.091 .513	-.092 .508	-.162 .243
HMEC1-IL1 $\beta$ - antiCD106+Monos	-.096 .490	.003 .980	.016 .907	-.051 .712
HMEC1-IL1 $\beta$ - antiCD106+Monos- antiCD49d	-.106 .444	-.091 .513	-.015 .916	-.086 .536

ცხრილი 37

კორელაცია ენდოთელიუმის TNF $\alpha$  სტიმულაციასა და CD7/VCAM1 ტრანსფექციას შორის მონოციტების მტკიცე ადჰეზიის შემთხვევაში

პარამეტრები	HMEC1- TNF $\alpha$ - CD7/VCAM1+Monos	HMEC1- TNF $\alpha$ - CD7/VCAM1+Monos- antiCD49d	HMEC1- TNF $\alpha$ - CD7/VCAM1- antiCD106+Monos	HMEC1- TNF $\alpha$ - CD7/VCAM1- antiCD106+Monos- antiCD49d
HMEC1- TNF $\alpha$ +Monos	.382** .004	.263 .055	.292* .032	.311* .022
HMEC1- TNF $\alpha$ +Monos- antiCD49d	.144 .301	.018 .898	.058 .674	.118 .394
HMEC1-TNF $\alpha$ - antiCD106+Monos	.445** .001	.324* .017	.350** .010	.359** .008
HMEC1-TNF $\alpha$ - antiCD106+Monos- antiCD49d	.346* .010	.284* .037	.303* .026	.327* .016

ცხრილი 38

კორელაცია ენდოთელიუმის IL1 $\beta$  სტიმულაციასა და CD7/VCAM1 ტრანსფექციას შორის მონოციტების ბრუნვის/პირველადი ადჰეზიის შემთხვევაში

პარამეტრები	HMEC1-IL1 $\beta$ - CD7/VCAM1+Monos	HMEC1-IL1 $\beta$ - CD7/VCAM1+Mono s-antiCD49d	HMEC1-IL1 $\beta$ - CD7/VCAM1- antiCD106+Monos	HMEC1-IL1 $\beta$ - CD7/VCAM1- antiCD106+Mono s-antiCD49d
HMEC1-IL1 $\beta$ +Monos	-.251 .068	-.210 .128	-.134 .333	-.062 .656
HMEC1-IL1 $\beta$ +Monos-antiCD49	-.395(**) .003	-.347(*) .010	-.257 .061	-.212 .124
HMEC1-IL1 $\beta$ - antiCD106+Monos	-.519(**) .000	-.474(**) .000	-.343(*) .011	-.315(*) .020
HMEC1-IL1 $\beta$ - antiCD106+Monos- antiCD49d	-.443(**) .001	-.393(**) .003	-.283(*) .038	-.232 .091

ცხრილი 39

კორელაცია ენდოთელიუმის TNF $\alpha$  სტიმულაციასა და CD7/VCAM1 ტრანსფექციას შორის მონოციტების ბრუნვის/პირველადი ადჰეზიის შემთხვევაში

პარამეტრები	HMEC1- TNF $\alpha$ - CD7/VCAM1+Monos	HMEC1- TNF $\alpha$ - CD7/VCAM1+Monos- antiCD49d	HMEC1- TNF $\alpha$ - CD7/VCAM1- antiCD106+Monos	HMEC1- TNF $\alpha$ - CD7/VCAM1- antiCD106+Mon os-antiCD49d
HMEC1- TNF $\alpha$ +Monos	.208 .132	.157 .258	.175 .207	.240 .080
HMEC1- TNF $\alpha$ +Monos- antiCD49d	.157 .257	.110 .429	.202 .142	.257 .061
HMEC1-TNF $\alpha$ - antiCD106+Monos	.469(**) .000	.433(**) .001	.502(**) .000	.461(**) .000
HMEC1-TNF $\alpha$ - antiCD106+Monos- antiCD49d	.282(*) .039	.221 .109	.378(**) .005	.390(**) .004

მონოციტების პირველადი ადჰეზიის გჯუფებში კორელაციური ანალიზის შედეგად მნიშვნელოვანია შემდეგი კორელაციური კავშირების გამოვლენა:

HMEC1- IL1 $\beta$ -CD7/VCAM1+Monos სარწმუნო უარყოფით კორელაციას ამჟღავნებს HMEC1- IL1 $\beta$ +Monos-antiCD49-თან, HMEC1- IL1 $\beta$  -antiCD106+Monos-თან და HMEC1- IL1 $\beta$ -antiCD106+Monos-antiCD49d-თან, შესაბამისად:  $r=-0.395$ ,  $p=0.003$ ,  $r=-0.519$ ,  $p=0.000$ ,  $r=-0.443$ ,  $p=0.001$ ;

HMEC1- IL1 $\beta$ -CD7/VCAM1+Monos-antiCD49d სარწმუნო უარყოფით კორელაციას ამჟღავნებს HMEC1- IL1 $\beta$ +Monos-antiCD49-თან, HMEC1- IL1 $\beta$ -antiCD106+Monos-თან და HMEC1- IL1 $\beta$ -antiCD106+Monos-antiCD49d-თან, შესაბამისად:  $r=-0.347$ ,  $p=0.010$ ,  $r=-0.474$ ,  $p=0.000$ ,  $r=-0.393$ ,  $p=0.003$ ;

HMEC1- IL1 $\beta$ -CD7/VCAM1-antiCD106+Monos სარწმუნო უარყოფით კორელაციას ამჟღავნებს HMEC1- IL1 $\beta$ -antiCD106+Monos და HMEC1- IL1 $\beta$ -antiCD106+Monos-antiCD49d-თან შესაბამისად  $r=-343$ ,  $p=0.011$ ,  $r=-283$ ,  $p=0.038$ .

HMEC1-IL1 $\beta$ -CD7/VCAM1-antiCD106+Monos-antiCD49d სარწმუნო უარყოფით კორელაციას ამჟღავნებს HMEC1- IL1 $\beta$ -antiCD106+Monos-თან, შესაბამისად  $r=-315$ ,  $p=0.020$ .


აღნიშნულიდან გამომდინარე ვასკნით, რომ რაც მეტად სტიმულირებულია ენდოთელური კულტურა IL1 $\beta$  სტიმულატორით მით ნაკლებია მონოციტების პირველადი ადჰეზია CD7/VCAM1 კონსტრუქტით ტრანსფეცირებული ენდოთელიუმის ზედაპირზე.

### 3.4. In Vivo სამუშაოების შედეგები


წინარე კვლევებმა, რომლებიც უჯრედული კულტურის ექსპერიმენტების ფარგლებში ჩატარდა, წარმოაჩინა ხსნადი პროტეინის CD7/VCAM-1 მაინჰიბირებელი ეფექტი ენდოთელიუმზე მონოციტების ადჰეზიასა და ბრუნვასთან მიმართებაში. თუმცა მათ მხოლოდ ნაწილობრივ შეეძლოთ აღენოვირალური კონსტრუქტის ეფექტის გამოვლენა. საჭირო იყო ხსნადი პროტეინის გამოყენებით VCAM-1 რეცეპტორის კონკურენტული ინაქტივაციის შესწავლა in vivo ექსპერიმენტებში. ამისათვის ტრანსგენური ApoE $^{-/-}$  თაგვები იქნენ გამოყენებული. ამ ცხოველებს სპონტანურად და განსაკუთრებით ცხიმით მდიდარი დიეტის ფონზე უვითარდებათ ათეროსკლეროზული ფოლაქები. უნდა შეგვესწავლა ხსნადი პროტეინის გავლენა ათეროგენეზის საწყის პროცესზე, კონკრეტულად კი კაროტიდულ არტერიაში მიმდინარე პათოლოგიურ პროცესებზე. ეს ცხოველები ლიტერატურაში აღწერილია

როგორც ყველაზე შესაფერისი ცოცხალი მოდელი ათეროსკლეროზის კვლევისათვის.

როგორც ეს ნაშრომის II თავში იყო აღწერილი *in vivo* კვლევებში სხვადასხვა გზები გამოიცადა, რათა მომხდარიყო ხსნადი კონსტრუქტით ენდოთელური შრის ტრანსფექცია. აპლიკაციის ტექნიკის გამოყენებისას GFP ვირალური ვექტორის შეღწევა ენდოთელიუმში არ დადასტურდა, ბიოლუმინისცენტრული მიკროსკოპით მწვანე მოფლურესცენცირე პროტეინის (დადებითი კონტროლის) ენდოთელურ უჯრედებზე ვიზუალიზაცია არ გამოვლინდა, თუმცა კარგად ჩანდა სისხლძარღვის გარე შრეებისა და მიმდებარე ქსოვილების ლუმინესცენცია. ამ მეთოდზე მუშაობა შეწყდა.



არა-რანსფიცირებული



ტრანსფიცირებული და CD7 FITC  
შედებილი


### სურათი 18: GFP კომპლექსით საძილე არტერიის ვიზუალიზაცია

აღწერილი პრობლემის წამოჭრის გამო შემუშავებულ იქნა ალტერნატიული ტრანსფექციის ტექნიკა. კერძოდ კი კაროტიდულ არტერიაში უწვრილესი კანულების საშუალებით სასურველი მასალის ინექციის ოპერაცია. ქვემოთ წარმოდგენილია შედეგები, რომლებიც მივიღეთ აღნიშნული კვლევების ჩატარების შემდგომ.

სურათი 26-ზე თვალსაჩინოა, რომ საძილე არტერიაში ადგილი ქონდა არტერიის



პათოლოგიურ სახეცვლილებას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სწორედ ტრანსფექციისას ინექციის არეა. საინტერესოა ფაქტი, რომ როგორც ხსნადი პროტეინის გამოყენებისას ასევე დადებითი კონტროლისა და უარყოფითი კონტროლის - ბუფერული ხსნარის (pH=7,4) გამოყენების შემთხვევაში ადგილი ქონდა მზგავსი პათოლოგიური ცვლილებების გამოვლენას.



სურათი 26: მარცხნივ - ApoE<sup>-/-</sup> თაგვის A. Carotis, ტრანსფექციამდე; მარჯვნივ - ApoE<sup>-/-</sup> თაგვის A. Carotis CD7/VCAM1 ტრანსფექციის შემდეგ.

### 3.4.1. ApoE<sup>-/-</sup> დეფიციტურ თაგვებში ათეროსკლეროზის მორფოლოგიური დახასიათება ჰისტოლოგიური კვლევის შედეგად


ApoE<sup>-/-</sup> თაგვები წარმოადგენენ საუკეთესო ცოცხალ ათეროსკლეროზის მოდელს, რომელთა დაზიანებულ სისხლძარღვებზე დაკვირვება ათეროსკლეროზის კვლევის შესანიშნავი საშუალებაა. ApoE<sup>-/-</sup> თაგვების სისხლძარღვის კედელში ათეროსკლეროზული ცვლილებების წარმოსაჩენად ვამზადებდით საძილე არტერიის ჰისტოლოგიური ანათლებს და ვახდენდით მათ ჰისტოლოგიურ კვლევას ზემოთ აღწერილი მეთოდების გამოყენებით. ჰისტოლოგიურ ანათლებში უნდა გამოგვეკვლია ათეროსკლეროზის გავრცელების ხარისხი ლიტერატურაში აღწერილი, აღიარებული კრიტერიუმების თანახმად (როგორებიც არის ანთების ხარისხი, ფიბრობლასტების პროლიფერაცია, ლეიკოციტების ინფილტრაცია, ჰიპერპლაზია და ა.შ.) და ის ცვლილებები, რაც შესაძლოა მოყოლოდა კაროტიდული არტერიის CD7/VCAM1 კონსტრუქტით ტრანსფექციას. ამ შრომაში ჰისტოლოგიურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ინექციის ტექნიკის გამოყენებას

შედგება ქონდა სისხლძარღვებში განსაკუთრებით კი ინექციის არეში პათოლოგიური ცვლილებების განვითარება. ამდენად ნაცვლად იმისა, რომ გამოგვეკვლია კონსტრუქტის ეფექტი, ნაოპერაციებ ტრანსფიცირებულ კაროტიდულ არტერიებში განვითარდა გლუვი კუნთოვანი ქსოვილის პროლიფერაცია, არტერიის კედლის ფიბროზული მასებით, კომპექსური ნახშირწყლებით, კალციუმის დეპოზიტებით, ლიპიდებითა და მაკროფაგებით ინფილტრაცია.

### **3.4.2. პათოლოგიური ათეროსკლეროზული ცვლილებები წარმოდგენილი H&E და PAS ღებვის მეთოდებით**

ჰემატოქსილინ-ეოზინით ღებვა არის ჰისტოლოგიური ღებვის ერთერთი მეთოდი, რომლის საშუალებითაც ადგილი აქვს რბილი ქსოვილის ანათალის სხვადასხვა სტრუქტურის ვიზუალიზაციას. ჰემატოქსილინი არის ბუნებრივი საღებავი. იმისათვის რომ მან თავისი ღებვის უნარი გამოავლინოს იგი ჰემალაუმად უნდა გარდაიქმნას. ჰემალაუმი კი ყველა მჟავა ბაზოფილურ სტრუქტურას ლურჯად ღებავს, განსაკუთრებით კი უჯრედის ბირთვებს (რომლებიც დნმ-ს შეიცავენ) და შიშველ ენდოპლაზმურ რეტიკულუმს. ეოზინი არის სინთეზური მჟავა ნივთიერება და ღებავს ყველა აციდოფილურ კერძოდ კი ბაზალურ სტრუქტურებს წინთლად, რაც პირველ რიგში მოიცავს უჯრედის პლაზმურ პროტეინებს.

H&E-ღებვამ მოგვცა საშუალება გამოგვევლინა ათეროსკლეროზული ცვლილებების განვითარების ხარისხი ApoE-/- დეფიციტურ თაგვებში. ღებვის ეს მეთოდი არის ყველაზე ფართოდ გამოყენებული მეთოდი ქსოვილის, უპირატესად კი ენდოთელიუმის შეფასებისათვის. გამოსახულებები ქვემოთ წარმოდგენენ ApoE-/- დეფიციტურ თაგვებში ათეროსკლეროზული ცვლილებების მორფოლოგიურ ასახვას:



სურათი 27


ApoE-/- დეფიციტური

თაგვის A.Carotis

CD7/VCAM-1

ტრანსფიცირებული მხარე

H&E ღებვა, 10x გადიდება



სურათი 28

ApoE-/- დეფიციტური

თაგვის A.Carotis


არატრანსფიცირებული

მხარე

H&E ღებვა, 10x გადიდება

ამ შემთხვევაშიც კარგად ჩანს, რომ CD7/VCAM-1 ტრანსფიცირებული საძილე არტერიის ენდოთელი პათოლოგიურად არის გადაგვარებული. უჯრედის ბირთვები კარგად ჩანს ხოლო სისხლძარღვის კედლის სტრუქტურა სრულიად შეცვლილია. ასევე კარგად ჩანს სისხლძარღვის კედლის ინფილტრაცია მონოციტებითა და მაკროფაგებით. ათეროსკლეროზის ამსახველი უჯრედული და ქსოვილოვანი სურათი ასევე წარმოდგენილია არატრანსფიცირებულ სისხლძარღვშიც, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცვლილებები გაცილებით მცირეა ნაოპერაციებ მხარესთან შედარებით.

რაც შეეხება PAS – Periodic acid-Schiff ღებვას იგი არის ხშირად გამოყენებული ღებვის ტექნიკა ჰისტოლოგიაში. იღებება გლიკოგენი, ცელულოზა, ნეიტრალური მუკოპოლისაქარიდები, მუკო- და გლიკოპროტეინები და გლიკოლიპიდების სუბსტანციები, რომლებიც მდებარეობენ კოლაგენში, ბაზალურ მემბრანაში, უჯრედის კედლებში და ნეიტრალურ ლორწოებში. ღებვის პრინციპი არის გლიკოჯგუფების ოქსიდაცია ალდეჰიდჯგუფებად პერისმეავის მეშვეობით. მომდევნო ეტაპებზე ადგილი აქვს კონტრასტით მდიდარი ბირთვების ღებვას ჰემალაუმის საშუალებით. ღებვის შედეგები ასე გამოიყურება: ნეიტრალური მოკოპოლისაქარიდები - წითლად, უჯრედის ბირთვები ლურჯ-ისფრად, ციტოპლაზმა-წითლად, რნმ-ით მდიდარი ციტოპლაზმა ლურჯად.



სურათი 29


ApoE-/- დეფიციტური თაგვის

**A.Carotis**

**CD7/VCAM-1**

ტრანსფიცირებული მხარე

**PAS ღებვა, 10x გადიდება**



სურათი 30

ApoE-/- დეფიციტური თაგვის

**A.Carotis**

არატრანსფიცირებული მხარე


**PAS ღებვა, 10x გადიდება**


ორივე გამოსახულებაზე ჩანს ათეროსკლეროზის პათოლოგიური სურათი, ისევე როგორ **H&E** ღებვის შემთხვევაში. პათოლოგიური ათეროსკლეროზული ცვლილებები, რომლებიც გამოვლენილია ApoE-/- თაგვის CD7/VCAM-1

ტრანსფიცირებულ სისხლძარღვში მნიშვნელოვნად ნაკლებად ვლინდება არატრანსფიცირებულ სისხლძარღვში. მთლიანობაში კი ჩანს, რომ სისხლძარღვის კედლის ყველა შრე თანაბრად არის შეღებილი, შემაერთებელქსოვილოვანი სტრუქტურები მდიდარია ლიპიდების შემცველობით. დაზიანებები კი რომელიც ვლინდება ინტიმის გასქელებით, რაც გამოწვეულია ლიპიდებისა და მონოციტ/მაკროფაგული ინფილტრაციებით გამოვლენილია როგორც ტრანსფიცირებულ ასევე არატრანსფიცირებულ სისხლძარღვის კედელში, თუმცა საკმაო უპირატესობით ნაოპერაციები სისხლძარღვის შემთხვევაში.

### 3.4.3 სუდან IV ღებვის შედეგები



სუდან IV ღებვა არის პროგრესული ღებვა, რომლის დროსაც ფერით იღებება მხოლოდ ქსოვილის სასურველი ნაწილები, კერძოდ ცხიმოვანი ქსოვილი. ყველა სუდან IV-ით შეღებილ საძილე არტერიების შემთხვევაში დაზიანებული სისხლძარღვის დანახვა მარტივად შესაძლებელია შეუიარაღებელი თვალითაც, ვინაიდან შეღებილი ცხიმოვანი ქსოვილი წითელი ფერით გამოირჩევა სხვა ქსოვილებისაგან. ქვემოთ წარმოდგენილია ტრანსფიცირებული და არატრანსფიცირებული სისხლძარღვები. ტრანსფიცირებული სისხლძარღვის შემთხვევაში შესამჩნევია საღებავის ძლიერი ჩართვა საკონტროლო სისხლძარღვთან შედარებით. განსაკუთრებით თვალში საცემია ტრანსფიცირებული სისხლძარღვის ქვედა მესამედი, რომელიც სწორედ შეესაბამება ტრანსფექციისას ინექციის ადგილს.





სურათი 31: ApoE<sup>-/-</sup> დეფიციტური თაგვის Op(operated)ნაოპერაციები, ტრანსფიცირებული არანაოპერაციები, არატრანსფიცირებული მხარე.

A. Carotis, სუდან IV ღებვა, A - მხარე; B - C(control) კონტროლი,



სურათი 32: მარცხნივ - ApoE<sup>-/-</sup> თაგვის A. Carotis CD7/VCAM1 ტრანსფექციის შემდეგ; მარჯვნივ - ApoE<sup>-/-</sup> თაგვის A. Carotis სუდან IV ღებვა, CD7/VCAM1 ტრანსფექციის შემდეგ;

#### IV მიღებული შედეგების განხილვა

მონონუკლეარული უჯრედების ადჰეზია ენდოთელური ანთების კერებში არის ერთერთი პირველი ნაბიჯი ათეროსკლეროზული ფოლაქის განვითარებაში. ეს ადჰეზია ხორციელდება უამრავი სხვადასხვა რეცეპტორისა და ლიგანდის სპეციფიური ურთიერთქმედების გზით. ერთერთ უმნიშვნელოვანეს მოლეკულას მონოციტ-ენდოთელური ურთიერთქმედების პროცესში წარმოადგენს VCAM1. იგი არის იმუნოგლობულინის მზგავსი ენდოთელური ადჰეზიური მოლეკულა, რომელიც ფართოდ არის ექსპრესირებული ადამიანის ათეროსკლეროზულ ფოლაქებში და ათეროსკლეროზული დაზიანების არეებში. იგი სტრუქტურულად ICAM1-ის მზგავსია, თუმცა რეგულაციის მისი მოდელი უნიკალურია. მნიშვნელოვანია ფაქტი, რომ VCAM1 არ არის ექსპრესირებული ენდოთელურ უჯრედებზე საწყის, არაანთებით მდგომარეობაში, მისი ექსპრესია სწრაფად ვითარდება ენდოთელური აქტივაციის მეშვეობით, რაც გულისხმობს ენდოთელიუმზე რეაქტიული ოქსიგენური მოლეკულების პროდუქციას, ციტოკინების აქტივაციას. ამ ადჰეზიური მოლეკულის ზე-რეგულაცია ანთების პირობებში დადასტურებულია ათეროსკლეროზული დაზიანების უბნებში, ათეროსკლეროზულ ფოლაქებში მაღალსპეციფიური გამოკვლევის საშუალებებით. მისი ექსპრესია არაერთხელ იქნა დემონსტრირებული კვლევებში თავგებსა და ბოცვრებზე. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს VCAM1-ის სპეციფიურობას ამ დაავადების პათოგენეზში და წარმოაჩენს მას მიმზიდველ თერაპიულ სამიზნედ ათეროსკლეროზის მკურნალობაში.

მრავალი კვლევა განიხილავს VCAM-1 როგორც ერთერთ უმნიშვნელოვანეს ენდოთელურ რეცეპტორს და მედიატორს მონოციტების ადჰეზიისა და ტრანსმიგრაციის პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ მონოციტებზე არსებული ინტეგრინი  $\alpha_4\beta_1$  (VLA-4) არის ყველაზე დიდი ლიგანდი ვასკულური ადჰეზიური მოლეკულა-1-თვის. აქამდე არსებული კვლევები ხშირად მოიხსენიებდა VCAM-1 განპირობებულ მონოციტების ადჰეზიას (Alon R., 1995, Carter R., 2001, Huo Y., 2000, etc.). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს კორელაცია VCAM-1 ადამიანის ათეროსკლეროზული დაზიანების არეებში მათ მაღალ ექსპრესიასა და ამ არეებში მონოციტების აკუმულაციას შორის (O'Brien *et al.*, 1996). სხვა *in vitro* ცდებში ნაჩვენებია იყო, რომ VCAM-1, რომელიც ექსპრესირებულია ენდოთელური და გლუვი კუნთოვანი უჯრედების მიერ, ხელს უწყობდა მონოციტებისა და

ლიმფოციტების ადჰეზიას (Carlos *et al.*, 1990; Cybulsky & Gimbrone, 1991; Henseleit *et al.*, 1994). ვირთხებში VCAM-1 მომატებული ექსპრესია არტერიების დაზიანების შემდეგ განაპირობებდა მონოციტებისა და მაკროფაგების ადჰეზიას (Landry *et al.*, 1997). მოგვიანებით ცდებში კი აღნიშნული რეცეპტორის ბლოკადა ანტი-VCAM1 ანტისხეულის საშუალებით გამდინარე ექსპერიმენტებში, რომელთა დროსაც ApoE-/- თაგვების საძილე არტერიაში მონოციტების ინექცია ხდებოდა, იწვევდა სისხლძარღვის კედელზე მიმაგრებული მონოციტების მოცილებას (Huo *et al.*, 2000). შანგის მიერ დადგენილ იქნა, რომ მონოციტების მიგრაცია HUVEC უჯრედებში ანტი-VCAM-1 ანტისხეულის საშუალებით სრულიად ბლოკირდა (Shang *et al.*, 1998). თუმცა აღნიშნული ანტისხეულით ამ რეცეპტორის ბლოკირების ეფექტურობა ჩატარებული სხვა ცდებით გამოირიცხა (Gerszten *et al.* (1998). ლორენცოს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ზედაპირული რეცეპტორის ანტი-VCAM-1 ბლოკირება უჯრედშიდა კალციუმის შემცველობას პათოლოგიურად ცვლიდა და სტრესბოჭკოებს წარმოშობდა (Lorenzon *et al.*, 1998). სხვა ცდების შედეგად დადგენილ იქნა, რომ VCAM1 ლეიკოციტების ენდოთელზე მიზიდვის ნებისმიერ ეტაპზე მონაწილეობს (Gerszten *et al.* 1998). მზგავსი სიგნალების ფუნქციონირება უფრო ადრეულ კვლევებშიც აღინიშნა (Carlos & Harlan, 1994), (Yoshida *et al.*, 1996). თუმცა VCAM1-ის უპირატესი როლი მონოციტების ენდოთელზე მიზიდვის პროცესში მოგვიანებით კვლევებში E-Selectin და ICAM-1 შესწავლის შედეგად გამოიკვეთა. ყველა გამოკვლევას ერთი რამ აერთიანებდა, რომ VCAM-1 ყოველთვის ექსპრესირებული იყო ათეროსკლეროზული დაზიანების უბანში. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ლოგიკური იყო რომ მისი ბლოკადის შედეგად იმუნური პასუხის ეფექტური უკუგანვითარება მიგველო.

როგორც უკვე აღინიშნა ქ.ფრაიბურგის საუნივერსიტეტო კლინიკის ანგიო-კარდიოლოგიურ განყოფილებაში შექმნილი მოლეკულების კომპლექსი შედგებოდა ინტრაცელულარული β3 ნაწილისა და ექსტრაცელულარული ტრანსმემბრანული CD7 ნაწილისაგან, ე.წ. ინერტული მარკერისაგან. კონცეფციის გამოცდისათვის მრავალი კვლევა ჩატარდა სხვადასხვა ადჰეზიურ მოლეკულებზე. CD7/VCAM-1 კონსტრუქტი შეიქმნა შიდაუჯრედული VCAM1 და ექსტრაცელულური და ტრანსმემბრანული CD7 ნაწილისაგან იმ მიზნით, რომ მას მოეხდინა კონკურენტული დომინანტური ზემოქმედება უჯრედის VCAM1 რეცეპტორზე,



განხორციელებინა მისი ინაქტივაცია, რასაც შედეგად მონოციტ-ენდოთელური ურთიერთქმედების შეზღუდვა ექნებოდა.

ისევე როგორც ჩატარებულ მრავალ კვლევაში, მარჰეინეკეს კვლევებშიც დადასტურდა, რომ ეს რეცეპტორი პასუხისმგებელია როგორც მონოციტების ადჰეზიაზე ასევე მათ ტრანსმიგრაციაზე (Marheinenke, 2002). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კვლევების ფარგლებში ადგილი ქონდა VCAM-1 ფუნქციის შეფასებას ადჰეზიის სტატიურ მოდელში. VCAM-1 შესახებ მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოსალოდნელი იყო, რომ მისი ფუნქცია ზემოთ აღნიშნულ პროცესებში დათრგუნულიყო ხსნადი პროტეინის ზემოქმედებით. საჭირო იყო ამ პროცესის დინამიური ადჰეზიური კვლევის მოდელში შესწავლა. ასეთი მიდგომისათვის ასევე გადამწვევტი გახდა მანამდე ჩატარებული ცდები ინტეგრინით განპირობებული უჯრედული ადჰეზიის ინჰიბიციისა ხსნადი პროტეინების ზემოქმედებით (Marheineke, 2002).

მარჰეინეკეს კვლევებში შესწავლილ იქნა ენდოთელის ზედაპირული რეცეპტორების ICAM-1 და E-სელექტინის როლი, ვინაიდან ისინი VCAM-1 ერთად იმ უმნიშვნელოვანეს მოლეკულებს მიეკუთვნებიან, რომლებიც ანთებით პროცესებში და ათეროსკლეროზის პროგრესირებაში მონაწილეობენ. თუმცა შედეგებმა გვაჩვენა, რომ ხსნადი პროტეინი CD7/VCAM ბუნებრივ VCAM-1 რეცეპტორს სპეციფიურად აბლოკირებდა და მას არ ქონდა ზეგავლენა ICAM-1 და E-სელექტინზე (Marheineke, 2002).


ჩვენი კვლევის ფარგლებში VCAM-1 ფუნქცია გამოკვლეულ იქნა სხვა ზედაპირული რეცეპტორებისგან დამოუკიდებლად. შესაძლებელი გახდა გვეჩვენებინა, რომ ეს რეცეპტორი სხვა ზედაპირულ მოლეკულებთან ურთიერთქმედების გარეშე განაპირობებს მონოციტების ადჰეზიას. მბრუნავი და ადჰეზირებული მონოციტების მაღალი პროცენტული შემცველობა კი ცალსახად VCAM-1 უნდა მივაწეროთ. ხოლო მათი პირიქით მკვეთრად შემცირებული რაოდენობა CD7/VCAM1 კონსტრუქტს. აღნიშნული შედეგები შესაძლოა წარმოადგენდნენ ფუნდამენტს CD7/VCAM ტრანსფიცირებული უჯრედებისა და ტრანსფიცირებული სისხლძარღვების კვლევისათვის.

დეტალურად განვიხილოთ დინამიური ადჰეზიური კვლევის თითოეულ საკვლევი გჯუფში მიღებული შედეგები:


**ენდოთელიუმის ზედაპირზე მონოციტების ადჰეზიის შესწავლის შედეგები:**

CD7/VCAM1 კონსტრუქტით ტრანსფექციის, GFP საკონტროლო ტრანსფექციისა და ტრანსფექციის გარეშე ენდოთელიური კულტურისა და მონოციტების ურთიერთქმედების შესწავლისას მივიღეთ შემდეგი შედეგები:

- ენდოთელიურ კულტურაზე CD7/VCAM1 კონსტრუქტით ტრანსფექციისა და GFP საკონტროლო ტრანსფექციის ფონზე მონოციტების ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობათა შედარებითი ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მონოციტების ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობა სარწმუნოდ ნაკლებია GFP საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (ჯგუფი HMEC1-GFP+Monos), ( $p < 0.05$ ). ზემოთაღნიშნული ცხადყოფს, რომ CD7/VCAM1 კონსტრუქტის მაინჰიბირებელი ეფექტი გამოვლენილია დადებით კონტროლთან შედარებით. (იხ. ცხრილი 22, გრაფიკი 1).
- ენდოთელიურ კულტურაზე CD7/VCAM1 კონსტრუქტით ტრანსფექციისა და ტრანსფექციის გარეშე მონოციტების ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობათა შედარებითი ანალიზის შედეგად მივიღეთ სარწმუნოდ ნაკლები ადჰერენტული მონოციტების საშუალო მნიშვნელობა არატრანსფიცირებულ საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (ჯგუფი HMEC1+Monos), ( $p < 0.05$ ). თუმცა სარწმუნო განსხვავება არ გამოვლინდა ანტი-CD54 ანტისხეულის გამოყენების ჯგუფებში ( $p > 0.05$ ). შესაბამისად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ICAM რეცეპტორისა და შესაბამისი ლიგანდის ლეიკოციტარული LFA-1 კავშირი არ იძლევა მონოციტების ადჰეზიაზე სარწმუნო ზეგავლენას. ზემოთაღნიშნული ფაქტები ცხადყოფენ, რომ CD7/VCAM1 კონსტრუქტს აქვს სპეციფიური მაინჰიბირებელი ზეგავლენა VCAM1 რეცეპტორსა და მონოციტების VLA-4 ლიგანდთან ურთიერთქმედების პროცესზე, რაც აისახება მონოციტების ენდოთელიუმთან ადჰეზიის შემცირებით. (იხ. ცხრილი 24, გრაფიკი 2).



გრაფიკი 1




გრაფიკი 2

ენდოთელური უჯრედების სტიმულაციის შესწავლისას მივიღეთ შემდეგი შედეგები:


- არატრანსფეცირებულ IL1 $\beta$  სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედებზე და არატრანსფეცირებულ TNF $\alpha$  სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედებზე მონოციტების ადჰეზიის საშუალო მაჩვენებლების შედარებითი ანალიზის შედეგები ცხადყოფს, რომ IL1 $\beta$  სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედებზე მონოციტების ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობა სარწმუნოდ მეტია არატრანსფეცირებულ TNF $\alpha$  სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედებზე

მონოციტების ადჰეზიასთან შედარებით (ჯგუფი HMEC1-TNF $\alpha$ +Monos), ( $p<0.05$ ). როგორც ჩანს IL1 $\beta$  სტიმულაციამ განაპირობა გაცილებით მეტი მონოციტის მტკიცე ადჰეზია არატრანსფიცირებულ ენდოთელურ უჯრედებზე TNF $\alpha$  სტიმულაციასთან შედარებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სარწმუნო განსხვავება არ გამოვლინდა არატრანსფიცირებულ IL1 $\beta$  სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედებზე და არატრანსფიცირებულ TNF $\alpha$  სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედებზე ანტი-CD49d ანტისხეულით დამუშავებული მონოციტების ადჰეზიის საშუალო მაჩვენებლების შედარებითი ანალიზის შედეგად ( $p>0.05$ ) (იხ.ცხრილი 23, გრაფიკი 3).


- არატრანსფიცირებულ IL1 $\beta$  სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედებზე მონოციტების ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობა სარწმუნოდ მეტია არატრანსფიცირებულ არასტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედებზე მონოციტების ადჰეზიასთან შედარებით (HMEC1+Monos), ( $p<0.05$ ). აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ IL1 $\beta$  სტიმულაციამ განაპირობა ენდოთელიუმზე მონოციტების ადჰეზიის მატება (იხ.ცხრილი 27, გრაფიკი 4).
- არატრანსფიცირებულ TNF $\alpha$  სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედებზე მონოციტების ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობა სარწმუნოდ მეტია არატრანსფიცირებულ არასტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედებზე მონოციტების ადჰეზიასთან შედარებით (HMEC1+Monos), ( $p<0.05$ ). როგორც ჩანს TNF $\alpha$  სტიმულაციამ განაპირობა ენდოთელიუმზე მონოციტების ადჰეზიის მატება, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკურად სარწმუნო აღმოჩნდა IL1 $\beta$  სტიმულაციის ფონზე ადჰერენტული მონოციტების რაოდენობის მატება TNF $\alpha$  სტიმულაციასთან შედარებით (იხ.ცხრილი 28, გრაფიკი 5).



გრაფიკი 3



გრაფიკი 4




გრაფიკი 5

სტიმულირებულ და ტრანსფიცირებულ ენდოთელურ უჯრედებზე მონოციტების ადჰეზიის შესწავლისას მივიღეთ შემდეგი შედეგები:


- მონოციტების ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობათა შედარებითი ანალიზის შედეგად CD7/VCAM1 ტრანსფიცირებულ IL1 $\beta$  სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედებზე სარწმუნოდ ნაკლები აღმოჩნდა ადჰერენტული მონოციტების რაოდენობა არატრანსფიცირებულ IL1 $\beta$  სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედებზე მონოციტების ადჰეზიასთან შედარებით(HMEC1- IL1 $\beta$ +Monos), ( $p < 0.05$ ). შესაბამისად ვლინდება, რომ CD7/VCAM1 კონსტრუქტს აქვს მაინჰიბირებელი ზეგავლენა მონოციტების ენდოთელიუმთან ადჰეზიის პროცესზე და ეს ეფექტი განსაკუთრებით ვლინდება IL1 $\beta$  სტიმულაციის ფონზე. (იხ.ცხრილი 27, გრაფიკი 6).
- მონოციტების ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობათა შედარებითი ანალიზის შედეგად CD7/VCAM1 ტრანსფიცირებულ TNF $\alpha$  სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედებზე სარწმუნოდ ნაკლები აღმოჩნდა ადჰერენტული მონოციტების რაოდენობა არატრანსფიცირებულ TNF $\alpha$  სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედებზე მონოციტების ადჰეზიასთან შედარებით(HMEC1- IL1 $\beta$ +Monos), ( $p < 0.05$ ). ამ შემთხვევაშიც CD7/VCAM1 კონსტრუქტით ტრანსფექციამ განაპირობა სარწმუნოდ ნაკლები რაოდენობით ადჰერენტული მონოციტების არსებობა ენდოთელურ უჯრედებზე (იხ.ცხრილი 28, გრაფიკი 7).

მონოციტების ადჰეზია IL1 $\beta$  სტიმულირებულ და CD7/VCAM1 ტრანსფეცირებულ ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე



გრაფიკი 6

მონოციტების ადჰეზია TNF $\alpha$  სტიმულირებულ და CD7/VCAM1 ტრანსფეცირებულ ენდოთელურ უჯრედულ კულტურაზე




გრაფიკი 7


**ენდოთელიუმის ზედაპირზე მონოციტების ბრუნვის ანუ პირველადი ადჰეზიის შედეგები:**

- ✓ ენდოთელურ კულტურაზე CD7/VCAM1 კონსტრუქტით ტრანსფექციისა და GFP საკონტროლო ტრანსფექციის ფონზე მონოციტების ბრუნვის ანუ პირველადი ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობათა შედარებითი ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მონოციტების ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობა სარწმუნოდ ნაკლებია GFP საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (ჯგუფი HMEC1-GFP+Monos), ( $p < 0.05$ ). ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე CD7/VCAM1 კონსტრუქტს აქვს მაინჰიბირებელი ეფექტი ასევე მონოციტების პირველად ადჰეზიაზე. (იხ. ცხრილი 29, გრაფიკი 8).
- ✓ ენდოთელურ კულტურაზე CD7/VCAM1 კონსტრუქტით ტრანსფექციისა და ტრანსფექციის გარეშე მონოციტების ბრუნვის ანუ პირველადი ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობათა შედარებითი ანალიზის შედეგად მივიღეთ სარწმუნოდ ნაკლები მბრუნავი მონოციტების საშუალო მნიშვნელობა არატრანსფიცირებულ საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (ჯგუფი HMEC1+Monos), ( $p < 0.05$ ). თუმცა სარწმუნო განსხვავება არ გამოვლინდა ანტი-CD54 ანტისხეულის გამოყენების ჯგუფებში ( $p > 0.05$ ). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ICAM რეცეპტორისა და მისი ლეკოციტარული ლიგანდის LFA-1 კავშირი არ იძლევა სარწმუნო ზეგავლენას არც მონოციტების პირველად ადჰეზიაზე. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე CD7/VCAM1 კონსტრუქტი მაინჰიბირებელ ზეგავლენას ახდენს ასევე მონოციტების ენდოთელიუმზე პირველადი ადჰეზიის პროცესზე. (იხ. ცხრილი 31, გრაფიკი 9).






გრაფიკი 8




გრაფიკი 9

**ენდოთელური უჯრედების სტიმულაციის შესწავლისას მივიღეთ შემდეგი შედეგები:**


- ✓ არატრანსფიცირებულ IL1 $\beta$  სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედებზე და არატრანსფიცირებულ TNF $\alpha$  სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედებზე მონოციტების ბრუნვის ანუ პირველადი ადჰეზიის საშუალო მაჩვენებლების შედარებითი ანალიზის შედეგები ცხადყოფს, რომ IL1 $\beta$  სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედებზე მონოციტების პირველადი ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობა სარწმუნოდ მეტია არატრანსფიცირებულ TNF $\alpha$  სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედებზე მონოციტების პირველად ადჰეზიასთან შედარებით (ჯგუფი HMEC1-TNF $\alpha$ +Monos), ( $p < 0.05$ ). როგორც ჩანს IL1 $\beta$  სტიმულაცია განაპირობებს გაცილებით მეტი მონოციტის პირველად ადჰეზიას არატრანსფიცირებულ ენდოთელურ უჯრედებზე TNF $\alpha$  სტიმულაციასთან შედარებით. (იხ.ცხრილი 30, გრაფიკი 10).
- ✓ არატრანსფიცირებულ IL1 $\beta$  სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედებზე მონოციტების ბრუნვის ანუ პირველადი ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობა სარწმუნოდ მეტია არატრანსფიცირებულ არასტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედებზე მონოციტების პირველად ადჰეზიასთან შედარებით (HMEC1+Monos), ( $p < 0.05$ ). IL1 $\beta$  სტიმულაციის შედეგად ადგილი აქვს ენდოთელიუმზე მონოციტების პირველადი ადჰეზიის მატებას (იხ.ცხრილი 32, გრაფიკი 11).
- ✓ არატრანსფიცირებულ TNF $\alpha$  სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედებზე მონოციტების ბრუნვის ანუ პირველადი ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობა სარწმუნოდ მეტია არატრანსფიცირებულ არასტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედებზე მონოციტების პირველად ადჰეზიასთან შედარებით (HMEC1+Monos), ( $p < 0.05$ ). როგორც ჩანს TNF $\alpha$  სტიმულაციამ განაპირობა ენდოთელიუმზე მონოციტების პირველადი ადჰეზიის მატება, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკურად სარწმუნო აღმოჩნდა IL1 $\beta$  სტიმულაციის ფონზე მბრუნავი მონოციტების რაოდენობის მატება TNF $\alpha$  სტიმულაციასთან შედარებით (იხ.ცხრილი 34, გრაფიკი 12).



გრაფიკი 10



გრაფიკი 11




გრაფიკი 12


**სტიმულირებული და ტრანსფიცირებული ენდოთელური უჯრედებზე მონოციტების ბრუნვის ანუ პირველადი ადჰეზიის შესწავლისას მივიღეთ შემდეგი შედეგები:**

- ✓ მონოციტების ბრუნვის ანუ პირველადი ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობათა შედარებითი ანალიზის შედეგად CD7/VCAM1 ტრანსფიცირებულ IL1 $\beta$  სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედებზე სარწმუნოდ ნაკლები აღმოჩნდა მბრუნავი მონოციტების რაოდენობა არატრანსფიცირებულ IL1 $\beta$  სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედებზე მონოციტების ადჰეზიასთან შედარებით(HMEC1- IL1 $\beta$ +Monos), ( $p < 0.05$ ). შესაბამისად ვლინდება, რომ CD7/VCAM1 კონსტრუქტს აქვს მაინჰიბირებელი ზეგავლენა ასევე მონოციტების ენდოთელიუმზე პირველადი ადჰეზიის პროცესზე და ამასთანავე ეს ზეგავლენა განსაკუთრებით გამოხატულია IL1 $\beta$  სტიმულაციის ფონზე (იხ.ცხრილი 33, გრაფიკი 13).
- ✓ მონოციტების ადჰეზიის საშუალო მნიშვნელობათა შედარებითი ანალიზის შედეგად CD7/VCAM1 ტრანსფიცირებულ TNF $\alpha$  სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედებზე სარწმუნოდ ნაკლები აღმოჩნდა მბრუნავი მონოციტების რაოდენობა არატრანსფიცირებულ TNF $\alpha$  სტიმულირებულ ენდოთელურ უჯრედებზე მონოციტების პირველად ადჰეზიასთან შედარებით(HMEC1- IL1 $\beta$ +Monos), ( $p < 0.05$ ). ამ შემთხვევაშიც CD7/VCAM1 კონსტრუქტით

ტრანსფექციამ განაპირობა მბრუნავი მონოციტების სარწმუნოდ ნაკლები რაოდენობის არსებობა მხოლოდ TNF $\alpha$  სტიმულირებულ ჯგუფთან შედარებით (იხ.ცხრილი 35, გრაფიკი 14).



გრაფიკი 13



გრაფიკი 14

მონოციტების პირველადი ადჰეზიის გჯუფებში კორელაციური ანალიზის შედეგად საინტერესო უარყოფითი კორელაცია გამოვლინდა ენდოთელიუმის IL1 $\beta$  სტიმულაციასა და CD7/VCAM1 ტრანსფექციას შორის მონოციტების ბრუნვის/პირველადი ადჰეზიის შემთხვევაში, კერძოდ კი IL1 $\beta$  ტრანსფექციის ფონზე გაცილებით ეფექტური აღმოჩნდა CD7/VCAM1 კონსტრუქტის ზემოქმედება VCAM1 რეცეპტორსა და მის ლიგანდ VLA4-ს შორის კავშირის დათრგუნვის თვალსაზრისით, რაც მონოციტების პირველადი ადჰეზიის მკვეთრი კლებით გამოიხატა (იხ. ცხრილი 38). კორელაციური ანალიზის შედეგებიდან მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირი არ გამოვლინდა TNF $\alpha$  სტიმულაციასა და CD7/VCAM1 ტრანსფექციას შორის როგორც მონოციტების მტკიცე ადჰეზიის ასევე მონოციტების პირველადი ადჰეზიის გჯუფებში.

### **დინამიური ადჰეზიური კვლევების შედეგების შეჯამება**

აღნიშნული კვლევების შეჯამებისას მნიშვნელოვანია იმ ფაქტის ხაზგასმა, რომ მოცემულ შრომაში აღწერილი ყველა დინამიური ადჰეზიური ექსპერიმენტი ჩატარდა ტრანსგენურ HMEC1 უჯრედებით, რომლებიც მანამდე შესაბამისი გენური სტაბილიზატორებით იქნა ტრანსფიცირებული და სხვა ზედაპირულ რეცეპტორებთან VCAM-1 რეცეპტორის ურთიერთქმედება ამით გამოირიცხა. რაც გულისხმობს იმას, რომ VCAM-1 რეცეპტორის ფუნქციები სხვა დამატებითი ფაქტორების ზემოქმედების გარეშე იქნა შესწავლილი.

თავდაპირველად ენდოთელური უჯრედების მიერ VCAM-1 რეცეპტორის ექსპრესია ჩვენ შევაფასეთ გამდინარე ციტომეტრიის მეშვეობით, რითიც დადასტურდა VCAM1 რეცეპტორის ექსპრესიის არსებობა შესაბამისი დადებითი უჯრედული პოპულაციის ფლუორესცენციის ინტენსივობის მკვეთრად მარჯვნივ გადაადგილებით. აღმოჩნდა, რომ ეს უჯრედები არიან აქტივირებულ მდგომარეობაში და მათზე აღინიშნება VCAM-1 რეცეპტორის სრულყოფილი ექსპრესია. იმავე კვლევით ასევე დადგინდა, რომ უჯრედების სტიმულაცია შესანიშნავად არის შესაძლებელი ისეთი სტიმულატორების გამოყენებით როგორებიცაა IL1 $\beta$  და TNF $\alpha$ . გამდინარე ციტომეტრია იქნა გამოყენებული ენდოთელური უჯრედების CD7/VCAM1 ტრანსფექციის შეფასებისა და კონსტრუქტის კონცენტრაციის შერჩევის მიზნით. ამ კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ კონსტრუქტის ზემოქმედებით VCAM1 ექსპრესია ენდოთელურ

უჯრედებზე განიცდის თვალსაჩინო ცვლილებას VCAM1 დადებითი უჯრედული პოპულაციის უჯრედული პარამეტრების ცვლილების თვალსაზრისით. აღნიშნული ევექტი განსაკუთრებით შესამჩნევი აღმოჩნდა CD7/VCAM1 კონსტრუქტის  $0.5\mu\text{ლ}$  ( $2,1 * 10^9$  PFU / ml) კონცენტრაციის გამოყენებისას.

დინამიურ ადჰეზიურ კვლევებში გამოვლინდა VCAM-1 რეცეპტორის პირდაპირი როლი მონოციტების ენდოთელიუმზე პირველადი და მტკიცე ადჰეზიის პროცესში. ორივე მაჩვენებელი რაოდენობრივად იქნა შეფასებული. მნიშვნელოვანია ფაქტი, რომ შესაძლებელი და ევექტური აღმოჩნდა ენდოთელიური უჯრედების სტიმულაცია IL1 $\beta$  და TNF $\alpha$  საშუალებით, რაც გამოვლინდა ორივე შემთხვევაში როგორც პირველადი ადჰეზიის ასევე მტკიცე ადჰეზიის მქონე მონოციტების საკმაოდ გაზრდილი რაოდენობით საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (იხ.ცხრილები 23,31). საკვლევი ჯგუფების შედარებამ აჩვენა, რომ IL1 $\beta$  სტიმულაცია გაცილებით ევექტურია TNF $\alpha$  სტიმულაციასთან შედარებით (იხ.ცხრილები 23,31). უფრო მეტიც, გამოვლინდა უარყოფითი კორელაცია მონოციტების ბრუნვის ჯგუფებში ენდოთელიუმის IL1 $\beta$  სტიმულაციასა და მისი CD7/VCAM1 კონსტრუქტით ტრანსფექციას შორის (იხ.ცხრილი 38).

CD7/VCAM1 კონსტრუქტის შესწავლისას კი ადგილი ქონდა თითქმის ყველა საკვლევი გჯუფში ენდოთელიუმზე მონოციტების პირველადი და მტკიცე ადჰეზიის ინჰიბიციას შესაბამის საკონტროლო გჯუფთან შედარებით (იხ.ცხრილები 22,24,27,28,29,31).

დინამიური ადჰეზიური კვლევის შედეგები საუკეთესოდ წარმოაჩენს CD7/VCAM1 კონსტრუქტის მიერ VCAM1 რეცეპტორის ინაქტივაციას, რაც მონოციტების პირველადი და მტკიცე ადჰეზიის მკვეთრ შემცირებაში გამოიხატა დადებით და უარყოფით კონტროლთან შედარებით. უკვე ჩატარებულ ცხოველთა მოდელებში არსებობდა VCAM1 ბლოკირების ცდები ანტი-VCAM1 ანტისხეულის საშუალებით. შესაბამისად საინტერესო იყო და საჭიროდ მივიჩნიეთ CD7/VCAM1 კონსტრუქტის კვლევა ApoE $^{-/-}$  თაგვებზე ჩაგვეტარებინა.

### **In Vivo კვლევების შედეგების შეჯამება**

ApoE $^{-/-}$  დეფიციტურ თაგვებს სპონტანურად და განსაკუთრებით ცხიმით მდიდარი დიეტის ფონზე უვითარდებათ ათეროსკლეროზული ფოლაქები. გვსურდა შეგვესწავლა CD7/VCAM1 კონსტრუქტის გავლენა ათეროგენეზის საწყის ეტაპზე,

რისთვისაც შევარჩიეთ ზემოთაღნიშნული ექსპერიმენტული ცხოველები. პირველ რიგში საჭირო იყო ისეთი ექსპერიმენტული ტექნიკის შემუშავება, რომლის საშუალებითაც მოხერხდებოდა ენდოთელიუმის CD7/VCAM1 კონსტრუქტით ტრანსფექცია და ამ ტრანსფექციის შედეგების გამოკვლევა.

როგორც ეს ნაშრომის II თავში იყო აღწერილი კვლევის *in vivo* მოდელში სხვადასხვა მეთოდი იქნა გამოყენებული, რათა მიგვეღწია CD7/VCAM1 კონსტრუქტით ენდოთელური შრის ტრანსფექციისათვის. აპლიკაციის ტექნიკის გამოყენებით ვერ მოხერხდა ენდოთელურ უჯრედების GFP ვირალური ვექტორით ტრანსფექცია. აღნიშნული პრობლემის წამოჭრის გამო შევიმუშავეთ ალტერნატიული ტრანსფექციის ტექნიკა - საძილე არტერიაში უწვრილესი კანულის საშუალებით CD7/VCAM1 კონსტრუქტის ინექციის ოპერაცია.

ApoE-/- დეფიციტურ თაგვებში საძილე არტერიის CD7/VCAM1 კონსტრუქტით ტრანსფექციის შედეგად გამოვლინდა ლოკალური პათოლოგიური ცვლილებები ინექციის არეში სისხლძარღვის კედელში როგორც კონსტრუქტის გამოყენებისას ასევე მისი დადებითი კონტროლის (GFP ვირალური ვექტორის) და უარყოფითი კონტროლის (ბუფერული ხსნარის (pH=7,4)) გამოყენების შემთხვევაში. ნაოპერაციებ საძილე არტერიებში ადგილი ქონდა გლუვი კუნთოვანი ქსოვილის პროლიფერაციას, არტერიის კედლის ფიბროზული მასებით, კომპლექსური ნახშირწყლებით, კალციუმის დეპოზიტებით, ლიპიდებითა და მაკროფაგებით ინფილტრაციას. მიუხედავად იმისა, რომ აპლიკაციისა და ინექციის ტექნიკის გამოყენებით ვერ მოხერხდა CD7/VCAM1 კონსტრუქტის ეფექტის შესწავლა *in vivo* ექსპერიმენტულ მოდელში, ვთვლით, რომ ჩატარებული სამუშაოები და მათი შედეგები მნიშვნელოვანი და საყურადღებოა კონსტრუქტის სამომავლო კვლევის თვალსაზრისით. მიღებული გამოცდილება კი უდაოდ გასათვალისწინებელია შემდგომი კვლევების დაგეგმვისათვის.



## დასკვნები

### In Vitro:

- ვასკულური უჯრედული ადჰეზიური მოლეკულა 1-ის როლი სპეციფიური და უნიკალურია მონოციტების პირველადი და მტკიცე ადჰეზიის პროცესში, რაც ვლინდება მონოციტების პირველადი და მტკიცე ადჰეზიით ენდოთელიუმზე სხვა რეცეპტორების კოექსპრესიის არარსებობის ფონზე.
- IL1 $\beta$  და TNF $\alpha$  სტიმულატორების გამოყენებით HMEC1 ენდოთელური უჯრედული კულტურის სტიმულაციას თან ახლავს ვასკულური უჯრედული ადჰეზიური მოლეკულა 1-ის ექსპრესიის მკვეთრი მატება ენდოთელური უჯრედების ზედაპირზე.
- ენდოთელური უჯრედების IL1 $\beta$  და TNF $\alpha$  საშუალებით სტიმულაცია განაპირობებს მონოციტების პირველადი ადჰეზიისა და მტკიცე ადჰეზიის გაზრდას.
- CD7/VCAM1 ხსნადი პროტეინის ზემოქმედებით ადგილი აქვს ვასკულური უჯრედული ადჰეზიური მოლეკულა 1-ის უფუნქციო რეცეპტორად გარდაქმნას, რასაც შედეგად მოჰყვება მონოციტების ენდოთელიუმზე პირველადი და მტკიცე ადჰეზიის ინჰიბიცია.

### In Vivo:

- აპლიკაციის ტექნიკის გამოყენებით ენდოთელიუმის ადენოვირალური ვექტორით ტრანსფექცია არ დასტურდება.
- CD7/VCAM1 კონსტრუქტის in vivo კვლევას ინექციის ოპერაციული ტექნიკის გამოყენებით თან ახლავს ინექციის არეში პათოლოგიური ცვლილებების განვითარება.

## მომავლის პერსპექტივები

არასტაბილური (რუპტურისაკენ მიდრეკილი) ათეროსკლეროზული ფოლაქების ადგილობრივი მკურნალობა კარდიოვასკულური მედიცინის უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს. ადჰეზიური რეცეპტორები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ათეროსკლეროზის განვითარებაში უჯრედულ-უჯრედული ურთიერთქმედებებისა და უჯრედული სიგნალების ამოქმედების გზით. ჩვენი გენთერაპიული მიდგომა ეფუძნება VCAM1 რეცეპტორის მიზანში ამოღებას და ადენოვირალური ვექტორული სისტემის ხსნადი პროტეინის საშუალებით მონოციტ-ენდოთელურ ურთიერთქმედებაზე ზემოქმედებას. წინარე კვლევებით დადასტურდა, რომ CD7/CAM1 კოტრანსფექციას არავითარი ზეგავლენა არ აქვს ICAM1 და E-Selectin რეცეპტორებით განპირობებულ მონოციტების ადჰეზიაზე. CD7/VCAM1 განპირობებული ინჰიბიციის გზა დომინანტურია. იგი უნიკალური და სპეციფიურია მხოლოდ VCAM1 რეცეპტორისათვის.

ჩვენი კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ კონსტრუქტის გამოყენებით შესაძლებელი გახდა VCAM1 ფუნქციების ინჰიბიციის, რამაც საბოლოოდ მონოციტების ენდოთელზე პირველადი და მტკიცე ადჰეზიის მნიშვნელოვან შეფერხებამდე მიგვიყვანა. სტატიურ ადჰეზიურ კვლევებში კი ადგილი ქონდა ასევე მონოციტების ტრანსმიგრაციის ინჰიბიციასაც. რაც სასურველია მომავალში ასევე დინამიურ ადჰეზიურ კვლევებში იქნას გამოკვლეული.

ჩვენი კვლევა ადასტურებს VCAM1 რეცეპტორის გადამწყვეტ როლს მონოციტების ადჰეზიისა და აკუმულაციის პროცესში. ჩვენი მონაცემები ამყარებენ მოსაზრებას ისეთი გენთერაპიული საშუალებების განვითარების შესაძლებლობის შესახებ, რომელიც მოახდენს მონოციტების ლიგანდისა და აქტივირებული ენდოთელიუმის ურთიერთქმედების ინჰიბიციას. აღნიშნული კვლევა არის პირველი აღწერა ამ ურთიერთქმედების ბლოკადისა კონკურენტული ხსნადი პროტეინის კოექსპრესიის საშუალებით დინამიურ ადჰეზიურ კვლევებში. აღნიშნული მიდგომა, რომელიც ეფუძნება დომინანტურ ნეგატიურ ინჰიბიტორულ ეფექტს, გვპირდება რეცეპტორის ფუნქციის რეგიონულ, ლოკალურ ბლოკადას, რაც შესაძლებელი იქნება კონსტრუქტის მხოლოდ მცირე რაოდენობით დაზიანების კერაში მიწოდებით. ეს უნიკალური მიდგომა კი შესაძლოა მომავალში ათეროსკლეროზის ადგილობრივი მკურნალობის საშუალებად მოგვევლინოს.

ჩატარებულ კვლევებზე დაფუძნებით ცხადია, რომ კონსტრუქტი იმედის მომცემი

საშუალება შეიძლება გახდეს ანტიათეროსკლეროზული თერაპიის კუთხით. შესაბამისად პირველ რიგში მისი კვლევა უნდა გაგრძელდეს ათეროსკლეროზის in vivo მოდელში ApoE<sup>-/-</sup> დეფიციტურ თაგვებში. საჭიროა ისეთი ოპერაციული მიდგომის შემუშავება, რომელიც მოახდენს მხოლოდ კონსტრუქტის ეფექტის გამოვლენას და სხვა დანარჩენი ფაქტორების გამორიცხვას. მისი ეფექტის შესწავლა შესაძლებელია ათეროსკლეროზის ნებისმიერ ეტაპზე.

სამომავლო კვლევები მიზანმიმართულად უნდა დაიგეგმოს იმ ფაქტორების გამოსაკვლევად თუ რამდენად ზემოქმედებს ეს ხსნადი პროტეინი აგრეთვე მონოციტების ენდოთელში ჩართვის სხვა პროცესებზე. აქვე არ უნდა გამოგვრჩეს, რომ შესაძლოა არსებობდეს CD7/VCAM საშუალებით სხვა რეცეპტორული სიგნალკასკადის დათრგუნვის შესაძლებლობა. ჩვენს კვლევაში პირველადი შედეგები ასახავენ კონსტრუქტის დადებით ეფექტს. შესაძლოა საქმე ეხებოდეს ახალ, პრეკლინიკურ მედიკამენტს, რომელმაც იმედის მომცემი ეფექტები გამოავლინა.

## **Inhibition of monocyte-endothelial interaction in early stages of atherosclerosis**

### **Summary of the Dissertation Thesis**

Atherosclerosis is a complex, chronic inflammatory disease, which occurs as a response to endothelial injury. It is a dynamic process, starts in early childhood, progresses during long preclinical stage and later manifests clinically. Atherosclerosis can affect all large and medium-sized arteries, including the coronary, carotid and cerebral arteries, the aorta, its branches and major arteries of the extremities. Atherosclerosis is heritable disease involving multiple cell types and the interactions of many different molecular pathways. Clinically the problem of atherosclerosis is related mainly to occlusion of the mentioned arteries. The main organs or body regions where atherosclerotic disease will cause tissue and/or organ damage are the brain, the heart, and the lower limbs. The clinical manifestations of atherosclerosis, such as coronary vascular disease (CVD), are common in Western and urban populations, and are an important and common cause of death and disease. Atherosclerosis is the leading cause of morbidity and mortality in the US and in most developed countries. It is rapidly increasing in prevalence. By 2020, atherosclerosis is expected to be the leading cause of death worldwide. According to the WHO's world health statistics report of 2014 Ischemic Heart Disease and Stroke were presented on the first and third places among 20 most common causes of mortality.

